გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 დეკემბერი, 2005 წელი.
№279 (5312)

იმისთანა წმინდა საქმეში, ღმერთიც ბოძებუტი სიცოცხლე, ცუდიღებით და ჭღებით ბუნთის გაცანა ცუღლა უკადბისხმაზე უხამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

ვგონებ, ყინული დაიძრა!



იქნებ საშველი დაადგეს უკანონობის აღკვეთას და „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის ლეგალიზაციას

— რამდენიც გსურთ, წერეთ და იკითხეთო, — მართალია, აშკარად არა, მაგრამ პრესის მრავალი საქმიანი კრიტიკული მასალისადმი სრული უყურადღებობით თუ წაყრუებით სწორედ ამას მიგვანიშნებს ხელისუფლება. ამ ბოლო დრომდე (სხვა ადრინდელ მამხილებელ მასალებზე რომ არაფერი ვთქვათ) მისი ამგვარი დამოკიდებულების დასტური გახლდათ თუნდაც ჩვენი გაზეთის 9-12 ნოემბრის ნომრებში „ჟურნალისტური გამოძიების“ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც საუბარი იყო „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის უკანონოდ გაყვანისა და მოქმედების შესახებ.

როგორც ჩანს, ნავსი გატყდა: ამ პუბლიკაციების ოფიციალური სახელმწიფო ორგანოებიდან პირველი კონტროლის პალატა გამოეხმაურა.

იხ. მე-3 გვ.

სად წავა დეპოზიტის თანხა?



გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგები განიხილა. განხილვამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა.

ფრაქცია “მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე ფინანსთა მინისტრის მოადგილეს გრიგოლ გობეჟიშვილს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ გობეჟიშვილი მის კითხვებს უპასუხისმგებლოდ პასუხობს.

“2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე ცხრა თვის განმავლობაში 455 მილიონი ლარის დახარჯვა ვერ მოახერხა. აღნიშნული თანხა ბიუჯეტში მობილიზებულია და იგი დეპოზიტებზეა გაჩერებული. ეს მაშინ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს გააჩნია ვალდებულება ძველი დავალიანებების სახით და გასასტუმრებელი აქვს წინა წლებში წარმოშობილი დავალიანებები“, — განაცხადა ტყემალაძემ.

მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 9 თვეში განათლების სამინისტრო — 90 პროცენტით, კულტურის სამინისტრო — 89 პროცენტით, ენერგეტიკის სამინისტრო — 69 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 69 პროცენტით, სახალხო დამცველის აპარატი 51 პროცენტით აქვს დაფინანსებული. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს პრობლემები აქვს მოგების გადასახადის მობილიზების კუთხითაც.

* * *

პარლამენტარი ზვიად ძიძიგური ეჭვობს, რომ მთავრობის დეპოზიტებზე 455 მილიონი ლარის გაჩერება კორუფციის საფუძველს შეიცავს.

როგორც ძიძიგურმა გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, მთავრობამ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 455 მილიონი ლარი არ დახარჯა და ეროვნული ბანკის დეპოზიტებზე აქვს შენახული.

იხ. მე-2 გვ.

სროლა მხოლოდ ბოროტებას არ არის

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტმა, ამას დაერთო შინაგან საქმეთა მინისტრის სატელევიზიო ბრძანება თავისი თანამშრომლებისადმი, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კრიმინალურ ელემენტთა ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ, რაც პრეზიდენტის მსგავსი შინაარსის სატელევიზიო განცხადებას იმეორებს.

იხ. მე-3-6 გვ.



„ავილებ წალდს და ვენახს გავკაფავ...“

კახელმა მევენახემ დანაქადი შეასრულა...

იხ. მე-2 გვ.

საქართველოში კიდევ ერთი ცუდი საქმე დაიწყო და ვიდრე კოცონი არ აბრიალებულა, ყური უნდა ავუწიოთ იმათ, ვისი სიბრძნის წყალობითაც კახელი მეზვრე ასეთ უკიდურესობამდე მივიდა. სულ ცაში ნუ დაჰქრიხართ, ჩვენო ძვირფასო ნაციონალებო! ერთხელ დაბლაც ჩამოდით და საკუთარი თვალით იხილეთ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე!

პოლიტიკური „ეკონომიკა“ „გაზპრომის“ შესრულებით



საქართველომ ყაზახეთში გაზი რაგინდ დაბალ ფასად იყიდოს, ტრანზიტის საფასურის გაზრდით რუსეთი („გაზპრომის“ სახით) მას ისე დააბალანსებს, რომ მაინც 110 დოლარი დაჯდება.

იხ. მე-3 გვ.

დემოკრატიის დამკვიდრება პარლამენტის სრულყოფით უნდა დაიწყოს

იხ. მე-4 გვ.

რესურსებით მდიდარი ქვეყნის ღატაკი მოსახლეობა

მსოფლიო ბანკი ღატაკად იმ ადამიანს მიიჩნევს, რომელსაც დღეში 2,15 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ხოლო დაუცველად, ანუ ღარიბად კი მას, ვინც იძულებულია, დღეში 4,3 დოლარს დასჯერდეს.

იხ. მე-6 გვ.

◎ პანორამა

საფრანგეთში მსოფლიოში პირველად განახორციელეს სახის ტრანსპლანტაცია. მედიკოსების გუნდმა ჟან-მიშელ დიუბერნარის ხელმძღვანელობით, მიმდინარე წლის მაისში ძაღლის მიერ დაკბენილ 38 წლის ქალს გა-



დაუნერგა ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი. დიუბერნარის თქმით, პაციენტის მდგომარეობა ჩინებულია.

* * *

მსურველებს შეუძლიათ იყიდონ მასალები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა უკრაინაში მოსკოვის გავლენის აღგენისთვის გამიზნული გეგმის განხორციელების ფარგლებში. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემუშავებულ ამ გეგმაში ფიგურირებენ პოროშენკო, ტრეტიაკოვი, მარტინენკო და ბოიკო. სავარაუდოდ, სწორედ ამ ადამიანებთან მუშაობდა ყველაზე ნაყოფიერად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელმაც გამოიყენა ინფორმაცია მათი ბიზნეს-ინტერესების შესახებ.

◎ ინფორმაცია

მიხეილ სააკაშვილი კიევშია

მიხეილ სააკაშვილი კიევშია ორდღიან საერთაშორისო ფორუმზე — „დემოკრატიული არჩევნების თანამეგობრობა“.

ფორუმში საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუტელი, ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დარიუს ჩეუკოლისი, ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგა, მაკედონიის პრეზიდენტი ბრანკო ცრვენკოვსკი, რუნიმეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასასკი, სლოვენიის პრეზიდენტი იანეზ დრნოვშეკი, მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი სტრატანი, ბულგარეთის ვიცე-პრეზიდენტი ანგელ მერინი, პოლონეთის სენატის სპიკერი ბოგდან ბორუსევიჩი და სახელმწიფო უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელი ერჟი ბარჰი, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მამედიაროვი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტროს სახელმწიფო მდივანი ანდრას ბარშონი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლადორბიანსკი, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტომას პოიარი, გაეროს ეუთოს, ევროპის საბჭოსა და ბისეკის წარმომადგენლები.

ფორუმზე მიიღებენ დემოკრატიული „არჩევნების“ თანამეგობრობის ქვეყნების დეკლარაციას.

ოფრინეთ ლატვიაშიც!

ლატვიასა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა და რატიფიკაციის მიზნით მის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირა.

როგორც ჟურნალისტებს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზაზა ჭელიძემ განუმარტა, ლატვიასა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულება აქამდე არ არსებობდა, რის გამოც რიგასა და თბილისს შორის საჰაერო მიმოსვლა ვერ ხორციელდებოდა.

გერმანიის მთავრობა ტექნიკურ აღჭურვილობას გვპირდება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ზუგდიდის ზონაში მოქმედ გაეროს სამოქალაქო პოლიციას 2 000 ევროს ღირებულების ტექნიკურ აღჭურვილობას გადასცემს.

საქართველოში გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, პოლიციის ქართულ ქვედანაყოფს აღჭურვილობას გერმანიის ელჩი უვე შრამი საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ოფისში პირადად ჩააბარებს.

დაფუძნდა პრობაციის სასწავლო ცენტრი

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულების საფუძველზე, სასწავლო ცენტრი იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი საქართველოში პირველია, სადაც სასჯელაღსრულების სისტემისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლება იქნება შესაძლებელი. იუსტიციის სამინისტროში ამჟამად სასწავლო ცენტრის დებულება მუშავდება.

შესაძლოა ვიზარება გაამწვავდეს

იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს დღეებში ოჯახებს არ გადასცემენ დიდი ლიახვის ხეობიდან ოსური მხარის მიერ 6 თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ცხედრებს, ხეობაში ვითარება დაიძაბება.

როგორც ინტერპრესნიუსთან საუბრისას ერთ-ერთი გატაცებულის ძმამ ლევან ხაჭაპურიძემ განუცხადა, იგი არეულობის პროვოცირებას არ მოახდენს, თუმცა, „ხალხი უკიდურესადაა აღშფოთებული და იმ შემთხვევაში თუ ხეობა ვერ შეძლებს გატაცებულების დატირებას, მდგომარეობა უკონტროლო გახდება“.

ინტერპრესნიუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რატომ მოითხოვენ ქართველი პოლიტიკოსები თანამეგობრობიდან გამოსვლას?

იხ. მე-7 გვ.

ქართველმა პარლამენტარებმა დასვეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენლობაში რესპუბლიკის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი. რატომ სვამენ საკითხს თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ? როგორ აისახება ეს რუსეთთან ურთიერთობაზე? ამის შესახებ გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტს იური სტროგანოვს ესაუბრა ცნობილი პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკურ ექსპერტიზათა ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე დუგინი.

⊙ პროტესტი

ჯერ ამ 10 ლარს დასჯერდითო...

მოხდა რევოლუცია და ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ საზოგადოების გული სხვადასხვა დაპირებებით მოიგო. მათ შორის იყო პენსიებიც და ხელფასებიც. გამოითვალეს, რომ საარსებო მინიმუმი 115 ლარს შეადგენს (რეალურად გაცილებით მეტია) და ხელფასები სახელმწიფო სტრუქტურებში მოცემულ ციფრამდე გაზარდეს, მაგრამ პენსიონერები მოტყუებულები აღმოჩნდნენ. კი, კმაყოფილები არიან, რომ 14 ლარის ნაცვლად დღეს 28 ლარს იღებენ, მაგრამ დაპირება ხომ სხვა იყო — პენსია, თითოეულ მოქალაქეს, სტაჟის და დამსახურების მიხედვით უნდა მიეღო. ახლა? პენსიების შესახებ ახალი კანონპროექტი მომზადდა, რომლის მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ 50 წელი მუხლჩაუხრელად იშრომეთ თუ არხეინად, უზრუნველად, უშრომელად იცხოვრეთ.

ოპოზიციისთვის ახალი კანონპროექტიდან მიუღებელია არაერთი ცვლილება: ქალთა საპენსიო ასაკის გაზრდა 65 წლამდე, რიგითი მოქალაქეებისთვის პენსიის დანიშვნა დამსახურებისა და შრომით სტაჟის გათვალისწინების გარეშე, მაღალი პენსიის დანიშვნა პარლამენტართათვის და ა. შ.

კონსერვატორი ზვიად ძიძიგური აპროტესტებს, რომ ადამიანმა, რომელსაც 1 დღეც არ უშრომია და პირმა, რომელმაც 40 წელი იშრომა, ორივემ 28 ლარი მიიღოს. ამასთან, მიიჩნევს, რომ ამ საპენსიო კანონით უარესდება, ზოგადად, პენსიონერების მდგომარეობა, რასაც ქალთა საპენსიო ასაკის 65 წლამდე აწევა განაპირობებს. ამგვარ ცვლილებას ძიძიგური კონსტიტუციის დარღვევად აფასებს, რადგან კონსტიტუციის მიხედვით ადამიანების სოციალური მდგომარეობა დღითი დღე უნდა გაუმჯობესდეს და ამ პირობების გაუარესების უფლება არავის არა აქვს.

ძიძიგურისგან განსხვავებით საპენსიო კანონში შესატან ცვლილებებს დადებითად აფასებს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი. მისგან სხვა პოზიციას, ცხადია, არც უნდა ველოდეთ. ბატონი ვახტანგი განმარტავს, რომ პენსიის დანიშნულებაა, სახელმწიფომ შეძლოს

მოხუცებულობის ასაკში ადამიანების სიღარიბისგან დაცვა. ადამიანის მასხრად აგდებაა, და სხვა არაფერია, თუ ვინმე ფიქრობს, რომ 28 ლარით დღეს მოქალაქეს სიღარიბისგან, შიმშილისგან დაიცავენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ დღეს ჩვენი მოხუცები თურმე არ შიმშილობენ. ბატონი ვახტანგი, ალბათ, არასდროს შეხვედრია ყოველ ნაბიჯზე ბუნკერებში საკვების მაძიებელ ადამიანებს. ხოლო თუ ვინმე უკიდურესად გაჭირვებულია, მათთვის მუშაობს სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც გაჭირვებულებს ბევრად უფრო ეხმარება, ვიდრე პენსია.

კანონის მიღების შემდეგ საპენსიო ასაკი ორივე სქესისთვის ერთნაირი იქნება, ეს თანამდებობის პირებსაც ეხებათ, ანუ ნებისმიერი სოციალური უზრუნველყოფა დაინიშნება 65 წლის ასაკიდან. მეგრელიშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ მანდილოსანთა საპენსიო ასაკი მამაკაცებისას გაუთანაბრდა, ქალბატონებში დადებით რეაქციას უნდა იწვევდეს. რაც შეეხება სტაჟისა და დამსახურებების მიხედვით პენსიების გაცემას, მინისტრის მოადგილის თქმით, სახელმწიფოს ამის სურვილი აქვს, მაგრამ შესაძლებლობა — არა. ბიუჯეტში ამისათვის საკმარისი თანხები არ არსებობს. ამასთან, ამბობს: ეს ადამიანები ათეული წლებია მუშაობდნენ, მაგრამ დღეს შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობაში. ბოლო 15 წლის განმავლობაში შრომითი მოღვაწეობის აღრიცხვა არ მიმდინარეობდა, შრომითი წიგნაკები ბაზრობებზე იყიდებოდა, რასაც თითოეული სურვილისამებრ, საჭიროებისამებრ ავსებდა.

ოპოზიცია მიესალმება ცვლილებების იმ ნაწილს, სადაც პენსიის ზედა ზღვარი 560 ლარით განისაზღვრება. ძიძიგური მიესალმება, თუ პარლამენტართა პენსია კიდევ უფრო დაბალი იქნება.

შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე, კონსერვატორები პენსიონერებს მოუწოდებენ, რომ თვითონვე იაქტიურონ და დღეს 11 საათზე პარლამენტის წინ შეიკრიბონ. ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რომ ეს საკითხი არის ძალზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი, ხოლო მათი საპროტესტო აქციების ფონზე მან ვერ უნდა შეძლოს ხალხის მოტყუება და ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ძიძიგურს იმედი აქვს, რომ საპროტესტო აქციებით და თავიანთი საფუძვლიანი კრიტიკით სასურველ შედეგს მიაღწევენ. ამის მაგალითი ერთხელ უკვე ჰქონდათ, როცა გაყინული პენსიების დასაბრუნებლად იბრძოდნენ.

ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადებით, დღეს საქართველოში 800 ათასი პენსიონერია, მათი კუთვნილი 28 ლარი 2006 წლის ბოლომდე 10 ლარით გაიზრდება. ინვალიდობის გამო პენსიას 180 000 ადამიანი იღებს, აქედან 28 ათასი პირველი ჯგუფის ინვალიდია, მათი პენსია 7 ლარით გაიზრდება. ხალხი ჯერ ამით უნდა დაკმაყოფილდეს. მერე კი, ვნახოთ რა იქნება!

ლელა ხვადაგიანი

⊙ SOS!

„ავიღებ წალდს და ვენახს გავკაფავ...“

საქართველოს ტელეარხების გუშინწინდელი საღამოს ინფორმაციებმა თავზარი დამცა: კახეთში ვენახების გაკაფვა დაიწყეს! სამწუხაროდ, გამართლდა ჩემი ავი წინასწარმეტყველება: სათაურით, „ავიღებ წალდს და ვენახს გავკაფავ“ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილი ჯერ კიდევ 25 აგვისტოს დავბეჭდე. ეს, ფაქტობრივად, იყო ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან გიორგი მახარაშვილთან. მასთან საუბარში შიში გამოვთქვი, რომ მევენახეთა მიმართ მთავრობის გაუმართლებელ პოზიციას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. მინისტრის მოადგილემ დამამშვიდა, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ასეთი რამ არ მოხდესო...

„ალილო და ხვალეო“, — ჩვენს წინაპარს უთქვამს. და აი, მოსახდენი მოხდა! ჩუმლაყელმა ბაბულია რუაძემ ხელში წალდი აიღო და მარჩენალ ვენახს მკაცრი განაჩენი გამოუტანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ, სამწუხაროდ, მარტო ბაბულია რუაძემ არ მიიღო ასეთი გაუგონარი სისასტიკის გადაწყვეტილება. ეს პასუხია მთავრობის

უუნარობასა და უგულობაზე, როცა ადამიანს შრომას დემონსტრატიულად არ უფასებენ. ეს დასტურია იმისა, რომ **სამინისტროს ვერანაირი ხელოვნური ღონისძიება სიკეთეს ვერ მოიტანს.** უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ჩუმლაყელებს ხვალ და ზეგ შეიძლება მიმბაძველები მუკუზანშიც გამოუჩნდნენ, ახაშენშიც და ვაზისუბანშიც...

მახსოვს, სამოციან წლებში როგორ მოედო კახეთს ვენახების გაკაფვის სენი. ამ საქმეს არაკაცები არასასურველ პირთა მიმართ შურისძიების მიზნით აკეთებდნენ. **მაშინ ხალხი აღსდგა დამნაშავეთა წინააღმდეგ, ხალხმა გამოუტანა არაკაცებს მკაცრი განაჩენი. ვაღიარებ: მოხდა მკვლელობებიც, ბევრი პატიოსანი კაცი ამის გამო ციხეში მოხვდა, მაგრამ არა ოფიციალური, არამედ ადამიანური, დაუწერელი კანონების მიხედვით, მათ არავინ ამტყუნებდა, პირიქით, მკერდში მჯიღს იბაგუნებდა, ეგრე მოუხდებათ არაკაცებს, ეგენი რა სასიცოცხლონი არიანო!** ვენახის გაკაფვის გამო ჩემს სოფელ მუკუზანში ბიძაშვილმა ბიძაშვილიც კი მოკლა!

კაცის კვლას, ბუნებრივია, არ ვამართლებ, მაგრამ... მიზეზს გააჩნია. **ვიცით, როგორი თავგამოდებით ებრძოდა ქართულ ვაზს თურქი და სპარსი, მაგრამ ვერც ცეცხლით და ვერც მახვილით ვერ ამოძირკვეს. ვერ ამოძირკვეს იმიტომ, რომ ქართველი კაცი ვაზზე იყო მიბმული, ის იყო მისი კაცობის გვირგვიანი, ვაზით იმედმოცემული ეგებებოდა სტუმარს, აპატიოსნებდა მიცვალებულს.** ამ ერთგულებამ სამოციან წლებშიც გადაარჩინა ქართული ვაზი, მაგრამ ახლა... საშინელება ის არის, რომ ვაზს ყველაზე თავდადებულმა ქომაგმა, მომვლელმა და ამაგდარმა გლეხმა შეაქცია ზურგი! და თუ ამან მასობრივი ხასიათი მიიღო, ჩვენი საქმე წასულია...

მე მესმის ჩვენი კოლეგის, გურჯაანის გამგებლის აკაკი სიხარულიძისა და მჯერა, ისიც არანაკლებ არის შეწუხებული, მაგრამ ასეთი განცხადება, ვაზს ზარმაცები კაფავენო, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელია. ნუთუ სხვა სათქმელი არაფერი ჰქონდა? უფრო ღრმად ხომ არ უნდა ჩავიხედოთ საქმის არსში? განა ჩემი სოფლის ყველაზე გამრჯე ადამიანი არ იყო, გამწარებულმა რომ **მითხრა, ავიღებ წალდს და ვაზს გავკაფავო? მითხრა იმიტომ, რომ ვენახიდან შემოსავალი სანახევროდაც ვერ ანაზღაურებს დანახარჯებს! არადა, გლეხმა სწორედ ყურძნის ფულით უნდა იყიდოს შეშა, ფქვილი, შაქარი, ჩასაცმელ-დასახური. 25-30 თეთრობით რა თანხა უნდა მოაგროვოს, რომ ამ დავიდარაბას თავი გაართვას? ჰოდა, აიღო კიდეც წალდი.** ხვალ იმ ნავენახარში ან მარწყვს დარგავს, ან ატამს. ორივე შემთხვევაში მოგებული დარჩება — დანახარჯსა და შრომის საფასურს სამმაგად ამოიღებს.

მაგრამ... ველარაფრით გაამთელებს ხელისუფლების მიყურისძირებით გაბზარულ გულს.

ერთიც: „იმედის“ ტელეარხის სისტემატური მაყურებელი ვარ. მომწონს მისი პოზიციაც და გადაცემებიც, გუშინწინ კი ცოტა გაოცებული და ცოტა გაწბილებული დავრჩი: ანონსის შემდეგ, ამას და ამას გიჩვენებთო, ვენახების გაკაფვის ფაქტებზე წამყვანს კრინტიც აღარ დაუძრავს. რატომ? იქნებ მე გამომრჩა, ან, იქნებ ტელეარხს ვინმემ თითი დაუქნია? ყოველ შემთხვევაში, ამ ამაზრზენ ფაქტზე საღამოს გადაცემებში აღარც ერთ ტელეარხს ყურადღება აღარ გაუმახვილებია.

არ ვიცი, არ ვიცი... ვიცი მხოლოდ ის, რომ **საქართველოში კიდევ ერთი ცუდი საქმე დაიწყო და ვიდრე კოცონი არ აბრიალებულა, ყური უნდა ავუწიოთ იმათ, ვისი სიბრძნის წყალობითაც კახელი მეზვრე ასეთ უკიდურესობამდე მივიდა. სულ ცაში ნუ დაჰქრიხართ, ჩვენო ძვირფასო ნაციონალებო! ერთხელ დაბლაც ჩამოდით და საკუთარი თვალით იხილეთ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე!** ჩამოდით, სანამ ვენახი ჯერ კიდევ ვენახობს და კახელ გლეხს ნამუსზე სულ მთლად არ აუღია ხელი. ეს თქვენი მოვალეობაა.

ელგუჯა ლებანიძე

⊙ ინფორმაცია

რისთვის ემზადებიან აფხაზები?

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გუშინ 5-დღიანი ოპერატიულ-სამობილიზაციო შეკრება დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას აფხაზური შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები მიიღებენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილისა და გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ზაიცევის განცხადებით, სწავლებაზე „თავდაცვის მინისტრი წლის განმავლობაში ჩატარებულ სამხედრო სწავლებების შედეგებს შეაჯამებს, ხოლო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, როგორც რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მომავალი წლის ამოცანებს დასახავს“.

უახლოეს მომავალში ბენზინის ფასი გაიზრდება

როგორც ინტერპრესნიუსს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა, რამდენიმე დღეა საქართველოში აზერბაიჯანიდან ბენზინი შეზღუდული რაოდენობით შემოდის, რის გამოც ქვეყანაში ბენზინის დეფიციტი შეიქმნება, ეს კი ფასის ზრდას გამოიწვევს.

წყალი მოიმარაგეთ!

დავით აღმაშებლის ხეივნის გასწვრივ წყალსადენის მაგისტრალურ ქსელზე მიმდინარე სამუშაოების გამო, 2 დეკემბრის 11.00 საათიდან 3 დეკემბრის 08.00 საათამდე დიღმის მასივს და ამავე რაიონში მდებარე საავადმყოფოებს წყლის მიწოდება შეუწყდება.

როგორც ინტერპრესნიუსს „თბილწყალკანალის“ ადმინისტრაციულმა დირექტორმა დავით ჭეჟიამ განუცხადა, საქართველოს სამხედრო გზაზე მიმდინარე კაპიტალური სამუშაოების გამო, გზის სავალ ნაწილზე წყალსადენის მაგისტრალური ქსელი შეიცვალა. დღეს კი უკვე შეცვლილ მაგისტრალურ ქსელს მოქმედ სისტემაზე მიაერთებენ.

ჭეჟიას თქმით, დღეს წყალი დაბალი წნევით მიეწოდება წერეთლის და აღმაშენებლის გამზირებს და მათ მიმდებარე ქუჩებს.

მანდარინი დაიძრა!

ბათუმის პორტიდან უკრაინაში გუშინ 5 600 ტონა მანდარინი გაიგზავნა.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, მანდარინის ექსპორტთან დაკავშირებით გუშინ რეკორდი მოიხსნა, ვინაიდან დღემდე ამ ოდენობის ციტრუსის ექსპორტი არ განხორციელებულა. სამინისტროში აცხადებენ, რომ მიმდინარე სეზონზე სულ ექსპორტირებულია 18 600 ტონა მანდარინი. ექსპორტი, ძირითადად, უკრაინაში და რუსეთში ხორციელდება.

წელს 100 000 ტონა ციტრუსის მოსავალს ელოდებიან, რომლის 95 პროცენტი მანდარინია, — წელს ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოსავალი დაბინავდეს, თუმცა, მომავალ წელს უფრო მომზადებულები შევხვდებით. უახლოეს მომავალში აჭარის რეგიონში ციტრუსის გადამამუშავებელი 2 ქარხნის მშენებლობა იგეგმება, — განაცხადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

თბილისის ბიუჯეტი... პროტესტით

თბილისის საკრებულოს კიდევ ერთი ფრაქცია, რომელიც 2006 წლის საქალაქო ბიუჯეტის პროექტს უპირისპირდება, „დემოკრატიული ფრონტია“.

„რესპუბლიკელ“ თინათინ ხიდაშელის თქმით, წარმოდგენილ ბიუჯეტში შვიდი სოციალური პროგრამის დაფინანსება მთლიანად არის ამოღებული, 18 პროგრამას კი დაფინანსება უმცირდება.

აჰა, ადამიანებს აღარ იტაცებენო?

როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია შალვა თვალავაძე და ადრე ნასამართლევი ზაზა სიხარულიძე. მათ ბრალი ედებათ თანხის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებაში, ყაჩაღობაში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში.

თვალავაძემ და სიხარულიძემ 5 სექტემბერს თანხის გამოძალვის მიზნით, გაიტაცეს მოქალაქე, რომლის ვინაობაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ კონკრეტდება. გატაცებული ბანდის წევრებს რამდენიმე დღეში გამოექცა.

ინტერპრესნიუსი

⊙ დღის შეკითხვა

უნდა იყოს თუ არა პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით?

ბეჟან იათაშვილი, ენერგეტიკოსი, პენსიონერი: — მე, შვილო, 82 წლის კაცი ვარ და 57 წლის მუშაობის სტაჟი მაქვს. არჩევნებზე ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მივეცი. გვპირდებოდნენ, პენსიებს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გავცემთო. მაგრამ აბა სად არის? აქამდე ცოტა იმედი მაინც მქონდა, მაგრამ ამ ახალი კანონის პროექტის შემდეგ ისიც გადამეწურა. თუ ისევ 28-ლარიან პენსიაზე დამტოვებენ, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჩინოვნიკებს პენსიას ჩამოაკლებენ თუ არა?

ნათელა თუშიშვილი, ისტორიკოსი: — სხვადასხვა სკოლაში მუშაობით 36 წლის პედაგოგიური სტაჟი დავაგროვე. დღეს მეც და იმ ადამიანსაც, რომელსაც თავისი დღე და მოსწრება ერთი წელიც არ უმუშავია, პენსია 28 ლარი გვაქვს. ეს არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. თუ ხალხზე შესტკივათ გული, მაშინ უბრალო პენსიონერების პენსია აიყვანონ ჩინოვნიკთა პენსიის დონეზე და ასე გაუთანაბრონ ერთმანეთს სოციალური ფენები.

ლევან განუგრავა, ეკონომისტი: — ძველი ჩინოვნიკებისთვის პენსიის შემცირება მაშინ იქნება სწორი, თუ ამის ხარჯზე ჩვეულებრივ პენსიონერებს 28-ლარიან პენსიას გაუზრდიან, მაგრამ, როგორც ვიცი, ახალი კანონპროექტი ამას არ ითვალისწინებს. ჩემი აზრით, ეს კანონი შირმად სჭირდებათ, რათა საბოლოოდ გააქრონ დღის წესრიგიდან სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნა.

სპარტაკ ცაგარეიშვილი, ინჟინერ-მშენებელი: — სტაჟის და დამსახურების მიხედვით პენსიები რომ დანიშნონ, ამისთვის ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხების გამოყოფა მოუწევთ და რაში აწყობთ? ამ ფულს ჩინოვნიკთათვის ჩამოჭრილ პენსიებსაც ზედ დაადებენ და ჯიბეში გაიქანებენ. ჩვენ კი ვიყოთ ხახამშრალები, ვის რაში ვენაღვლებით?

გიორგი მახაური, უმუშევარი: — სპეციალობით ფიზიკოსი ვარ. დღეს სამუშაო არ მაქვს. უსამართლობაა, რომ ზოგიერთს 4-5 ათასი ლარი ჰქონდეს პენსია, მაგრამ არც ის ვარგა, ლამის 800.000 პენსიონერი ერთი არშინით გაზომონ და ერთნაირი პენსია დაუნიშნონ. ამით ცხოვრების სტიმული იკარგება.

ჯაბა ხუზუა

⊙ კითხულობენ

სად წავა დეპოზიტის თანხა?

(პირველი გვერდიდან)

— ამას ყველაფერს საეჭვო ელფერი დაკრავს. იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული თანხა ეტაპობრივად დახარჯულიყო და არ დაგროვილიყო ეროვნული ბანკის ანგარიშებზე, იგი გაჩერებულია. შევარდნაძის ხელისუფლების დროს არსებობდა პრაქტიკა, რომ პენსიონერების განკუთვნილ თანხებს ბანკები აბრუნებდნენ და შესაბამისად, მოგებას ნახულობდნენ. ამჟამინდელი მთავრობის საქციელს, სწორედ კორუფციისა და ეშმაკობის საფუძველი გააჩნია, — განაცხადა ძიძიგურმა.

მისი თქმით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 455 მილიონი ლარი გასახარჯი არ უნდა დარჩენილიყო, კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სწორედ რომ ყოფილიყო შედგენილი.

— როგორ გინდათ, 455 მილიონი ლარი მიმოქცევაში მხოლოდ ახლა გაუშვათ და ამით ეკონომიკას სერიოზული დარტყმა აიცილოთ. ეს ხომ ქვეყანაში ინფლაციას გამოიწვევს, — განაცხადა ძიძიგურმა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

⊙ „სახალხო ფორუმი“

მიესალმება ერი, არჩევითობას მერის

სრულფასოვანი დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი რეალური თვითმმართველობა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება სრულყოფილი დემოკრატიის დამყარებაზე დებს თავს, საქართველოში თვითმმართველობის შექმნას რატომღაც ხელი ეშლება და შედეგად ქვეყანაში ქალაქის მერები და რაიონის გამგებლები კვლავ ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილის თანახმად ინიშნებიან.

რამდენიმე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიამ თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება რამდენიმე თვის წინათ მოინდომა და ამ ინიციატივით ახლადდაკომპლექტებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა. თუმცა ოპოზიციონერების ამ მოთხოვნას ცესკომ ყური არ ათხოვა და მონდომებული რეფერენდუმიც აღარ შედგა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო ფორუმის“, „მრეწველების“, ეროვნულ-დემოკრატიული, ლეიბორისტული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები 1 დეკემბერს რკინიგზელთა კულტურის სახლში შეიკრიბნენ, სადაც „სახალხო ფორუმი“ საზოგადოებრივ მოძრაობად იურიდიულად დააფუძნეს და საქართველოში თვითმმართველობის არარსებობის შესახებ განგაშის ზარსაც კიდევ ერთხელ შემოჰკრეს.

ისინი მომდევნო კვირიდან, მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევითობის თაობაზე ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ და 200 ათასი ხელმოწერის შეგროვების შემდეგ, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოს პარლამენტს მიმართავენ.

„სახალხო ფორუმის“ თავმჯდომარე, აკაკი ასათიანი დარწმუნებულია, რომ 200 ათასზე ბევრად მეტ ხელმოწერას მოაგროვებენ, ხოლო თუ მათ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი არ გაითვალისწინებს, ეს ხელისუფლებას „ძვირად დაუჯდება“.

ინიციატივას მიესალმება რესპუბლიკური პარტიაც, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბერძენიშვილმა ამგვარად განაცხადა:

— დღეს ყველაზე საჭიროა პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების ერთიანობა, რათა მივაღწიოთ ქვეყანაში ისეთ მდგომარეობას, როცა ხელისუფლება ვერ წავა საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ. დროა დამთავრდეს საქართველოში ფსევდო-ავტოკრატიული რეჟიმი და აღარ გვყავდეს ხელისუფალი, რომელიც ქვეყანას ინსტიქტებით მართავს. ჩვენს ხალხს სურს პირდაპირ აირჩიოს მერები და გამგებლები და არა კომუნისტური რეჟიმი.

მოკლე სიტყვის შემდეგ დავით ბერძენიშვილმა ფორუმი დატოვა. მას პარლამენტში მიეჩქარებოდა, რის გამოც შეკრებილთ ბოდიში მოუხადა და დასძინა:

— უნდა დავესწრო თვითმმართველობის სხდომას, რომელიც განიხილავს, როგორი არ იყოს საქართველოში თვითმმართველობაო.

„სახალხო ფორუმის“ მიზნებსა და ქვეყანაში თვითმმართველობის არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრა გუბაზ სანიკიძემაც:

— ქართული სახელმწიფო დღეს უმძიმეს კრიზისს განიცდის, რისი მთავარი მიზეზიც ის არის, რომ ხელისუფლება უგულებელყოფს ხალხის, საზოგადოების აზრს.

ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის არსებობა ამ ეტაპზე ის ერთადერთი მიზანია, რომლისთვის ნამდვილად ღირს თავის შეწუხება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მერები და გამგებლები არ იყვნენ ხელისუფლების ხელდასხმულნი, არამედ — ხალხის მიერ არჩეულნი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის ავირჩევთ, არამედ მნიშვნელოვანია, როგორ ავირჩევთ, — ბრძანა სახელოვანი ლევან სანიკიძის ვაჟმა.

— ხელისუფლება უარს ამბობს დემოკრატიულ ღირებულებებზე და ქვეყანას მართავს ტყუილებით, რომლის ხელოვნებასაც შესანიშნავად ფლობს. მათ ხელს არ აძლევთ ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის არსებობა, რადგან ეშინიათ, რომ ადგილობრივ არჩევნებს წააგებენ, — ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ თქვა.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა — თვით „სახალხო ფორუმზეც“.

რატომ ჩამოყალიბდა ის საზოგადოებრივ მოძრაობად და არა პოლიტიკურ პარტიად?

ამის თაობაზე „სახალხო ფორუმის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, რევაზ შავიშვილმა ილაპარაკა:

— საქართველოს დღეს იგივე პრობლემები აწუხებს, რაც 15-16 წლის წინათ, ამ პრობლემების გადასაჭრელად კი მთელი ერის ძალისხმევაა საჭირო. ერთი პოლიტიკური პარტიის შიგნით ამის გაკეთება შეუძლებელია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩამოვყალიბდეთ საზოგადოებრივ მოძრაობად, რომლის კარიც ღია იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც გული შესტკივა საქართველოზე.

„სახალხო ფორუმის“ წევრობის მთავარი კრიტერიუმი სწორედ სამშობლოს სიყვარულია, — ბრძანა კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, „სახალხო ფორუმი“ და მისი მხარდამჭერი ოპოზიციური პარტიები მერების და გამგებლების პირდაპირი არჩევითობის თაობაზე ხელმოწერების შეგროვებას მომდევნო კვირის ბოლოდან დაიწყებენ.

ჯაბა ხუზუა

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ელის რუსეთის ვიზებს

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აპირებენ საახალწლო დღესასწაულების გატარებას რუსეთში, ამის გაკეთება შეეძლებათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. რუსი დიპლომატები თბილისში ვიზების გაცემას განაახლებენ მხოლოდ მომავალი კვირიდან. ვიზის მისაღებად საჭიროა სულ ცოტა, სამი კვირა. საქართველოში რუსეთის საელჩო იტყობინებოდა, რომ ვიზების გაცემა „დროებით შეწყვეტილია“ ტექნიკური მიზეზების გამო. ახლა ვიზებს აძლევენ მხოლოდ „ზოგიერთი კატეგორიის საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, ოფიციალურ პირებს და ოფიციალური დელეგაციის წევრებს, აგრეთვე, ჰუმანიტარულ შემთხვევებში, კერძოდ, მაშინ, თუ აუცილებელია რუსეთში ჩასვლა სამკურნალოდ ან ავადმყოფი ნათესავის მოსავლელად“.

როგორც თბილისში ვარაუდობენ, მოსკოვმა 14 ნოემბრიდან შეზღუდა ვიზების გაცემა იმის გამო, რომ საქართველო არ აძლევდა ვიზებს რუს სამხედროებს. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ ვლადიმერ ყუფარაძემ „ვრემია ნოვოსტეის“ აცნობა, რომ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ვიზები მიიღო 54 რუსმა ოფიცერმა. მაგრამ კიდევ 500 სამხედრო მოსამსახურე ახალ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს გადააწყდა. სავიზო რეჟიმი მოსკოვმა შემოიღო ხუთი წლის წინათ, როცა თბილისი დაადანაშაულა ჩეჩენი მოთარეშეების მხარდაჭერაში.

მიხეილ ვიგნანსკი, 1 დეკემბერი.

ВРЕМЯ

⊙ ისმინეთ!

2005 წლის 2 დეკემბერს, პარასკევს, 12 საათზე საქართველოს პროფკავშირების ქალთა კომიტეტი აწყობს

საპროტესტო აქციას

საქართველოს პარლამენტში შესული შრომის კოდექსის წინააღმდეგ, რომელიც

- უგულვებელყოფს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუძემდებლური კონვენციების მოთხოვნებს.
- რომელშიც ცალსახად გაუარესებულია მშრომელთა (განსაკუთრებით, ქალთა) უფლებრივი მდგომარეობა.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს შრომის კოდექსის ახალ ვარიანტთან დაკავშირებით და აპროტესტებს შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის ვახტანგ მეგრელიშვილის საჯარო განცხადებას, რომელიც მან პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზე გააკეთა, განაცხადა: მე რომ მეწარმე ვყოფილიყავი, ახალგაზრდა ქალს სამუშაოზე არ მივიღებდი, რადგან ყველა ახალგაზრდა ქალი პოტენციური დედააო.

საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირი მოითხოვს ბ-ნ მეგრელიშვილის თანამდებობიდან განთავისუფლებას, რადგან მას არა აქვს უფლება, ქვეყანაში ხალხის კეთილდღეობის პოლიტიკის გამტარებელი სამინისტროს ხელმძღვანელი იყოს.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ქალთა კომიტეტი.
პრეს-ცენტრი:
რუსუდან მანჯგალაძე
38-04-73, 899 18 49 19

ჟურნალისტური გამოძიება

(პირველი გვერდიდან)

როგორც კონტროლის პალატის მასმედიის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნინო შოშიტაიშვილმა გვითხრა, **კონტროლის პალატის რეალური სექტორის და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი ვასილ გიგოლაშვილი აღნიშნულ პუბლიკაციებში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით ამზადებს მოხსენებითს ბარათს, რომელიც უახლოეს დროში კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე განიხილება.**

ჩვენს შეკითხვაზე — რა შემთხვევაში მზადდება პალატის პრეზიდიუმზე განსახილველი მსგავსი დოკუმენტი, ქალბატონმა ნინომ გვიპასუხა:

„კონტროლის პალატის პრაქტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგაზეთო სტატიაში მოყვანილი ფაქტები ეყრდნობა კონკრეტულ და მნიშვნელოვან მტკიცებულებებს. ვიმედოვნოთ, რომ პრეზიდიუმზე განიხილება არა მარტო ეს საკითხი, არამედ, ფაქტების შესწავლის აუცილებლობასთან დაკავშირებით, შეიქმნება სათანადო სარევიზიო ჯგუფიც, რომელიც კომპეტენტურად და ღრმად შეისწავლის პუბლიკაციებში მოყვანილ ფაქტებს და დასმულ კითხვებს".

ვგონებ, ყინული დაიძრა!

იქნებ საშველი დაადგეს უკანონობის აღკვეთას და „აშოცკ-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზის ლეგალიზაციას

რა მოხდება მერე? უნდა გვჯეროდეს, რომ გაიმარჯვებს ჭეშმარიტება და საქვეყნო საქმის სიყვარული და ერთგულება.

მკითხველს კი შევახსენებთ, რომ საგაზეთო პუბლიკაციებში იყო მოყვანილი შემდეგი დანაშაულებრივი ხასიათის ფაქტები:

1. 2000 წელს დასრულდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის" უკანონო მშენებლობა. დღემდე ეს ხაზი უპატრონოა, უკანონოდ მოქმედებს და არ გამოეყოფა საექსპლუატაციო ხარჯები.

2. იმავე დროს ნინოწმინდის რაიონში შეიქმნა სს „ელექტროსვეტი", რომელმაც დაიწყო კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა — ელექტროენერგეტიკის სფეროში დისტრიბუცია. არადა, სადისტრიბუციო საქმიანობაზე მას დღემდე არა აქვს „სემეკის" მიერ გაცემული ლიცენზია-ნებართვა.

„ელექტროსვეტმა" გააფორმა ხელშეკრულება სომხეთის მხარესთან ელექტროენერგიის იმპორტზე და ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობისგან თითქმის 2002 წლის მიწურულამდე იღებდა მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს.

და ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა ნინოწმინდის რაიონში მოქმედებდა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ენერგოკომპანიის ფილიალი, რომელიც „ელექტროსვეტმა" სავსებით უგულებელყო. ამ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას კი იმჟამინდელი საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად არ ეწინააღმდეგებოდა.

3. „აშოცკ-ნინოწმინდა" და სს „ელექტროსვეტი" არ ამოქმედდებოდნენ:

ა) სს „ელექტროგადაცემის" ხელმძღვანელობას პრინციპული პოზიცია რომ დაეკავებინა თავის კუთვნილ ელექტროქვესადგურ „ნინოწმინდაში" (ნინოწმინდის რაიონი) „აშოცკ-ნინოწმინდის" ჩართვის ნება არ მიეცა.

ბ) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" უცხოელ მმართველებს კი პრინციპული პოზიცია რომ დაეკავებინათ, „აშოცკ-ნინოწმინდა" ელექტროქვესადგურიდან „ნინოწმინდა" გაითიშებოდა.

ეს თუდაც იმიტომ უნდა გაეკეთებინათ, რომ მოგვიანებით, 2003 წელს, „საწარმოთა მართვის სააგენტოს" დავალებით მათ თავად შეადგინეს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხაზი ექსპლუატაციისთვის უვარგისი იყო.

5. „სემეკს" 2002 წლის დეკემბრიდან დღემდე არ უნდა მიეცა გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიისთვის ლიცენზია სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე, რადგან იცოდა, რომ ეს არალეგალური მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის" გამოყენებით მოხდებოდა.

უფრო მეტიც, „სამეკის" ხელმძღვანელობამ არ ჩათვალა საჭიროდ, გაერკვია, როგორ ხდება ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონების ელექტროენერგიით 24-საათიანი რეჟიმით უზრუნველყოფა, როცა სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე ლიცენზიას იგი 2002 წლის ბოლოდან ყოველწლიურად მხოლოდ რამდენიმე თვით გასცემდა, საქართველოს ენერგოსისტემა კი აღნიშნულ რაიონებს ელექტროენერგიას არასალიცენზიო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ გრაფიკის მიხედვით აწვდიდა და არა 24-საათიანი რეჟიმით, რაც ნიშნავდა, რომ გრაფიკით აღნიშნულ რაიონებს მხოლოდ აღურიცხავი ელექტროენერგია მიეწოდებოდა, ელექტროენერგიის წყარო კი სომხეთის ენერგოსისტემა იყო.

6. აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა სამართავად უცხოელებისთვის გადაცემულ „გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას", რადგან ამით სახელმწიფო ბიუჯეტი დაზარალდა.

რაც შეეხება ამ უკანასკნელს — „გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას", ჩვენი სააგენტო შეეცდება, მორიგი საგამოძიებო მასალით, ისევ და ისევ კონკრეტული ფაქტების მეშვეობით, დაადგინოს, რომ ეს კომპანია, რომლის მართვა თავის დროზე, რატომღაც, უცხოელებს „უფეშქაშეს", ფაქტობრივად ქვეყნის ენერგოსისტემას უმძიმეს ზარალს აყენებს.

ნუთუ არავის აკვირვებს, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებობს არალეგალური მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის გამოყენებითაც, ბიუჯეტის გვერდის ავლით და მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ფინანსური ოპერაციები ხორციელდება და ყოველივე ამას კი ეძლევა ერთადერთი გამართლება — „ჩვენ ვზრუნავთ ჯავახეთის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის".

არ დაიჯეროთ. ჯავახეთის კანონმორჩილი მოსახლეობის უმეტესობას არ სჭირდება ამგვარი „მზრუნველობა" თუნდაც იმიტომ, რომ იგი 100 პროცენტით იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს და მას არავისზე ნაკლებად არ აინტერესებს ეს, მართლაც, საქართველოს საკეთილდღეოდ კეთდება თუ სახელმწიფო ბიუჯეტის ავლით ვილაცვილაცეების ჯიბეების გასასქელებლად.

ამიტომ, ვიმედოვნებთ და გვჯერა კიდეც, რომ კონტროლის პალატის ახალი ხელმძღვანელობა მისთვის ჩვეული პრინციპულობით, საქმის ცოდნითა და პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საკითხების განხილვას და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებს.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე".

კომპეტენტური აზრი

სროლა მხოლოდ ბოროტება არ არის

ჩვენი საზოგადოება, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ისეა დამუხტული, ისეა წკიპზე შემდგარი, რომ ყოველი სიახლე მისთვის გაშიშვლებულ ნერვზე ელექტროდენით შეხების ტოლფასია. დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტმა, ამას დაერთო შინაგან საქმეთა მინისტრის სატელევიზიო ბრძანება თავისი თანამშრომლებისადმი, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კრიმინალურ ელემენტთა ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ, რაც, პრეზიდენტის მსგავსი შინაარსის ასევე სატელევიზიო განცხადებას იმეორებს.

ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საპატიო თანამშრომელი, 1983-89 წლებში საქართველოს შსს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი ტარიელ ვარდანაშვილი.

— ბატონო ტარიელ, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი — პროფესიონალის აზრი და ხედვა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მიმართ, თუ საფრთხე დაგემუქრათ, დამნაშავეს დაუყოვნებლივ ესროლეთო... სწორია ეს?

— ეს პროფესიულ ენაზე გაცემული ბრძანებაა, დილეტანტს მან შეიძლება ყური მოსჭრას, მაგრამ პროფესიონალისა და კანონმცოდნისთვის სრულიად გასაგები და მისაღებია. თუ დამნაშავე შეიარაღებულია და საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, კანონით პოლიციელს უფლება ენიჭება იხმაროს ცეცხლსასროლი იარაღი. აქ ორი აზრი არ არსებობს.

— მაგრამ არის, ანუ უნდა იყოს, რაღაც წესი, რაღაც შეზღუდვა ამ პირდაპირი სროლისა. წაგვიკითხავს, კინოფილმში გვინახავს, რომ ჯერ აფრთხილებენ, გამაფრთხილებლად ისვრიან ჰაერში და ა. შ. აქ კი არაფერი მაგის მსგავსი, აილე და ესროლე...

— მინისტრმა მართებულად, ოღონდ ლაკონიურად განაცხადა, თუ ვინმე შეიარაღებულ წინააღმდეგობას გასწევს, მიიღეთ ზომები მისი ლიკვიდაციისთვისო. მთელ ინსტრუქციას ხომ არ წაიკითხავდა. სხვათა შორის, კომუნისტების დროს კრიმინალურ სამყაროს პოლიცია დატერორებული ჰყავდა ათასგვარი ხრიკით: პოლიციელი იარაღს იხმარდა სრულიად კანონიერად და მაინც სჯიდნენ. თუ პოლიციელმა იარაღი კანონიერად იხმარა, ის დასჯას არამც და არამც არ იმსახურებს.

— ხომ შეიძლება ყველა პოლიციელმა პატიოსნად არ გამოიყენოს ეს ბრძანება. ვთქვათ ესროლოს და მერე იარაღი ჩაუდოს ხელში თავის გასამართლებლად და ა. შ.

— რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს... მაგრამ ეს უკვე სიბინძურეა და ამ სიბინძურის განზოგადება მართებულად არ მიმაჩნია. თუ შევაჯამებთ იმ დადებით ტენდენციებს, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში აღინიშნება ბოლო ხანს და დადებითად ზემოქმედებს ოპერატიულ ვითარებაზე, სარეგისტრაციო დისციპლინის (დანაშაულის ფიქსაციის) განმტკიცებაზე, ისეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულობების მკვეთრად კლებაზე, როგორიც არის ადამიანის გატაცება, ყაჩაღობა, მკვლელობა, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ: შინაგან საქმეთა ორგანოები კარგად მუშაობენ.

— მძიმე დანაშაულობებმა იკლო, მაგრამ, სამაგიეროდ, იმატა ქონებრივმა დანაშაულმა: ბინის ქურდობამ, ჯიბის ქურდობამ და ა. შ.

— ქონებრივი დანაშაული ყოველთვის მატულობს ქონების პოლარიზაციის პირობებში, ანუ, როდესაც ერთი კატეგორია მდიდრდება, მეორე კი ღარიბდება. ქურდობა იურიდიული თვალსაზრისით მძიმე დანაშაულობათა კატეგორიაში არ შედის. წელან ხაზგასმულ დადებით ტენდენციებშია ის გარემოებაც, რომ დღეს პოლიციის ოფიცერი აღარ არის მათხოვრის როლში, როცა ხელფასი პურის ფულადაც არ ჰყოფნიდა. ოფიცერიც და რიგითიც უკვე მინიმალურად მაინც უზრუნველყოფილი არიან. ეს კი ამ ხელისუფლების დამსახურებაა. მათ შორის ვანო მერაბიშვილისაც. მოთხოვნა, რასაც ის თანამშრომლებს უყენებს მექრთამეობასთან ბრძოლაში, დიდი საქმეა. წინა ხელისუფლების დროს გაგიგიათ ვინმე მექრთამეობისთვის დაეჭირონ? ახლა კი უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებენ კორუფციის წინააღმდეგ, უპირველესად, თვით სისტემაში. ეს უნდა დავინახოთ!

— მაინც იმ პირველ კითხვას მინდა დავუბრუნდე. მაგალითად, ამერიკაში აქვს პოლიციელს უფლება ასე, გაუფრთხილებლად ესროლოს კაცს?

— ამერიკაში პოლიციელს გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ჩვენთან. ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვან, რომელიც ამერიკაში მოხდა 1980-იან წლებში. საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი სუპერმარკეტიდან გამოვიდა. პოლიციელმა საბუთი მოსთხოვა. კაცმა ხელი ჩაიყო უბის ჯიბეში საბუთის ამოსაღებად. საფულეს და საბუთებს ამერიკელები ყოველთვის შარვლის უკანა ჯიბეში ინახავენ, გულისჯიბეში იარაღი აქვთ. პოლიციელმა ხელის ამოღება არ აცალა და პირდაპირ შუბლში დააწება ტყვია. არც არავინ დაუსჯიათ ამ საქმეზე. მთავარი სუბიექტური აღქმაა იმისა, თუ როგორ აფასებს შენს ქმედებას პოლიციის თანამშრომელი.

კიდევ ვიმეორებ: თუ იმ სიტუაციას გავაანალიზებთ, რაც დღეს საქართველოშია დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, უნდა ვთქვათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამოქმედდა! ავიღოთ პატრული. აქ მე დაგისვამთ კითხვას: თქვენ, როგორც მოქალაქე, კმაყოფილი ხართ პატრულის მოქმედებით?

— დიახ, ძალიან!

— მეც. ვინმეს რომ თუნდაც შარშან ჩემთვის ეთქვა, პატრული ასეთ შედეგებს მიაღწევსო, არ დავიჯერებდი. ადრე ქუჩაში რომ ავტოინსპექტორი, ე. წ. „გაიშნიკი" იდგა, სალამოს თავისი უშუალო უფროსისთვის 10 ლარი უნდა მიეტანა. თუ იმ დღეს ვერ მოახერხებდა, მეორე დღეს უკვე 20 ლარით უნდა ხლებოდა. აი, საიდან იწყებოდა კორუფციის პირამიდა. ფული იმ უშუალო უფროსის დონიდან რომ გაჩერებულიყო, კიდევ რა უჭირდა, მაგრამ პირამიდის წვერამდე ადიოდა. დღეს ეს სისტემა აღარ არის. ამიტომ პატიოსნებამაც იმატა. ამას წინათ ჩემს მეგობარს თბილისის შემოსასვლელთან მანქანა გაუფუჭდა. გამოიარა პატრულმა, გაჩერდა და დახმარება ხომ არ გჭირდებაო, ჰკითხა. დაეხმარა კიდეც. ამ ყურადღებამ ჩემს მეგობარს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ავტოინსპექციის გლეჯა-ყაჩაღობა ახსოვს, გული აუჩუყა.

იხ. მე-6 გვ.

ინფორმაცია

აკურთხეს წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი

კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ტერიტორიაზე გუშინ წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი აკურთხეს. ახლადაშენებული ტაძარი კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) აკურთხა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კი ტაძარში პარაკლისი გადაიხადა.

კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ტერიტორიაზე ტაძრის მშენებლობა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მისი მშენებლობისთვის თანხები ბრიგადის დაფინანსებიდან „წავიდა".

შეჩერებით უშვებენ?

საქართველოში რუსეთის საელჩომ საქართველოს მოქალაქეებზე დროებით ვიზების გაცემა შეაჩერა.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოში რუსეთის დიპლომატიურ კორპუსში განუცხადეს, საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის ვიზების გაცემის შეჩერება ტექნიკურ მიზეზებს უკავშირდება და საელჩო იმედოვნებს, რომ ტექნიკური პრობლემების სრულფასოვნად მოგვარება უახლოეს მომავალში გახდება შესაძლებელი.

საელჩოში მიღებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე რუსეთის ვიზების გაცემა მხოლოდ საქართველოს ოფიციალურ პირებზე და იმ მოქალაქეებზე გაიცემა, რომელთა რუსეთში გამგზავრება ჰუმანიტარულ პრობლემებს, მაგალითად, ავადმყოფობას უკავშირდება.

სატელეფონო საუბრების მოსმენას შსს გააკონტროლებს

სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს" საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ენიჭება მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია, ასევე შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

აქამდე სატელეფონო საუბრების მოსმენას პრეზიდენტის 2004 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე, "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური" ახორციელებდა.

ფინანსურ პოლიციას თავს დაესხნენ

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებზე ნივთმტკიცების წართმევის მიზნით გუშინ შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა.

საქმე ეხება კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული დევიზ ყოლბაიას კუთვნილ 15 ათას კოლოფ სიგარეტს, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ წინა ღამით, სპეცოპერაციის შედეგად ამოიღო. სამართალდამცველებმა



აფხაზეთიდან შემოტანილი სიგარეტი ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ კომბინატის დასახლებაში ამოიღეს. პოლიციამ ყოლბაია დანაშაულის ფაქტზე დააკავა. მან გაქცევა სცადა, თუმცა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელეს, რის შემდეგაც ეჭვმიტანილის დაკავება მოხდა.

ინტერპრესნიუსი

ენერგეტიკა

პოლიტიკური „ეკონომიკა" „გაზპრომის" შესრულებით

მომავალი წლიდან რუსეთიდან მიღებულ ყოველ 1000 კუბმეტრ გაზში საქართველო, როგორც ჩანს, 110 დოლარს გადაიხდის. „საქართველოსთვის მიწოდებულ გაზზე ფასის მომატებით რუსეთმა მიიღო არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამის შედეგად დაზარალდებიან სხვა სახელმწიფოებიც, მაგალითად სომხეთი... საქართველოში გაზის ტრანსპორტირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ „გაზპრომის" ტერიტორიიდან, იქ კი გაზპრომი მონოპოლისტია. ჩვენ ყოველგვარი არგუმენტის და ახსნა-განმარტების გარეშე მოგვთხოვეს 110 დოლარი და ამით ყველაფერი დამთავრდა!.." — განაცხადა მოსკოვში ყოფნისას „ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

ამასთან, 29 ნოემბერს სააგენტო ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, ასევე რუსეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ფორუმზე „რუსული გაზი — 2005", „გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. რიაზანოვმა განაცხადა, რომ დსთ-ს სხვა ქვეყნებისთვის (მაგალითად, მოლდოვისთვის), ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის, ფასი კიდევ უფრო მეტად მაღალი იქნება. მთავარი კი ის გახლავთ, რომ, მისი თქმით, „ამას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს".

სს „გაზპრომთან" გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა.

— მოსკოვში ვიზიტამდე თავდაპირველად, პირადად მე, შემდგომ პრემიერ-მინისტრთან ერთად, ყაზახეთში გახლდით, სადაც მაღალ დონეზე მოლაპარაკებები გაიმართა, შევხვდით ქვეყნის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს, პრემიერ-მინისტრს, „კაზროსგაზის" წარმომადგენლებს, — აღნიშნა ნიკა გილაურმა, — მანამდე, რამდენიმე თვის წინათ, მე და ჩემმა ყაზახმა კოლეგამ ხელი მივაწერეთ მემორანდუმს საქართველოში ყაზახური გაზის მოწოდების თაობაზე. შეთანხმებული იყო გაზის საკმაოდ დაბალი ფასიც.

მოსკოვში გამართულ ბოლო მოლაპარაკებაზე კი, როგორც იცით, „გაზპრომის" წარმომადგენლებმა გამოგვიცხადეს, რომ მომავალი წლიდან გაზის ფასი 110 დოლარი იქნება. ესაა წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ეკონომიკასთან საერთო არაფერი აქვს.

მინისტრის თქმით, **საქართველომ ყაზახეთში გაზი რაგინდ დაბალ ფასად იყიდოს, ტრანზიტის საფასურის გაზრდით რუსეთი („გაზპრომის" სახით) მას ისე დააბალანსებს, რომ მაინც 110 დოლარი დაჯდება**. მოლაპარაკებისას ახლანდელი ფასის (60 დოალრი) თითქმის ორჯერ გაზრდის რაიმე ეკონომიკურად დასაბუთებული არგუმენტები „გაზპრომის" წარმომადგენლებს არ დაუსახელებიათ. ამდენად, ეს არა ეკონომიკური აუცილებლობით ნაკარნახევი, არამედ, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, თუმცა, ცხადია, პირდაპირ ამის შესახებ არავის სიტყვა არ დასცდენია. ძირითადად, ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ „გაზპრომს" ყაზახეთში 2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, რომელიც საქართველომ გაისად უნდა მიიღოს, უკვე ნაყიდი აქვს და მისი ფასია სწორედ 110 დოლარი, ხოლო თუკი ჩვენ სხვა გაზს უფრო იაფად ვიყიდით, იმას მილსადენი ველარ გაატარებს, თუმცა ეს ძალიან სუსტი და ყოვლად გაუმართლებელი არგუმენტია. აქვე იმასაც დავძენ, რომ ზამთრის პერიოდში მოსახლეობისთვის გაზის საფასური არ გაიზრდება, განსხვავებას სახელმწიფო დაფარავს.

— ამდენად, საბოლოო ანგარიშით, მოსკოვში მოლაპარაკება „ნულოვანი" შედეგით დასრულდა?

— არა, მე ასე არ ვიტყოდი. მინდა გითხრათ, რომ ეს ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. დეკემბერში ჩვენ ვაპირებთ მოლაპარაკების გაგრძელებას, თვის დასაწყისში თბილისში ჩამოვლენ „გაზპრომის" წარმომადგენლები და ვიმედოვნებთ, რომ საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტა შესაძლებელია. თანაც მოსალაპარაკებელია საქართველოზე გაზის ტრანზიტის საკითხი. გარ-

და ამისა, არის საქართველოში „გაზპრომთან" ერთად ერთობლივი საწარმოს შექმნის იდეა, რასაც ყოველმხრივ მივესალმებით. ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, ფოთამდე გაზსადენი, ახალი გაზტურბინა, ანდა ქიმიური საწარმო. ანუ ისეთი სახის ობიექტი, რომელიც გაზს მოიხმარს.

— არაოფიციალური ინფორმაციით, ახლო მომავალში საქართველოში ველოდებით ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს დელეგაციას. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს?

— ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით.

— თუკი საბოლოოდ „გაზპრომთან" მოლაპარაკება მოწოდებული გაზის საფასურის საკითხთან დაკავშირებით უშედეგოდ დასრულდა, არსებობს თუ არა ალტერნატიული წყაროს გაჩენის შესაძლებლობა?

— სამომავლოდ ასეთი წყაროა შაჰ დენიზის საბადო, აგრეთვე შესაძლებელია ირანიდან გაზის შემოტანა.

— რეალურად ეს რამდენ ხანშია მოსალოდნელი?

— შაჰდენიზიდან გაზის მოწოდება, ფაქტობრივად, 2007 წელს დაიწყება. ამასთან, აზერბაიჯანიდან გაზის მიღება საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მას თავად შემოაქვს იგი რუსეთიდან და თუკი მის ნაწილს ჩვენ მოგვაწვდის, მან თავად უფრო მეტი უნდა იყიდოს, რაც საკმაოდ არარეალურია. თუმცა, შესაძლოა, თურქეთმა სრულად არ იყიდოს თავის წილი და ეს „მორჩენილი" ნაწილი უკვე საქართველომ შეიძინოს. ეს ვარიანტი უფრო რეალურია, ვინაიდან თურქეთს ამჟამად უფრო მეტი გაზის მიღებაზე აქვს კონტრაქტები დადებული, ვიდრე რეალურად სჭირდება. ამიტომ შესაძლებელია, რომ შაჰდენიზის გაზის ნაწილი თურქეთამდე არ ჩავიტანოთ და ჩვენ თავადვე მივიხმაროთ, ხოლო მისი საფასური პირდაპირ თურქეთს გადავუხადოთ.

— „თბილგაზის" სამომავლო ბედი როგორი იქნება, თუ იყო ამის თაობაზე მოლაპარაკება?

— დიახ, ამის შესახებ უკვე იყო სერიოზული საუბარი, „თბილგაზის" მიმართ დიდ დაინტერესებას იჩენს ყაზახეთის და არა რუსეთის მხარე, რომელსაც ძალიან აინტერესებს ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი, რაზეც ვპასუხობთ, რომ მისი გაყიდვა ამ ეტაპზე ჩვენ გეგმებში არ შედის. „თბილგაზის" თაობაზე მოლაპარაკება 2006 წლის პირველ კვარტალში დასრულდება.

— რა მდგომარეობაა ქვეყანაში ენერგეტიკული თვალსაზრისით ამჟამად, როგორი ზამთარი გველის?

— ჯერჯერობით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 24-საათიანი ელექტრომომარაგებაა. მინდა გითხრათ, რომ ელექტროენერგია იმაზე მეტი გვაქვს, ვიდრე იმისთვისაა საჭირო, რომ მთელი საქართველო დღე-ღამის განმავლობაში იყოს განათებული. სოფლებში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა კომუნალური წესით ხდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ 40-50 აბონენტი ერთ მრიცხველზეა ჩართული. როცა მომხმარებელი საფასურს იხდის, მას ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება, თუკი რაიმე ფორსმაჟორული სიტუაცია არ შეიქმნა. საქმის გაგრძელების სწორედ ასეთი მაჩვენებლებით ვაპირებთ.

— გრძელვადიან პერსპექტივებზე რას იტყვით?

— შემდგომ ეტაპზე, პირველ ყოვლისა, ვიზრუნებთ მდგრადობის გაძლიერებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ენერგოდეფიციტის საშიშროება აღარ იქნება.

— მოსახლეობა კომუნალური მრიცხველებით უკმაყოფილებას რომ გამოთქვამს?

— თავდაპირველად სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გვქონდა. მინდა გითხრათ, რომ ვინც ახლა კომუნალურ მრიცხველებს ყველაზე მეტად იწუნებს, იმანაც იცის, სხვა საშუალება რომ არ იყო. იმასაც გეტყვით, რომ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა, საქართველოში ყველას ინდივიდუალური მრიცხველი რომ ჰქონდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ, თუ რა სახსრებია საჭირო იმისთვის, რომ მოსახლეობას 660 ათასი ცალკე მრიცხველი დავუყენოთ?! გარდა ამისა, ამისთვის დრო და ტექნიკური შესაძლებლობებიც ხომ საჭიროა? სამ თვეში თითქმის ათი ათასი კომუნალური მრიცხველი დავაყენეთ, რაც ურთულესი საქმე იყო. არსებობდა ორი ვარიანტი. ან მოსახლეობისთვის ელექტროენერგია არ უნდა მიგვეწოდებინა ვიდრე ინდივიდუალურ მრიცხველებს არ დავაყენებდით, ანდა დაგვეყენებინა კომუნალური მრიცხველები. ჩვენ მეორე ვარიანტი ავირჩიეთ და, ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცით.

ოთარ ტურაბელიძე

პრეზენტაცია

SWIFT-ის არხებით ანგარიშსწორება მოქნილი და ეკონომიურია

კარგი ბანკირი ხალხის ქონების დამცველია. ის პიროვნებაა, რომელიც ფულს ზარალისგან იცავს. ის თავად წარმოადგენს საიმედოობას. დღეს ბანკირი ცენტრალური ფიგურაა, ამიტომაც ყოველივე სიახლეს, რაც მსოფლიოში არის დანერგილი და აპრობირებული, სულ სხვა თვალით უყურებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ორ დღეს მიმდინარეობდა სემინარი თემაზე: „საკლირინგო სისტემა" პროექტები და პერსპექტივები". მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს SWIFT-ის (საერთაშორისო გადარიცხვების სისტემაა), მაღალი ტექნოლოგიების კომპანიების SWIFT-ის, CMS-ის, HP-ის და საქართველოს კომერციული ბანკების წარმომადგენლებმა.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ღლონტმა ჩვენთან საუბარში ასე განაცხადა: წელს ეროვნულმა ბანკმა აქტიური მუშაობა დაიწყო საქართველოში საკლირინგო სისტემის დანერგვის მიმართულებით, რასაც დღევანდელი სემინარის თემა ეძღვნება. ვიმედოვნებ, რომ ეროვნული ბანკის ინიციატივას გაიზიარებენ კომერციული ბანკებიც და საქართველოში SWIFT-ის არხების გამოყენებით „ავტომატიზებული საკლირინგო სახლი" (ACH) შეიქმნება. ამ სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სივრცისთვის, რადგან იგი გაამარტივებს, გააიაფებს და დააჩქარებს ლარით წარმოებულ ანგარიშსწორებას".

SWIFT-ის მენეჯერმა დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეგიონში სტივენ პალსტერმანსმა სემინარზე SWIFT-ის ახალი სერვისების, სტრატეგიებისა და იმ ცვლილებების პრეზენტაცია გამართა, რაც აღნიშნულ სისტემაში ბოლო პერიოდში მსოფლიო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა.

„სემინარის მიზანია საქართველოს საბანკო სექტორს საგადამხდელო სისტემების მოდერნიზებაში დავეხმაროთ. როგორც ცნობილია, SWIFT-ის უახლესი ტექნოლოგიები ხელს შეუწყობენ გადარიცხვების მდგრადობასა და სისწრაფეს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას განაპირობებს", — თქვა სტივენ პალსტერმანსმა.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" შედგა ორი ალტერნატიული საკლირინგო სისტემის მოდელის პრეზენტაცია. ეს მონაწილეებს არჩევანის საშუალებას მისცემს, რათა თავიანთ საქმიანობაში უფრო პრესტიჟული მოდელი გამოიყენონ და საკლირინგო ანგარიშსწორების სისტემა გააადვილონ, მოხერხებული და მნიშვნელოვნად ეკონომიური გახადონ.

ცნობისთვის დავძენთ, რომ საერთაშორისო გადარიცხვების სისტემა SWIFT-ში მსოფლიოს 204 ქვეყნის 77350 საფინანსო დაწესებულება არის ჩართული — საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნულ სისტემაში 1996 წლიდან გაწევრიანდა. ამჟამად SWIFT-ის მომსახურებით სარგებლობს საქართველოს 19 კომერციული ბანკი, რომელთა მიერ გადარიცხვები ინდივიდუალურ რეჟიმში ხორციელდება.

ლალი ქინქლაძე

სულიერმა დეგრადაციამ გამოიწვია ეკონომიკური გაჭირვება, და არა — პირიქით

მეგზაურობს ნოშა ცხაკაია

***დაამთავრა:** თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი; სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოდრამატურგიის ფაკულტეტი; კინოს საერთაშორისო ინსტიტუტის (VGIK) კინოსა და ტელევიზიის რეჟისორის ფაკულტეტი.*

ქართულ პერიოდიკაში 1998 წლიდან იბეჭდება. მიღებული აქვს პრიზები და პრემიები (რეჟისურაში, მწერლობაში, დრამატურგიაში). მისი პიესების მიხედვით განხორციელდა დადგმები თეატრებსა და რადიოში. გადაღებული აქვს ფილმები და სერიალები.

გამოცემული აქვს წიგნები: „ალბატროსების ჯოგი“; „ფერები და შიმშილი“; „ზონაში“.

მუშაობს დამდგმელ რეჟისორად კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში.



1. რას ფიქრობთ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

●**თანამედროვე** ქართული ლიტერატურა აგებულია ერთ პრინციპზე, — „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“, ანუ უკვე დაწერილი. ჩემი და ჩემზე ახალგაზრდა თაობის მწერალთა შემოქმედება ამ სიტყვებით ყველაზე კარგად ხასიათდება. მხოლოდ დავამატებდი, რომ „ყველაფერი ახალი, რომელსაც კარგად, გენიალურად ვთვლით, ძალიან-ძალიან-ძალიან მაგრად დავიწყებული ძველია“.

●**წიგნის** კომერციისა და ბიზნესის საგნად გადაქცევა გამართლებულია, რადგან საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ბიზნესი უნდა ეხმარებოდეს (და იმედია, ასე იქნება) არაკომერციული და ელიტარული ხელოვნების განვითარებას.

●**ეკონომიკური** სიდუხჭირე, რომელსაც რატომღაც ყველა უკავშირებს სულიერ დეგრადაციას, რაც უმართებულოა. სულიერმა დეგრადაციამ გამოიწვია ეკონომიკური გაჭირვება და არა — პირიქით. ამიტომ ხალხში გავრცელებული ფრაზა ვიპარავ-ვკლავვტყუი, იმიტომ რომ მიჭირს, უფრო დემაგოგიაა, ვიდრე სიმართლე.

●**ჩვენ** ტრადიციულ კლასიკურ მწერლობაზე აღვიზარდეთ. ამაში, ავად თუ კარგად, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, მწერლობა კი არა, მასწავლებლები არიან დამნაშავენი და უნდა აღზარდონ მომავალი თაობები.

სამაგიდო წიგნები არის: ეფრემ II დროს გამოცემული „სახარება“, სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“.

●**ენა** იტანს ექსპერიმენტებს, მაგრამ მწერალმა არ უნდა „გაუტიოს“ ამ საკითხში, რომ შემთხვევით მას თავი ფარნავაზი ან ახალი შოთა რუსთაველი არ ეგონოს. ეშმაკს არასდროს სძინავს, და არ სძინავს მას, მით უმეტეს, ენის საკითხებში.

●**დავამთავრე** 90-იანი წლების ცხოვრების ამსახველი ერთი ახალი რომანი. ამჟამად ვმუშაობ პიესაზე და ვაგროვებ მასალას ახალი რომანისთვის.

ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა

კობა ცხაკაია

ქვიშის ცნობიერების საწყისები...

აბსურდულ-ფილოსოფიური რეალიზმის ნაზავი

პერსონაჟები:

კახა — *ისტორიების მოყვარული.*

გიჟუა — *დრო და დრო იფშვნება.*

კახა — ***(მაგრაა დაქოქილი)*** თქვენ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ სიმკვრივეზე. ზედმეტად ბევრს. იმდენს ლაპარაკობთ ამ თემაზე, რომ ნელ-ნელა ეჭვი გეპარება საერთოდ რატომ აიკვიატეთ ეს აზრი? რა გინდათ?... გეკითხებით რა იცით სიმკვრივის შესახებ? რატომ გინდათ მის შესახებ სხვისი აზრის გაგება?...

გიჟუა — ***(სევდანარევი ღიმილით)*** მმმ!

კახა — ***(რომანტიული ინტონაციით)*** წევხარ აქ, ტრიალებ, ცდილობ დაიძინო, ფანჯარაში მთვარე ანათებს, და უეცრად სიმკვრივეს ჰგრძნობთ... საშინელი სიმკვრივეა ირგვლივ... ხელს აფათურებ და გსურს, რომ შენს გვერდით თხევადი, ან შლადი იგრძნო, მაგრამ... ირგვლივ არავინ არ არის...

გიჟუა — ***(მკერდში მჯიღს იკრავს და ოხრავს)*** მმმ! მმმ! მმმ!

კახა — თქვენი შიში ძალიან ჰგავს თაგვის ინსტიქტურ შიშს. თქვენ უბრალოდ ვირთხა ხართ... რომელმაც არ იცის, როგორ იცხოვროს... ვირთხა, რომელიც მოკვდება, თუ არ შეეხო კბილებით რაიმე სიმკვრივეს... თუ რაიმე არ გამოხრა... ბოლოს და ბოლოს თქვენ, ხომ ადამიანი ხართ, ან იყავით... და დამოუკიდებლობის უსაზღვრო და ძვირფას განძს უფრთხილდებოდით... დაიმახსოვრეთ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი შიში უნდა ახასიათებდეს სულელს, დეგენერატს, არამზადას და არა ჭკვიან, კეთილშობილ, ვაჟკაც ადამიანს...

გიჟუა — ***(ღმუის)*** მე რად მინდა მკერდში გულიიი?!

კახა — ***(პირზე ხელს აფარებს)*** ეხლა მოგიყვებით ისეთი სიმკვრივის შესახებ, რომელიც არც კი განგიცდიათ... ეს მდგრადობის განსაკუთრებული ფორმაა. ეს არაა შეშინებული კაცის სიმკვრივე, რომელიც მოსალოდნელი შიშის გამო მოიბუზა... ეს სულ სხვა სიღრმეებისა და სიმაღლეების სიმკვრივეა. ფიზიკური და რეალური... ***(მცირე პაუზა)*** კატასტროფის შემდეგ უკაცრიელ კუნძულზე, ან მიუვალ მწვერვალზე მოხვედრილი ადამიანი სულ სხვანაირად იწყებს აზროვნებას... ის, სხვაგვარად უყურებს შენარჩუნებულ სიცოცხლეს და სამყაროს... მისი გაერთიანებული და გაკაჟებული სხეული-სული ახალი მინაერთებით ივსება და მძლავრდება... ასეთ მდგომარეობაში ყველანაირად გაკვირვებული მარტოსულები, რომლებიც რეალური ხალხით გადაჭედილ სამყაროში, ჯამური განზომილებით — მაცხოვრის ერთეულს წარმოადგენენ, ახალ სიმაღლეებსა და ახალ სიღრმეებს ჰქმნიან, მატერიალური და სულიერი სამყაროები ჰარმონიზაციისათვის...

გიჟუა — ***(უნდობლად იღიმება)*** მარტოდ დარჩენილი მკვრივი ადამიანი, ყოველთვის ეცემა ძირს... ჯერ ფოთოლივით ეშვება და ლამაზ, ნარნარ მონახაზებს აკეთებს ჰაერში, მაგრამ შემდეგ... რაღაც მომენტში ქვასავით მიექანება და ენარცხება ტალახში... ეხეთქება მიწაზე, ან შეიჭრება ქვიშაში... თან ყოველთვის ან გულაღმა, ან გულდაღმა... არასოდეს გვერდზე...

კახა — ***(უახლოვდება გიჟუას, და თვალებში უყურებს. ის აღფრთოვანებულია მოსაუბრით)*** გიჟუა რა მაგარი ხარ. გიჟუა, თან ძალიან მაგარი სახელი გქვია... გიჟუას შესახებ ჯერ კიდევ ბავშვობაში მსმენია... ესაა უამრავი-ფანტასმაგორიული ლეგენდა, ქვასავით მაგარი შეუდრეკელი კაცისა... ის, ციხის მეცხრე სართულიდან გადმოხტა ქვიშით დატვირთულ მანქანაზე და ასე გაექცა ხანგრძლივ და აუტანელ ტუსაღობას... გიჟუა სამყაროში ერთადერთია, ყველაზე რისკიანი თავისუფლების მოყვარული ადამიანთა შორის, რომელიც პირადად მინახავს და შემხვედრია... ის, ვაჟკაცია... და ყოველთვის უდრეკი, გრანიტად ქცეული გმირი იყო ყველასათვის...

გიჟუა — ***(მკერდში მჯიღს იკრავს)*** მმმ! მმმ! მმმ!

კახა — მაგრამ არავინ იცის ეშინოდა თუ არა მას მაშინ... და გაიმეორებდა თუ არა იგი დღეს იგივეს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად... გმირი ერთი და იგივე გმირობას ველარ სჩადის, რადგან ის ან კვდება, ან... ეს, სამყაროს არამზადული კანონია... თუმცა მოდით თავიდან დავიწყოთ. ვინ იყო, ანუ ვინაა იგი — გიჟუა?

გიჟუა — ***(სევდანარევი ღიმილით)*** მმმ!

კახა — ის ქურდია და თანაც კანონიერი... რამკიანი. პროფესიონალია, პოლიციელებისა და ფრაერების რისხვა... მან არაერთხელ მოახდინა სასწაული...

გიჟუა — ***(სევდანარევი ღიმილით)*** მმმ!

კახა — რამდენჯერმე საკნის კარიც კი მოუგლეჯია და მიუტანია სატუსაღოს უფროსთან — უამისოდაც კარგად გავძლებო... შემდეგ კი ამაყი, განუმეორებელი ნაბიჯით შეუღლაჯებია კამერაში... თუმცა უფრო მაგარი სასწაულებიც ჩაუდენია, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს უკანასკნელი, რომელიც...

გიჟუა — აღდგომიდან მეორე დღეს. ორშაბათს მოხდა.

კახა — ის დაეცა ქვიშით სავსე მანქანაზე, რომელიც მიდიოდა... სად მიდიოდა?

გიჟუა — ***(მხრებს იჩეჩავს და უხერხულად იღიმება)*** მმმ! მმმ! მმმ!

კახა — რაღაცის ამოსავსებად... გიჟუა ისე ძლიერად დაენარცხა და ისე ღრმად ჩაეფლო ქვიშაში, რომ მას ვერავინ ხედავდა... თუმცა ისიც ვერავის ხედავდა, რადგან ყველაფერთან ერთად მან გონებაც დაჰკარგა...

გიჟუა — ***(ის იწყებს ნელა და მძიმედ მოყოლას)*** ქვიშა, შავი უნდა ყოფილიყო, ის კი ყვითელი გამოდგა, თანაც გაუცრელი... თანაც სველი... შავი ქვიშა უფრო რბილია და უფრო ნაზი... ხოლო ყვითელი მკვრივი და უხეში... პირქვე დავეცი და გონება დავკარგე... ვარდნა მიუხედავად ქვიშის არც თუ ისეთი მაგარი სიმკვრივისა, საკმაოდ ძლიერი გამოდგა... თუმცა, ჩემდაუნებურად დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე ჩავეფალი... როცა გონს მოვედი, ირგვლივ ყველაფერი ყვითელი იყო... უფრო ჩირქისფერი... თავი ჯერ სამოთხეში მეგონა ***(იცინის)*** მაგრამ შევცდი... ეს იყო ქვიშის დიდი მასსა... ყვითელი მკვრივი ნისლი... ნაღველისფერი, ბოტკინისფერი ნისლი... ***(იძაბება)*** ნუთუ ასეთი ფერისაა თავისუფლება-მეთქი?...

კახა — ორიოდე საათში ქვიშა დაიძრა და მაგარ ადგილას დაეშვა... შემდეგ ის მთელს სიგრძე-სიგანეზე გაშალეს და გიჟუა მიხვდა, რომ ქვიშად ქცეულიყო.

გიჟუა — ***(უხერხულად იღიმება)*** დარტყმისაგან ნაწილებად დავიშალე... ***(ჯიბიდან იღებს ქაღალდის ნაგლეჯს და კითხულობს)*** როგორც კახაბერმა დამიწერა — როცა ნაწილაკი მიისწრაფის განთავისუფლებისაკენ და ძლიერი ნების გამოვლინების შემდეგ წყდება, განგებით ბოძებულ ადგილს, რის შედეგადაც ეჯახება მეორე ზედაპირს, რომელსაც არ სურდა მისი გათავისება. ნაწილაკი ამ ზედაპირს შეერწყმის და მის ცენტრალურ სივრცედ იქცევა ***(მალავს ქაღალდს)***. ასეთი ყოფილა ფიზიკის ძირითადი კანონი... არ ვიცოდი.

კახა — დიახ. ის ქვიშის სივრცედ იქცა... და სად? პოლიციის აკადემიის ეზოში, სადაც კურსანტები მარშირებას გადიოდნენ... ფეხბურთს თამაშობდნენ, დამნაშავის დაჭერაში ვარჯიშობდნენ და თავისუფლად მოპარპაშე ყველა ქურდის დატუსაღების ფიცს დებდნენ...

გიჟუა — ***(მხრებს იჩეჩავს, ცდილობს უდრტვინველი სახე მიიღოს)*** ქვიშაში მარტო არ ვიყავი... ამას ვგრძნობდი... იქ იყო ციხის უფროსის და მთავარი ზედამხედველის რაღაც ნაწილები — მათ სხვა და სხვა დროს ფანჯრიდან გადმოაფურთხეს ქვიშით სავსე მანქანაზე... ასევე ერთერთი ადვოკატის დაცემინებისას ცხვირიდან გადმოსროლილი ლორწოვანი შხეფებიც იყო...

კახა — მმმ!

გიჟუა — უპატრონო ძაღლის უმნიშვნელო ნაწილები და ნაწილაკები... მარტო მე ვიყავი მთლიანად განთავსებული ამ ყვითელ გროვაში... ***(ამოიოხრებს, მაგრამ თავს ხელში აიყვანს და აგრძელებს)*** ფაქტიურად შეიძლება ითქვას — დილამდე არ ვიცოდი სად მოვხვდი... მანქანიდან ჩემი გადმოღების შემდეგ მხოლოდ ზევით ყურება შემეძლო. მოჩანდა ვარსკვლავები და დროშა... ***(ხმა უკანკალდება, ლამის ტირილს იწყებს)*** ვარსკვლავები და დროშა. მთვარე არ დამინახავს.

კახა — ***(აღგზნებულია)*** პირველმა მე დავინახე, რომ იქ, აკადემიის ეზოში ქვიშად გაბნეული ადამიანი იყო. ცოცხალი, მაგრამ უძრავი და სევდიანი... თვალებს არ დავუჯერე, ადამიანი-ყვითელი ქვიშა! როგორ შეძლო მან ამის გაკეთება? ან როგორ მოხვდა ის, აქ? ან, რამ გარდასახა ის ისეთად?

გიჟუა — ***(ისიც აღგზნებულია)*** დავინახე ნახევრადშეშველი ადამიანი, რომელიც მიყურებდა როგორც ადამიანს და არა როგორც...

კახა — ***(აწყვეტინებს)*** არ გინდათ დეტალები... მარტო არ ვიყავი. სხვათა შორის აკადემიაში არა მარტო კაცები სწავლობენ.

გიჟუა — ირგვლივ სხვა არავინ ჩანდა...***(ეშმაკურად)*** თუმცა გოგონას ვნებიანი ხმა კი ნამდვილად მესმოდა... აა-აააა! მერე კი უუ-უუ-უუ! შუალედებში კი — ვვ-ვვ-ვვ! და კიდე...

კახა — ***(აწყვეტინებს)*** მაგრამ უეცრად დაუბერა ქარმა და გიჟუას „გაქვიშებული“ სხეული ეზოს გარეთ, ღობის იქით გა-და-ხვე-ტა... ამის გამო ჩემს აღმოჩენაში ეჭვიც კი შემეპარა... კიდევ ვცადე ამ უცნაური ხილვის გადამოწმება და ღობის გისოსებს მივუახლოვდი... გიჟუას, თავი და მარცხენა კიდური, ბაბუაწვერებს შორის მოქცეულიყვნენ და ისინი ახლა, მხოლოდ ზოგადად თუ ჰგავდნენ ადამიანის სხეულის ნაწილებს... ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ქვიშა კვნესოდა.

გიჟუა — ***(იწყებს ენერგიულ ჟესტიკულაციას)*** როცა ღობის იქით მოვხვდი, ბალახებსა და ფოთლებს შორის ნესტი აღმოჩნდა... დავსველდი და რადიკულიტმა შემაწუხა... ეს იყო და ეს... ***(აგრესიულად)*** არანაირი კვნესა არ ყოფილა... ქვიშა არ კვნესის... ის, მხოლოდ იფანტება.

კახა — გიჟუა ქვიშა იყო, მაგრამ გიჟუასავით მშფოთვარე.

გიჟუა — მეე... ბაგეებით ვეხებოდი მცენარეების ღეროებს, მაგრამ ისინი სულ სხვანაირად იქცეოდნენ... ისინი მცირე ზომის შეკრულები, მკვრივები და ერთიანები იყვნენ... მე კი, ბევრი, ვრცელი და შლადი ვიყავი...

კახა — მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა — ძალიან ბევრი ვიყავი, მაგრამ ვხვდებოდი — მცენარეები პატივისცემის ღირსადაც კი არ მთვლიდნენ... მათ ჰქონდათ ფესვები, ღეროები, ბუტკოები... მე კი მრავალრიცხოვანი, ყვითელი ქვის ნაწილაკები ვიყავი...

კახა — ***(მკერდში მჯიღს იკრავს)*** მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა — შეიძლება, ეს არც მათი მშობლიური მიწა იყო და მცენარეებიც ქარმა აქ ცხრა მთას იქიდან მოიტანა პატარ-პატარა მარცვლების სახით, მაგრამ ჩემთან შედარებით ისინი ქვიშა არ იყვნენ... მათ უკვე ფესვები გაედგათ, ფორმა და ინდივიდუალური სიმკვრივე მოეპოვებინათ... გავბრაზდი, მაგრამ... რას ვიზამდი შეკრულთან და მკვრივთან? მით უმეტეს როცა ქარი უბერავდა...

კახა — ***(მაყურებელს)*** თქვენ ალბათ იცით ამას ცემენტი, ან თიხა როგორ აკეთებს?...

გიჟუა — ***(აწყვეტინებს. ცდილობს თავისი გაიტანოს და ისევ ძველ გიჟუად იქცეს)*** ყვითელი ქვიშა ძალიან მაგარია, მხოლოდ მას კარგი დამუშავება უნდა და გამოცდილი ხელი სჭირდება... მისგან ამზადებენ ფანჯრის მინებს, ტელევიზორების ეკრანებს, ბოთლებს, და კიდევ უამრავ რაიმეს... მართალია მანამდე მასში რაღაც-რაღაცეები უნდა შეურიო და დიდხანს ადნო...

კახა — მმმ!

გიჟუა — თუმცა ეს ყველაფერი მტვრევადია, მაგრამ ლამაზი და ათასფერა... ***(გაახსენდა)*** ახლა ტყვიაგაუმტარ მინებსაც ამზადებენ...

კახა — ***(აწყვეტინებს)*** ქარმა კიდევ ერთხელ დაუბერა და მისი გაფანტული სხეული გზაზე გადაიტანა... პოლიციის აკადემიის გვერდით მდებარეობს ტრასა, რომელიც მიდის მეორე აკადემიისაკენ — ოღონდ უშიშროების აკადემიისაკენ, შემდეგ ქალაქგარეთ განთავსებულ საგიჟემდე და ბოლოს იდუმალი მიმართულებით მთებსა და ბორცვებს შორის იკარგება... როგორც იქიდან მოსულები ამბობდნენ... იქ, არაფერი არ არისო...

გიჟუა — ***(ადასტურებს)*** იქ, არაფერი არ არის...

კახა — ქარმა ელვისებური სისწრაფით აიტაცა გიჟუას ნაწილაკები, დაატრიალა და გზის ორივე მხარეს მიმოატარა-მიმოხვეტა-მიმოასეირნა-მიმოაქროლა... მას შეუერთდა... ბაბუაწვერას ბუსუსები... მტვერი და ნაგავი... შემდეგ კი ეს დამძიმებული მასსა, ადრეული შემოდგომის ტალახიანი ცისკენ ერთიანად ასტყორცნა, ლამპიონების თავზე მოაქცია, გადაატარა სარეველათი გავსებულ მდელოს, გადაავლო აკადემიის ღობეს და ძველ ადგილას დააბრუნა... გიჟუას ამდენი ბზრიალ-ტრიალისაგან გონება ჰქონდა დაბინდული, დაბრუებული, დარეტიანებული და დანესტიანებული. ის ასფალტის საფარში გაჩენილ უსწორმასწორო ორმოებში მცირე ზომის გორგოლებად ქცეული დაეყარა და მძიმედ აქოშინდა...

გიჟუა — ***(აწყვეტინებს.)*** როცა სული მოვითქვი და აზრზე მოვედი უკვე გათენებულიყო. მზე მაგრად აცხუნებდა... ირგვლივ ისმოდა სამხედრო მარშები. ჟრიამული. პოლიციელთა ფეხსაცმელები მწყობრი და ენერგიული ნაბიჯით ჩემს გაფანტულ-გაქიაქებულ სხეულზე დააბიჯებდნენ. მე კი, ყვითლად ვიყავი განფენილი ამ სავარჯიშო მოედნის მთელს პერიმეტრზე...***(ოხრავს)***

კახა — ***(ჩვეულებრივი მშვიდი და უბრალო ინტონაციით)*** მთელს პერიმეტრზე?

გიჟუა — მაშინ დავფიქრდი პირველად იმაზე თუ რა არის ნამდვილი თავისუფლება — როცა შენ ხარ, მაგრამ ვერავინ გამჩნევს, თუ როცა ყველა გხედავს და ადვილი დასაჭერი ხარ?

კახა — ***(მხრემს იჩეჩავს და უხერხულად იღიმება)*** მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა — ***(თითქოს არ ესმის)*** ამაში არაფერია გასაოგნებელი... როცა გინდა თავისუფლება, მაგრამ არ შეგიძლია მისი თავისუფლად მოპოვება — ქვიშობა-გაქვიშავება-ქვიშნარობა, ნორმალური მდგომარეობაა... ქვიშა, ეს ისტორიული აუცილებლობითა და რეალური გარდუვალობით გამოწვეული აქსიომების ნაზავია.

კახა — მმმ!

გიჟუა — ***(ტირის, ცდილობს კიდევ მოიყვანოს არგუმენტები)*** სხვანაირად აზრი არა აქვს ჩემს მოპარულ თავისუფლებას... ესაა — სიბრძნის და სიცოცხლის, მუჟიკისა და ძაღლის, შარაგზის მტვრისა და ნაგვის, აბეზარი ქარისა და ფესვგადგმული მცენარეების თესლებისაგან თავდასაცავი უებარი საშუალება... ეს, ერთ დროს მაგარი ვაჟკაცის, მაგრამ ახლა ტყვეობიდან გა-პა-რუ-ლი სულის არსია...

კახა — მმმ!

გიჟუა — საერთოდ რა არის თავისუფლება? ესაა, გადაადგილების ყოველნაირი და შეუზღუდავი არჩევანი... ანუ — სადაც მინდა იქ წავალ და როდესაც მინდა მაშინ წავალ... დამიჯერეთ, გამოცდილ ადამიანს, რომელმაც თავისუფლების პარვაში უამრავი ციხე მოიარა და თითქმის ყველანაირ საპატიმროს კერძსბალანდას გაუსინჯა გემო... თავისუფლებას, ქვიშაზე უკეთესად ვერავინ გიბოძებს...

კახა — მმმ!

გიჟუა — ესაა ქვიშაზე დამყარებულ-აგებული-აშენებულ-აღმართული გადარჩენის ფილოსოფია...

კახა — ქვიშა, ქვის წვრილი ნამსხვრევები, წყლის მიერ ფხვიერ მასად ქცეული... ქვიშა-სილა, ლამი, შლამი.

გიჟუა — ქვიშა — არა მარტო ქვის ნამსხვრევებია, არამედ გრანიტის, მარმარილოს, კაჟის...

კახა — ქვიშა — არა მარტო ქვის ნასხვრევებია, არამედ სახლების, ქუჩების, სოფლების, სასახლეების, ქალაქების, ქვეყნების, ცივილიზაციების... ***(მაყურებელს)*** და რაც მთავარია დამარცხებული სულების ნასხვრევები...

გიჟუა — თავისუფლებას, ქვიშაზე უკეთესად ვერავინ გვიბოძებს...

უბერავს ქარი და კახას მოგონებებით შეკრებილი გიჟუას სხეული ქვიშად იქცევა და კულისებისაკენ მიეხვეტება.

კახა — გიჟუა, თავისუფალია... ის, ქვის წვრილ ნასხვრევებად იქცა... და ქარი მთელს სამყაროში და-ეხ-ეტ-ება... მაგრამ მას სამი რამ არ აძლევს მოსვენებას — ერთი ის, რომ ქარი არ გააჩერებს იქ, სადაც ყველაზე ძალიან მოეწონება... მეორე ის, რომ შეიძლება ვინმემ ხელში ჩაიგდოს, გადაადნოს და ღამის ქოთნად აქციოს... და მესამე ის, რომ ქვიშაზე აგებული — ყველაფერი უსაფუძვლოა, უფესვოა... და მალე ინგრევა.

გიჟუა — ***(ექოსავით)*** მმმ! მმმ! მმმ!

ვისთვის დასასრული, ვისთვის დასაწყისი.

⊙ **პოეზია უპირველეს ყოვლისა**

გიორგი ჩარკვიანი

ნარცისი

ვეღარ გვშხამავს მაცილი —
ავზნე, როგორც ნაცისტი,
იკრიჭება ემაწვილი —
ნარცისუსი — ნარცისი.
მჭლეებს ფრიად გვეტყობა —
ჭურს ვერ ვთოხლავთ ლობიანს,
აწმყოს — მაინც შეტრფობა,
ხოტბა, აპოლოგია.
არ გვჭირდება ჩანგალი
და არც დანა საჭრელი.
არვინ არის ანგარი,
სულ არ გვინდა საჭმელი.
მშივრები ვართ არც ისე,
რომ ფეხები გავფშიკოთ...
მოდი, ნახე ნარცისი
თავის თავთან არშიყობს.
მას ფეხებზე კიდია,
რომ დამქცევი ქარი ქრის.
მისი სარკე დიდია —
მღვრიე ზურგი ჩქარი მტკვრის.
ჭვრეტს თავის ცხვირს
სარკეში —
(ო, არ დარჩეს უქები).
ტრაბახშია ნაგეში,
ბანგავს ბაქი-ბუქები.
ხაჭი ქვევრში კახურში,
მღერის, არ აქვს ამო ხმა,
ბღენძაში და ფაფხურში
ბაღში ვარდი ჩამოხმა.
ჭაჭანება ნარინჯი,
ყველაფერი ვნებული,
თავის თავში ნარცისი
შმაგებრ შეყვარებული.

მეწყერი

რას გიქადის მეწყერი,
ხიფათი და მარცხიო?
დაფრინავენ მერცხლები
მარჯვნივა და მარცხნივო.
ღამე გახდა — წარსული,
რუხი წიგნი დახურე.
მთიდან მაღლა ასული
მზე ზევიდან დაგყურებს.
მზით ქალაქი ივსება,
გსურს, თბილისო, მართალი?
მალე წესად იქცევა,
რომ ბრიყვები გმართავენ.
მათ აქვთ — ჩოხა, მასრები,
საცივი და ზედაშე,
ისინია — მაძღრები,
მშივრები კი — მე და შენ.
ავ სულს მათი იერი,
თუნდაც შხამი იწაფონ,
სჯობს, რომ იყო მშიერი,
ვიდრე ფლიდი გიძახონ.
ნუ იქნები მორჭმული,
ქრთამებს ხელი არ ახლო...
მთებით გარშემორტყმული
ახმაურდა სატახტო.

⊙ **განსჯა**

დემოკრატიის დამკვიდრება პარლამენტის სრულყოფით უნდა დაიწყოს

საქართველოში აღმშენებლობითი პროცესების დაჩქარება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას მოითხოვს. ამისათვის ქვეყანაში დემოკრატიული პარლამენტი უნდა არსებობდეს.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების არჩევის ბოლო სტადია, ერთი შეხედვით, დემოკრატიულია. მოსახლეობა ფარული კენჭისყრით ხმას აძლევს საარჩევნო ბიულეტენებში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს, კავშირებს, გაერთიანებებს და ა.შ. და მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც არსებული ტექნოლოგიით რეგისტრირებულნი არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილი დეპუტატების უმეტესობა, განსაკუთრებით „პროპორციული“ სიით არჩეულნი, ვერ აკმაყოფილებს პარლამენტარის სტატუსის მოთხოვნებს. მათ არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა, განათლება, კულტურა, შემოქმედებითი ნიჭი, გამოცდილება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ა.შ., რაც აჭიანურებს ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის შექმნა-სრულყოფის პროცესს, ვერ უზრუნველყოფს მიღებული კანონების შესრულების კონტროლის შესაბამის დონეს. შედეგად ქვეყანაში სათანადო ტემპებით ვერ ვითარდება დემოკრატია, ეკონომიკა, არ უმჯობესდება ცხოვრების დონე და ა.შ., რაც მძიმედ აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2005 წლის პირველი კვარტლის საშუალო მონაცემებით, მოსახლეობის 42 პროცენტი საარსებო მინიმუმის 40 პროცენტიან ზღვარს დაბლა იმყოფება, — ფაქტობრივად შიმშილობს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 57 პროცენტი სამუშაო ადგილს ელოდება.

საქართველოს პარლამენტში „უმრავლესობა-უმცირესობას“ შორის რაოდენობრივი განსხვავება იმდენად დიდია, რომ თავისი გადაწყვეტილების მიღებას „პოზიცია“ ყოველთვის სოლიდური უპირატესობით ახერხებს. პარლამენტში იმარჯვებს არა პოზიტიური კრიტიკის, დიალოგის, აზრთა დაპირისპირებისა და კონსენსუსის შედეგად მიღებული პროგრესული დემოკრატიული გადაწყვეტილება, არამედ უმრავლესობის ნება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის მიერ „დემოკრატიული“ გზით არჩეულ პარლამენტარებს, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ საკუთარი პოზიცია, ისინი მხოლოდ თავიანთი პატრონების „ბრმა“ მსახურები არიან. ოპოზიციის „მოღვაწეობას“ პარლამენტში სიმბოლური ხასიათი აქვს. ის ვერ ასრულებს თავის ძირითად მისიას — დაიცვას ამომრჩეველთა ინტერესები და შეიტანოს თავისი წვლილი დემოკრატიის დამკვიდრებაში.

როგორ გავხადოთ პარლამენტი სრულყოფილი და დემოკრატიული? რამდენი დეპუტატია აუცილებელი და საკმარისი პარლამენტში? როგორ მივაღწიოთ „პოზიციაოპოზიციას“ შორის ოპტიმალურ ბალანსს, რათა პარლამენტში ამუშავდეს კონსენსუსის ინსტიტუტი? როგორ ავირჩიოთ ჯერ ღირსეული დეპუტატობის კანდიდატები და მათგან, შემდგომში, უფრო ღირსეული დეპუტატები?

ამის მისაღწევად, პირველ რიგში, უნდა დაიხვეწოს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. მასში ჩადებული კრიტერიუმები და მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდნენ:

1. დეპუტატობის კანდიდატების ობიექტურ შეფასებას და ღირსეულების შერჩევას ცესკოში დარეგისტრირებამდე;
2. პარლამენტის წევრების ოპტიმალური რაოდენობის დადგენას (არა უმეტეს 150 კაცისა), რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის მუშაობის ხარისხის ამაღლებას;
3. პარლამენტში არანაკლებ 60 პროცენტი მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა ხელს შეუწყობს „პოზიცია-ოპოზიციას“ შორის ოპტიმალური ბალანსის ჩამოყალიბებას და კონსენსუსის ინსტიტუტის დამკვიდრებას, რაც გაზრდის პარლამენტის დემოკრატიულობას;
4. პოლიტიკური პარტიების, კავშირებისა და სხვა გაერთიანებებისთვის საარჩევნო ბარიერის 10-12 პროცენტამდე გაზრდა (გასულ არჩევნებში საქართველოში მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ, კავშირმა და ა.შ. ვერ გადალახა არცთუ ისე მაღალი 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი და ე.წ. „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა, რის შედეგადაც პარლამენტში ვერ მოხვდნენ პერსპექტიული პოლიტიკოსები, რომლებიც საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი საარჩევნო სიებში. საარჩევნო ბარიერის გაზრდა მათ გაერთიანებას აიძულებს. შედეგად, მათი საარჩევნო სია იქნება დაკომპლექტებული ბევრად უფრო ღირსეული კანდიდატებით და, რაც მთავარია, გაიზრდება მათი სამოქმედო პროგრამების ხარისხი, ავტორიტეტი საზოგადოებაში და, შესაბამისად, პარლამენტში მოხვედრის შანსი);
5. ცესკოში დარეგისტრირებამდე დეპუტატობის მაჟორიტარმა კანდიდატებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა (გაერთიანებებმა) დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიაში უნდა წარმოადგინონ წინასაარჩევნო სამოქმედო პროგრამები, გაწერილი არჩევის მთელს პერიოდზე. იმ პროგრამების ავტორებს (მაჟორიტარებს თუ პარტიების წარმომადგენლებს), რომლებიც კომისიის დადებით დასკვნას მიიღებენ, უფლება მიეცემათ გაიარონ ტესტირება (მომავალი პარლამენტარების ინტელექტუალური და პროფესიული დონის საშუალო ინტეგრალური მაჩვენებელი არ უნდა იყოს გამოცდაგავლილი მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, ფინანსთა სამინისტროსა და თბილისის მერიის ჩინოვნიკის მაჩვენებელზე დაბალი).

გასვლითი ქულების დაგროვების შემთხვევაში ყველა პრეტენდენტს ეძლევა უფლება შეიტანოს საბუთები ცესკოში დასარეგისტრირებლად და შემდგომში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

პარტიებისთვის (გაერთიანებებისთვის), რომელთა პროგრამები კომისიის მოწონებას დაიმსახურებს, ტესტირებაზე გასასვლელი პრეტენდენტების რაოდენობა არ იქნება შეზღუდული, რათა მათმა ლიდერებმა მიიღონ გამოცდაგავლილი კანდიდატების ის რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს არა მარტო პროპორციული სიის დაკომპლექტებას, არამედ ღირსეულებიდან ყველაზე ღირსეულის შერჩევის საშუალებას.

ამ სტატიაში წარმოდგენილი წინადადებები, კრიტერიუმები, მექანიზმები მხოლოდ ნაწილია იმ დიდი საქმისა, რომელიც უნდა გაკეთდეს, რათა ქვეყანაში ამოქმედდეს სრულყოფილი და დემოკრატიული პარლამენტი. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებას საზოგადოების შემოქმედი ნაწილი. ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ სრულყოფილი პარლამენტის შექმნით დაჩქარდება ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება.

რატომ პასიურობენ პარლამენტის სრულყოფის საკითხში პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თვით პარლამენტარები („პოზიცია-ოპოზიცია“)?

ცხადია, რომ მომავალი მოწვევის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების უმეტეს ნაწილს სულაც არ აძლევს ხელს წინასაარჩევნო „ფილტრში“ გაწურვა. ისინი ხომ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) „მატარებლით“ უფრო ადვილად, ზედმეტი ტვინის ჭყლეტისა და ოფლის დაღვრის გარეშე შეიძლება მოხვდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

თუ არსებულმა პარლამენტმა უახლოეს პერიოდში ვერ/არ შეძლო საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს საარჩევნო კოდექსში, მაშინ საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა ამ კოდექსის სრულყოფის საკითხი რეფერენდუმზე უნდა გაიტანოს.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო გამოცდილება. მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს, რომ დააყენოს საკითხი და მიიღოს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მთავრობების, ცნობილი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედითი დახმარება (კონსულტაციები, დაფინანსება) საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების დაჩქარების საქმეში. საქართველოში მიღებული გამოცდილება, ბუნებრივია, გამოადგება განვითარებად ქვეყნებს.

გენადი მესხია,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

◎ გენერალისიმუსის გზა

კოჩკენ საქტანოვი

უცნობი სტალინი

მეორე ნაწილი



ვოროშილოვმა ხმა ჩაიკმინდა. თვითონვე გულის სიღრმეში იცოდა თავისი ბრალი, გრძნობდა მას, მაგრამ დამცირებულად მიაჩნდა თავი იმის გამო, რომ ეს ითქვა არა პირისპირ, არამედ პოლიტბიუროს წევრებისა და ჟუკოვის მეთაურობით მხედართუფროსების წინაშე, თანაც ითქვა ისეთი მრისხანებით, თითქოს დამნაშავე მხოლოდ იგი, ვოროშილოვი ყოფილიყოს.

სხვათა შორის, სტალინმა თავისი რისხვა არცთუ განგებ დაატეხა ვოროშილოვს. როდესაც იგი თავდაცვის სახალხო კომისარი იყო, განსაკუთრებით 1937 და 1938 წლებში, საუკეთესო სარდლებს მთელ ჯგუფებად ხვრეტდნენ. ბევრი მათგანი სამოქალაქო ომის ქურაში გამოიწრთო, რაც მთავარია, სამხედრო საქმეში ცოდნითა და უნარით ბევრად აღემატებოდნენ თვით ვოროშილოვს. თხუთმეტი წელი ეკავა თავდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობა და იმის ნაცვლად, რომ ესწავლა თავისი საუკეთესო ხელქვეითებისგან, ამჯობინა, ესწავლებინა მათთვის ბრძოლის მეცნიერება ბრძანებების მეშვეობით. მისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი ავტორიტეტი, ერთი ღმერთი — სტალინი. ოცნებობდა მხოლოდ იმაზე, რომ თავისი ღმერთის კეთილგანწყობილება მოეპოვებინა, მისი წარბებიის ყოველი მოძრაობა გამოეცნო. სამხედროები ჩინებულად ხედავდნენ, რომ ცოდნითაც და სამხედრო ტაქტიკის გაგებითაც ტუხაჩევსკი, ვოროშილოვის მოადგილე, თავის უფროსზე გაცილებით მაღლა იდგა. შესაძლოა, ამიტომაც ტუხაჩევსკსა და ვოროშილოვს შორის მუდამ შეიმჩნეოდა სხვაობა შეხედულებებში. ვოროშილოვი ოცნებობდა მოადგილის თავიდან მოშორებაზე, მაგრამ ამის ძალა არ ჰქონდა და არც ამის დრო იყო. მაგრამ მალე ვოროშილოვის სურვილი აღსრულდა. სრულიად მოულოდნელად, 1937 წელში ტუხაჩევსკი ჩირქმოცხებული აღმოჩნდა.

როგორი ძლიერიც უნდა ყოფილიყო სტალინი თავისი ნებისყოფით ან ჭკუით, მას ჰქონდა აგრეთვე უზარმაზარი ნაკლი — იყო მეტად ეჭვიანი და ადვილად დამჯერი. ეს ამბავი კარგად იყო ცნობილი გერმანიის დაზვერვისთვის. ამიტომ ჰიტლერმა, ვიდრე სსრ კავშირთან ომს გააჩაღებდა, მიზნად დაისახა დაზვერვის პირველხარისხოვანი მაღალი კლასის მეშვეობით მოესპო მოწინააღმდეგის ჩინებული სარმიო ზედა ფენა. გესტაპოს მიწისქვეშა ლაბორატორიაში, ბერლინში, დამზადებული იყო წითელი საქაღალდე, რომელშიც იდო ყველაზე ცნობილი საბჭოთა მხედართმთავრების შეთხზული წერილები, რომელთა ადრესატი იყო გერმანიის გენერალური შტაბის აგენტი, და თითქოს გესტაპოსგან დიდი ოდენობით მიღებული თანხების ქვითრები. ეს და სხვა ყალბი დოკუმენტები გერმანიის დაზვერვამ 1937 წელს მიუგდო ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ბენეშს.

ბენეში, რომელიც სიმპათიით იყო განწყობილი სსრ კავშირისადმი, განთაობაზე შეჰქონდათ წინადადებანი, იმიტომ, რომ მათი რწმენით, მომავალი ომი იქნებოდა არა ხმლის, არამედ მოტორიზებული ტექნიკის ომი. მაგრამ ვოროშილოვი და ბუდიონი უარყოფდნენ ამ წინადადებებს და სამოქალაქო ომის გამოცდილების ტყვეობაში რჩებოდნენ, ცხენოსანთა არმიებს აძლიერებდნენ. მათმა ცხენოსნებმა ორმოცდაერთში, ორმოცდაორში ვერაფერი დაუპირისპირეს გერმანელთა რკინის არმადას.

თუ ომის წინ სტალინს მარცხი მოუვიდა ვოროშილოვთან და ბუდიონთან, იგივე განმეორდა ომის პირველსავე წელს. გერმანული არმიის თავდასხმის შემდეგ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა შექმნა სამი ძირითადი მიმართულება — დიახ, ამხანაგო სტალინ, დიახ, რა თქმა უნდა...

საქმე ასე იყო. სტალინგრადის ფრონტზე წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ორი დღის შემდეგ, 1942 წლის 12 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო მტერზე გენერალური შეტევა სტალინგრადთან. ამ გაგანიაში ტელეფონი აწკრიალდა — უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკიდან რეკავდნენ, ტელეფონთან იყო სტალინი:

— ამხანაგო ვასილევსკი, არის სასწრაფო საკითხი, რომელიც თქვენთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ. დაუყოვნებლივ ჩამოდით მოსკოვში.

— როგორ შემიძლია, ამხანაგო სტალინ? ზეგ ხომ იერიშზე უნდა გადავიდე?

— თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოჩნდეთ მოსკოვში.

ვასილევსკიმ კიდევ ერთხელ სცადა შეწინააღმდეგება, მაგრამ სტალინი, როგორც ყოველთვის, სალი კლდესავით შეუვალად იდგა. დილაადრიან ვასილევსკი მოსკოვში ჩამოფრინდა და მაშინვე პოსკრებიშევს დაურეკა: „სად არის სტალინი? ახლო აგარაკზე ხომ არა?“ „არა, აგარაკზე არ არის, — უპასუხა პოსკრებიშევმა, — თქვენ გელოდებათ, კუთხეშია“. „ახლო აგარაკი“ — ეს კუნცევოა, „კუთხე“ — კრემლის კაბინეტი.

ვასილევსკი კაბინეტში დანიშნულ დროს შევიდა. სტალინთან იყვნენ მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია, მიქოიანი და ვოზნესენსკი. სტალინი თავის დაქნევით მიესალმა ვასილევსკის, ხელით უჩვენა, სად დაჯდომოყო, დინჯად მიუახლოვდა თავის მაგიდას, კონვერტი აიღო და მოწვეულს გაუწოდა:

— ვიდრე აქ ჩვენ „სამოქალაქო ომს“ დავამთავრებთ, წერილს გაეცანით.

ამ სიტყვების შემდეგ სტალინმა განაგრძო საკითხების განხილვა.

წერილი სტალინის სახელზე გამოეგზავნა გენერალ ვოლკოვის სტალინგრადთან გასაგებული სატანკო კორპუსიდან. ვასილევსკი ჯერ კიდევ გუშინ ეწვია ბლინდაჟში ვოლკოვს, მთელი მისი კორპუსი დათვალიერა და ესაუბრა. რა ეშმაკი ეცა?

ვოლკოვი წერილში იტყობინებოდა: „პატივცემულო ამხანაგო სტალინ. თქვენთვის ამ წერილის მოწერა მაიძულა იმან, რომ შეტევის წარმატებაში დარწმუნებული არა ვარ. საჭვოდ მიმაჩნია მოწინააღმდეგის მტკიცე თავდაცვის დაძლევის შესაძლებლობა არსებული ძალებით. ძნელი წარმოსადგენია შეტევის შესაძლო წარუმატებლობის შედეგები, ამიტომაც ვშიშობ, რომ ამ შემთხვევაში ძლიერ გაგვიტყდება ჩვენ ძალებში გამარჯვების რწმენა არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი მტრის თვალში, და ჩვენი წარუმატებლობის შემდეგ მტერი არათუ შეძლებს მოაღწიოს ვოლგამდე, არამედ გადალახოს კიდეც იგი.

ვოლსკი“.

(გაგრძელება იძნებს)

გაერო მსოფლიოს მილიარდებს სთხოვს

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სთხოვს მსოფლიოს 2006 წლისთვის 4,7 მილიარდი დოლარის გამოყოფას, რომელიც უნდა მოხმარდეს პლანეტის 26 ქვეყანაში ომების, შიმშილობისა და ბუნებრივი კატაკლიზმების მსხვერპლთა დახმარებას.

ეს ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც კი გაეროს ოდესმე მოუთხოვია ჰუმანიტარული მიზნებისთვის. ორგანიზაციის ჰუმანიტარულ პროგრამათა კოორდინატორის იან ეგელანდის თქმით, მსოფლიო ამდენ ფულს ხარჯავს ორი დღის განმავლობაში სამხედრო საჭიროებისთვის.

გადაუდებელი დახმარება სჭირდება დედამიწის უღარიბესი რაიონების 20 მილიონ მცხოვრებს. მათ შორის არიან აზიაში შარშანდელი ცუნამის, ქაშმირში მომხდარი მიწისძვრისა და გვატემალაში ქარიშხლის შედეგად დაზარალებული ადამიანები.

იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომელთა დახმარებაც სურს გაეროს, აფრიკაშია. კერძოდ, ეს ორგანიზაცია აპირებს სამოქალაქო ომით გატანჯულ სუდანს გაუწიოს 1,5 მილიარდი დოლარის დახმარება.

გაერო მოითხოვს, ასევე, სახსრების შეგროვებას ამ კონტინენტის სხვა ქვეყნების დახმარების მიზნით. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება კოტ დ'ივუარს, ნიგერიას. ორგანიზაცია მზად არის, ასევე, დაეხმაროს პალესტინის ავტონომიისა და ჩეჩნეთის მცხოვრებლებს, რომლებისთვისაც გაერო აპირებს 88 მილიონი დოლარის გამოყოფას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ალბათ, ვერ მიიღებს მთელ იმ თანხას, რომელსაც იგი ითხოვს — როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში თანხის სამ მეოთხედზე მეტის შეგროვება ვერ ხერხდება, თანაც, თუ ხერხდება — მხოლოდ წლის დამლევისთვის, რაც იწვევს ხარჯების ზრდას და ამცირებს დახმარების ეფექტიანობას.

ევროკავშირი მზად არის უკრაინას საბაზრო სტატუსი მიანიჭოს

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ გამართულ ევროკავშირის და უკრაინის ხელმძღვანელთა პირველ შეხვედრაზე ბრიუსელი, ალბათ, კიევს დაჰპირდება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის სტატუსის მინიჭებას.

გარდა ამისა, როგორც მოელიან, კიევში მიმდინარე უკრაინა-ევროკავშირის სამიტზე, ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მეთაურები განაცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს უკრაინის გეგმებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ.

ევროკომისიის მეთაურმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ სამიტის დაწყების წინ აღნიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი მინიჭება უკრაინას, როგორც კი დასრულდება ყველა ფორმალური პროცედურა.

ეს გააიოლებს უკრაინული საქონლის გატანას ევროპის ბაზრებზე და გააძლიერებს უკრაინის პოზიციებს იმ შემთხვევაში, თუ სადავო საკითხის გადაწყვეტა საჭირო გახდება საარბიტრაჟო სასამართლოში. უკრაინას ასევე გაუადვილდება თავისი პოზიციების დაცვა, თუ ევროკავშირის ქვეყნები დაადანაშაულებენ მას ფასების განზრახ შემცირებაში.

უკრაინისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირთან ურთიერთობისას, როდესაც უკრაინასთან საქონლებრუნვის მოცულობით უკვე გაუსწორა რუსეთს.

უკრაინა უკვე მიმდინარე წლის დამდეგიდან ცდილობს მოიპოვოს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი. მაგრამ ევროკომისია ამ მიზნის მიღწევის გზაზე ძირითად დაბრკოლებებად ასახელებდა იმას, რომ ამ ქვეყანაში დანესებულია სახელმწიფო კონტროლი ფასებზე და მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც ართულებს კომპანიათა გაკოტრებას.

როგორც ვარაუდობენ, უკრაინის ეკონომიკისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ ევროკავშირის გადაწყვეტილებას გამოაცხადებს ტონი ბლერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეა-სახელმწიფოა.

რუსეთის ეკონომიკა ევროპამ საბაზროდ სცნო ჯერ კიდევ 2002 წელს. მაგრამ, თუ ამ საკითხში რუსეთმა გაუსწრო უკრაინას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში კიევს მოსკოვზე უფრო ადრე გაწევრიანების მეტი შანსი აქვს.

უკრაინას იმედი აქვს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შევა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამლევამდე, მაგრამ ქვეყნის პარლამენტმა ვერ შეძლო მიეღო ამისთვის საჭირო კანონების პაკეტი.

ახლა ევროკავშირი მოუწოდებს კიევს, რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრიანების გზაზე არსებული ყველა დაბრკოლება და დაიწყოს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა.

ევროკავშირი მზად არის უკრაინასთან მოაწეროს ხელი მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ევროპის ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის ბაზრებთან ინტეგრაციის გზას გაუხსნის უკრაინის ენერგეტიკულ ბაზარს.

გიორგიმ თავისი „მეორე მე“ დაჯაბნა

გიორგი გვარამია თბილისის 22-ე სკოლის XI კლასის მოსწავლეა და ინგლისში უკვე იცნობენ. გიორგის ოზურგეთის პირველი სკოლის მოსწავლეებთან თათია მელაძესთან და თამარ ურუშაძესთან ერთად „შერატონ მეტეხი- პალასში“ მოუსმინე. სამივემ კონკურსში — „ევროკავშირი და საქართველო“ გაიმარჯვა. მოსწავლეებმა თავიანთი ხედვა წარმოაჩინეს ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობაში. სულგანაბული უსმენდა ინგლისურ ენაზე გამოსულ გიორგი გვარამიას დარბაზი. მისი ნაშრომი ინგლისში გაიგზავნა და კონკურსშიც გაიმარჯვა.

ყმაწვილს სჯერა, რომ ევროკავშირში შესვლა საქართველოს ახალ ასპარეზზე გამოიყვანს, მაგრამ გიორგის მისი „მეორე მე“ იმ საშიშროებასაც მიანიშნებს, რაც ქვეყნისთვის მსოფლიოს ინტეგრაციას და გლობალიზაციას მოაქვს. თუმცა გიორგიმ მშობლიური ქვეყნის ისტორიის მოშველიებით თავის „მეორე მეს“ დაუმტკიცა, რომ ევროპასთან საქართველოს ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს, ის თავს ყოველთვის ევროპის ოჯახის კანონიერ წევრად თვლიდა, რომლის დასტურია დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსები არა მარტო საქართველოში, არამედ ბულგარეთსა და საბერძნეთში... რაც შეეხება გადაგვარების საფრთხეს, საქართველომ და ქართველმა ერმა დამპყრობთა ათას ქარტეხილებს გაუძლო და ევროპაში შესვლით რა უნდა დაემართოს ისეთი, რომ ქართველს მეობა, საკუთარი კულტურა დაათმობინოს.

თავისი „მეორე მე“ გიორგის მანც ჯიუტად ეწინააღმდეგება:

— ღარიბი ქვეყანა ვართ, უმუშევრობა გვაწუხებს, კორუფციაც ბოლომდე არ არის დამარცხებული, ასეთი ეკონომიკური, სოციალური კრიზისის პირობებში, როგორ შეძლებს საქართველო იმ მოთხოვნების შენარჩუნებას, რასაც ევროკავშირის გაერთიანება წამოგვიყენებს? გიორგიმ მოიძია რა ყველა მასალა, თავის „მეორე მეს“ ასე უპასუხა:

— ევროპაში გაერთიანებულმა ქვეყნებმა შინაგანი აქტიურობით და ერთიანების დახმარებით არ შეძლეს მსგავსი წინააღმდეგობების დაძლევა? განა ნიდერლანდებში 80-იანი წლებიდან არ გაძლიერდა ეკონომიკა, შემცირდა უმუშევრობა და ა. შ. ცვლილებები განიცადა, აგრეთვე საბერძნეთის ეკონომიკამ, ის გახდა ევროკავშირის ფონდების მთავარი მოსარგებლე, განამტკიცა ფინანსური დისციპლინა. აღორძინებას განიცდის ფინეთი, რომელიც ერთიან ვალუტაშია ჩაბმული. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ევროკავშირმა „სოლიდარობის გადასახადი დააწესა, და ამით ხელი შეწყო აღმოსავლეთ გერმანიის რეკონსტრუქციასა და აღმშენებლობას. ევროკავშირში გაერთიანებული ქვეყნები ერთად უზრუნველყოფენ განვითარებადი ქვეყნებისადმი მსოფლიოს ფინანსური დახმარების თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე იაპონია და ამერიკა. ევროკავშირი ყოველწლიურად გასცემს 7,5 მილიარდ ამერიკული დოლარის დახმარებას.

— ამ დახმარების სანაცვლოდ ჩვენ რისი გაღება შეგვიძლია? — ჯიუტობს სკეპტიკურად განწყობილი გიორგის „მეორე მე“.

გიორგიც პასუხობს:

— გრძელი და ძნელი გზის გავლა მოგვიწევს... უნდა გავხდეთ დემოკრატიული ქვეყანა, დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, ვიყოთ ტოლერანტები და გავაჯანსაღოთ ჩვენი ეკონომიკა, კარგად გავაზროთ ვიზიარებთ თუ არა იმ რეფორმებს, რაც ვარდების რევოლუციას მოჰყვა. გიორგის არ გასჭირვებია მაგალითის მოყვანა: სკოლა, სადაც იგი სწავლობს, ელაპარაკება ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ყოველ დილით ხედავს უმუშევართა „ლეგიონებს“, სარფიან გარიგებას რომ ელიან, რათა ოჯახისთვის ორიოდე გროში იშოვონ. გიორგი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებლად თვლის ტურისტული კავშირების განვითარებას, ევროპის ქვეყნებთან კულტურული კავშირების გაღრმავებას, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების საჭარო ქსელში ჩართვას და ა. შ.

ყველაფერში რომ გარკვეულიყო, გიორგიმ გულმოდგინედ გადაიკითხა ევროსაბჭოს 2004 წლის 5 ნოემბრის რეზოლუციაც, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარებაში. მან იცის, რომ საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია, კონგრესში დაინიშნა ეროვნული დელეგაცია და ა. შ. მას იმედის მომცემად მიაჩნია ევროსაბჭოს მხრიდან საქართველოსადმი გაკეთებული შეფასება: — „დღეს საქართველო ძირეულ ტრანსფორმაციას განიცდის და ქვეყანაში ყველა მიმართულებით რეფორმები მიმდინარეობს“...

გიორგიმ არგუმენტებით დაარწმუნა თავისი მოწინააღმდეგე „მეორე მე“, რომ საქართველო აუცილებლად დაბრუნდება ევროპულ წიაღში და ქართველი სიამაყით იტყვის: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.

ინგლისის მიერ გამოცხადებული კონკურსის — „ევროკავშირი და საქართველოს“ ორგანიზატორებმა „შერატონ მეტეხ-პალასში“ აღნიშნეს კიდეც: — დაიმახსოვრეთ ამ ქართველი ახალგაზრდის გვარი, ამ კონკურსში გამარჯვება არც ისე ადვილია. გიორგი გვარამია ისე კარგად ფლობს ინგლისურს, და თუ მისი სურვილიც იქნება, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება არ გაუჭირდება.

... გიორგი გვარამიამ თავის ოზურგეთელ თანატოლებთან ერთად ჯილდოდ კომპიუტერი მიიღო.

ნათელა ფაილოძე.

სურათზე: გიორგი გვარამია. გენადი სანაიას ფოტო.

მოკლედ

შეერთებულ შტატებში ტაქსის მძღოლმა, მანქანაში ნაპოვნი ჩანთა დაუბრუნა მის მფლობელს — იუველირს. ოქრომჭედელ ერიკ ოსტაინს 350 ათასი დოლარის ბრილიანტები დარჩა ტაქსში, როცა იგი ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიემგზავრებოდა. ტაქსის მძღოლმა ჩანთაში ნაპოვნი ფიჭური ტელეფონის ანგარიშის მეშვეობით შეძლო მოეძებნა ბრილიანტების პატრონი. მადლიერმა იუველირმა პატიოსან ტაქსის მძღოლს ჯილდოს სახით გადაუხადა 10 ათასი დოლარი და აჩუქა ბრილიანტებით მოოჭვილი სამაჯური.

* * *

ესტონეთი არ მოსთხოვს კომპენსაციას რუსეთს იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი აღიარებს საბჭოთა კავშირის მიერ ესტონეთის ოკუპაციის ფაქტს. როგორც ესტონეთის ელჩმა რუსეთში მარინა კალიურანდმა განაცხადა, „რუსეთს ეშინია, რომ ოკუპაციის ფაქტის აღიარების შემდეგ, ესტონეთმა შეიძლება მოსთხოვოს მას კომპენსაცია“. მაგრამ ესტონეთი არ აპირებს მოსთხოვოს რუსეთს კომპენსაცია საბჭოურ წლებში ამ ქვეყნის ოკუპაციის გამო, — აღნიშნა ელჩმა.

* * *

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გოლფსტრიმის მიერ წარმოქმნილი დინება სუსტდება, „ამიტომაც, საჭიროა, რომ ევროპელები მოემზადონ არა დათბობისთვის, არამედ აცივებისთვის“. გოლფსტრიმი ატმოსფეროსთვის ასრულებს გათბობის რადიატორის როლს. მაგრამ გრენლანდიის და ისლანდიის ნაპირების მახლობლად მოძრაობისას ეს დინება თანდათანობით ცივდება.

* * *

საფრანგეთში შეიძლება გამოჩნდეს „სი-ენ-ენის“ კონკურენტი. 2006 წელს საფრანგეთში მაუწყებლობას დაიწყებს

საფრანგეთის საერთაშორისო ინფორმაციის ქსელი CFII. ქვეყნის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის აზრით, „იმიჯების გლობალურ ომში“ ამ არხმა მსოფლიოსთვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ საფრანგეთის აზრი უნდა მიაწოდოს სხვა ქვეყნებს.

* * *

ინდოეთში გამოიყვანეს 90 სანტიმეტრი სიმაღლის ჯუჯა ძროხები. ლილიპუტი ძროხა დღეში იძლევა 2-3,5 ლიტრ ძალზე ნოყიერ რძეს, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება ტრადიციული ინდური მედიცინის პრეპარატების დასამზადებლად.

* * *

ასტრონომებმა აღმოაჩინეს ახალი პლანეტა, რომელიც წააგავს დედამიწას. იგი ზომით არ აღემატება ნეპტუნს და მზის სისტე-

მიდან 20,5 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს. ეს ჯერ-ჯერობით უახლესი პლანეტა უდიდესი სიჩქარით ბრუნავს სასწორის თანავარსკვლავედის წითელი ჯუჯის ირგვლივ.

„დიდ შვიდეულში“ რუსეთის სრული ინტეგრაცია გაურკვეველი დროით გადაიდო

2006 წლისთვის დაგეგმილი იყო, რომ მოხდებოდა რუსეთის სრული ინტეგრაცია შვიდი წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს ჯგუფში („დიდი შვიდეული“). მაგრამ ახლა ეს გაურკვეველი დროით გადაიდო. როგორც ინფორმირებული წყაროებიდან „ფაინენშლ ტაიმს დოიჩლანდისთვის“ გახდა ცნობილი, რუსები მომავალშიც ვერ შეძლებენ მონაწილეობის მიღებას „დიდი შვიდეულის“ ფინანსთა მინისტრების და საემისიო ბანკების მეთაურთა თათბირებში.

ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ნავთობის კონცერნ „იუკოსის“ და მისი ყოფილი მეთაურის მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე. „ამასთან დაკავშირებით, კვლავ წამოიჭრა ასეთი კითხვა: არის თუ არა რუსეთი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა“, — წერს გაზეთი. ამ საკითხში ყველაზე მეტად ეპარებათ ეჭვი ამერიკელებს და ეს ეჭვი, ამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო ძლიერდება.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, იაპონიის, კანადის და შეერთებული შტატების მთავრობებმა გადაწყვიტეს, რომ 2006 წლიდან „დიდ შვიდეულს“ უნდა დამატებოდა რუსეთიც. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ 2006 წლის კლუბში თავმჯდომარეობის უფლებაც კი დაუთმო რუსეთს. მაგრამ ახლა გაფართოება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონით, რომელთა სამიტებშიც რუსეთის პრეზიდენტს უკვე მრავალი წლის განმავლობაში აქვს მონაწილეობის უფლება.

რაც შეეხება „დიდი შვიდეულის“ ფინანსთა მინისტრების და საემისიო ბანკების მეთაურთა შეხვედრებს, ისინი მოსკოველ კოლეგებს ინვევდნენ მხოლოდ პოლიტიკურ ნაწილზე დასასწრებად და რუსებს არ ჰქონდათ უფლება, მიეღოთ მონაწილეობა სავალუტო ან ფულად პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

2006 წლისთვის დაგეგმილი იყო, ასევე, ფინანსთა მინისტრების და საემისიო ბანკების მეთაურების თათბირის გამართვა მოსკოვში, მაგრამ ეს ტრადიციული შეხვედრა ლონდონში გაიმართება.

კომპეტენტური აზრი

სროლა მხოლოდ ბოროტება არ არის

(მესამე გვერდიდან)

— კარგით, დავამთავროთ ამ თემაზე ლაპარაკი. იწყება მოძრაობა ე. წ. „კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ. ქურდი ციხეში უნდა იჯდესო! რა თქმა უნდა, ქურდი ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ, ალბათ, მას შემდეგ, როცა ქურდობაზე დაიჭერენ. მოგეხსენებათ, თუ არ დაიჭირ, ქურდი არ არის. ბოლოს და ბოლოს, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. კაცი რომ ამბობს, გინდა თუ არა, ქურდი ვარო, ამის გამო შეიძლება ციხეში ჩასვა?

— მე კანონიერ ქურდებთან ბრძოლის საკმაო გამოცდილება მაქვს. ეს „ინსტიტუტი" საქართველოში 1980-იან წლებში აყვავდა. მაშინ ჩვენში დაახლოებით 250 კანონიერი ქურდი იყო აღრიცხვაზე. ამ მხრივ „ლიდერობდნენ" თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, ზუგდიდი, სოხუმი. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ დაგვისახა ასეთი ამოცანა: გავათავისუფლოთ საქართველო კანონიერი ქურდებისგან, ოღონდ კითხვაც დასვა, გვაქვს მორალური უფლება, ამას მივაღწიოთო?

— მორალურ უფლებაში რა იგულისხმებოდა?

— რა და, ბევრი კანონიერი ქურდი აფინანსებდა მილიციის ხელმძღვანელ პირებს. იმ პერიოდში ძალზე ბედნიერი თანხვედრა მოხდა სისხლის სამართლის სამძებროს აპარატში მორალური უფლების მქონე თანამშრომლებისა. იქ მუშაობდნენ გივი ლომინაძე, ნოდარ წკრიალაშვილი, გრიშა შონია და ბევრი სხვა ღირსეული თანამშრომელი. ქურდები განურჩევლად კი არ უნდა მოგვეხვეტა, ყველა კანონების საფუძველზე უნდა დაგვეჭირა. უპირველესად, განვსაზღვროთ, ვინ არის „კანონიერი ქურდი"? ეს არის კაცი, რომელიც „კანონიერი ქურდის" წესებით ცხოვრობს: საქმეების გარჩევა, კრიმინალურ პროცესებში, ნარკობიზნესში მონაწილეობა, „კრიშობა"... ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ანგარებით ხასიათს ატარებს.

იმ წლებში „კანონიერ ქურდებს" ნოყიერი ნიადაგი შეექმნათ: ქვეყანაში აყვავდა ყურძნის, ჩაის, ხილის, ციტრუსების მიწერები, ღვინის ფალსიფიცირება, გაჩნდა დიდძალი ფული. 1981 წელს გურჯაანის რაიონში დაახლოებით 60 ათასი ტონა ყურძნის მიწერა მოხდა, თელავის რაიონში — 30-35 ათასი ტონის და ა. შ. 60 ათასი ტონა ყურძენი 60 მილიონი კილოა, ანუ, თუ კილოზე 50 კაპიკს ვიანგარიშებდით, 30 მილიონი მანეთი, რაიონის 4-5 წლის ბიუჯეტი. ეს ფული მეღვინეებში და ღვინის ქარხნებში დატრიალდა, დატრიალდა ვაჭრებშიც, ვისაც შაქარი შემოჰქონდა ფალსიფიცირებული ღვინის გასაკეთებლად. ახლა ჩაი ავიღოთ. საქართველოში ჩაი არასოდეს მოკრეფილა 350-400 ათას ტონაზე მეტი. არადა, 650 ათას ტონას და უფრო მეტს უჩვენებდნენ. მერე ხილი, ციტრუსები... შავად რომ ვიანგარიშოთ, საქართველოში მილიარდ მანეთამდე „ლევი" ფული ტრიალებდა. საქმოსნებს „კრიშები" სჭირდებოდათ და ნაშოვნი ფულის გარკვეულ ნაწილს კანონიერ ქურდებს უწილადებდნენ. ვიცი შემთხვევა, როცა თბილისში ერთ ოჯახში სადღესასწაულო სუფრას სამი კანონიერი ქურდი და სამი ცეკას უმაღლესი ნომენკლატურული მუშაკი უჯდა. ჰოდა, ამ ქურდების დაჭერა როგორი საქმე იყო! მაგრამ შევძელით. დაახლოებით 200-220 კაცი უმალ ავიყვანეთ — კანონიერად! 10-15 კაცი რუსეთში გადაიხვეწა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 1986 წლის ბოლოს საქართველოში არც ერთი კანონიერი ქურდი აღარ იყო. მუშაობდა ფორმულა (ის, სხვათა შორის, მე მეკუთვნის): რაიონში, სადაც „კანონიერი ქურდია," მილიციის უფროსი უკანონოა! და მას ვხსნიდით.

დღეს დღის წესრიგში დადგა, რომ „კანონიერი ქურდი" ციხეში უნდა იყოს, სასჯელს იხდიდეს. ყველაზე რთული ამ საქმეში ის არის, თუ როგორ მოიპოვებენ მტკიცებულებით ნაწილს, ამ „კანონიერი ქურდის" აღიარებას. ეს ძალზე რთული საქმე იქნება. მაგრამ მე ჩვენი შინაგან საქმეთა ორგანოების მზარდი პროფესიონალიზმის იმედი მაქვს, დაიხვეწებიან და სამწუხარო შემთხვევებს მაქსიმალურად აირიდებენ თავიდან.

— რატომ დაისვა დღეს „კანონიერი ქურდების" საკითხი ასე პრინციპულად, ნუთუ ამდენად აქტუალურია იგი?

— დიახ, აქტუალურია. განა სიმახინჯე არ არის, როცა კანონიერი ქურდი წყნეთში უზარმაზარ სასახლეს იშენებს? მაგრამ, მხოლოდ წყნეთში? რამდენ კანონიერ ქურდს აქვს მსგავსი სასახლეები ქუთაისში, ზუგდიდში!.. რამდენი კანონიერი ქურდი შეძვრა კაზინოებში და სხვა სარფიან ბიზნესში! რამდენი ქართველი კანონიერი ქურდია მოსკოვში, რომლებიც ისევ ქართველი ბიზნესმენების სისხლს წოვენ! ორიოდ წლის წინათ ერთი „კანონიერი ქურდის" მძღოლს (?!) იარაღი უპოვეს და რა გგონიათ, პოლიციამ... ორი კვირით უკანა რიცხვით „დააკანონა" ის იარაღი. კაცი, რომელსაც „კანონიერი ქურდის" კუთვნილი გასაყიდი იარაღები გადმოჰქონდა, აღმოჩნდა... უშიშროების სამინისტროს მაიორი, რომელიც ერთი წლის წინათ... სერჟანტი იყო. ჯერ კიდევ გუშინ, ყველა კორუმპირებული თანამდებობის პირი ცდილობდა, საერთო შეხების წერტილი ჰქონოდა „კანონიერ ქურდებთან" და მათი მეშვეობით დაეცვა თავის მიერ დატაცებული ხალხის ქონება. ერჩივნა თავისით მიეცა მათთვის მოხვეჭილის ნაწილი, ვიდრე ძალით წაერთმიათ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ განწყობა შეიცვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვანო მერაბიშვილი გახდა შსს მინისტრი. ეს კაცი პოლიტიკური მოღვაწეა, შინაგან საქმეთა უწყებასთან არავითარი შეხება არ ჰქონია, მაგრამ მან გააკეთა ის, რაც მთელი 15 წლის განმავლობაში არც ერთ მინისტრს — პროფესიონალებს, საქმეში ჭიპმოჭრილებს — არ გაუკეთებია.

— მაგრამ თუ ის ქურდი სახლში ზის, საციხოს არაფერს აკეთებს, რატომ იჭერ?

— თუ ის აცხადებს, რომ კანონიერი ქურდია, მაშინ უეჭველია ქურდული წესებითაც უნდა იცხოვროს: საქმეები არჩიოს, „კრიშობა" გასწიოს, გაწვრთნას ახალგაზრდა დამნაშავენი, წილებში ჩაჯდეს, ნარკოტიკების მოძრაობა აკონტროლოს... მეტი რაღა დანაშაული გინდათ!

— მაგრამ ამას ხომ დამტკიცება უნდა.

— რა თქმა უნდა, ამას სკრუპულოზური, კვალიფიციური მუშაობა სჭირდება. ქურდი ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ მის იქ შეყვანა-გამოყვანასაც თავისი წესები აქვს — საპროცესო კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი არავის გაუუქმებია. მახსოვს, 1980-იან წლებში ერთი ცნობილი „კანონიერი ქურდი" დავიჭირეთ. მილიონი მანეთი შემომთავაზა, გამიშვიო. მილიონი მანეთი მაშინ ძალიან დიდი ფული იყო. ვუთხარი, უფულოდ გაგიშვებ, ოღონდ დავუძახებ ტელევიზიას და დაგისვამ ერთადერთ კითხვას: შენ კანონიერი ქურდი ხარ? თუ მიპასუხებ, ქურდი არა ვარ, პატიოსანი კაცი ვარო, არ გამშვების... მეთქი. არა, ძმაო, მაგას ვერ ვიტყვიო. იცოდა, ეს რომ საჯაროდ ეთქვა, სამუდამოდ მოიკვეთდნენ თავისიანები.

— ახლა იმაზეც ვთქვათ, ბატონო ტარიელ, კანონიდან შინაპატიმრობის ამოღებას რომ აპირებენ.

— ამაზე ცოტა გართულება მაქვს. გირავნობით შეცვლა უნდათ. სხვა ქვეყნებში გირაო მიღებულია, მაგრამ, ჩვენი სოციალური და ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საქართველოში იშვიათად შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც გირაოს შეტანას შეძლებენ. ჩვენს კანონმდებლობაში არის დანაშაულობანი, რომლებიც 0-დან 3 წლამდე ციხეს ითვალისწინებს, ასეთ დროს მე საერთოდ ავკრძალავდი წინასწარ პატიმრობას.

— ანონიმურ მოწმეზე რას იტყოდით?

— ანონიმური წყაროდან შეიძლება მიიღო ინფორმაცია, რატომაც არა! კომუნისტების დროს ანონიმურ შეტყობინებებს უპასუხოდ ტოვებდნენ. თვითონ არ აძლევდათ ხელს მათი შემოწმება, რადგან ბევრი „ანონიმკა" სწორედ მათზე შედიოდა. როგორ შეიძლება ოპერატიულმა მუშაკმა ანონიმური შეტყობინება არ გადაამოწმოს? ჩემი პრაქტიკიდან გეტყვით: მოქალაქეთა ოფიციალურ საჩივრებში სიმართლე იყო დაახლოებით ნახევარი, ანონიმურ წერილებში — 90 პროცენტი! რატომ იმალება ანონიმური წერილის ავტორი? იმიტომ, რომ სიმართლეს ამბობს და ეშინია. ახლა მეორე. ვინ იყო დაინტერესებული, რომ ანონიმური წერილი არ შემოწმებულიყო? ვისზედაც საჩივარი იყო შესული! ამდენად, ანონიმური შეტყობინება უნდა შემოწმდეს, დადასტურების შემთხვევაში კი მის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას. ეს სამართლიანია.

ესაუბრა
ალეკო ასლანიშვილი

გამოსათხოვარი

ვალმოხდილი წავიდა

გუშინ უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ქართული არქეოლოგიის პატრიარქი, ბატონი ანდრია აფაქიძე, ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება თავისი ხალხისა და ქვეყნის სამსახურს შეალია.

ბატონი ანდრია უხმაუროდ აკეთებდა დიდ ქართულ საქმეებს. სიცოცხლის ბოლომდე იგი ხელმძღვანელობდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებას, რომელიც უძრაობის პერიოდშიც ახერხებდა ბევრი ეროვნული საქმის გაკეთებას.

არასოდეს დამავიწყდება მისი კეთილგანწყობა და მამობრივი მზრუნველობა, როდესაც ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის დაფუძნების ინიციატივით გამოვედით. სულით ახალგაზრდა, ყოველთვის ხელს უწყობდა ახალ საინტერესო იდეებს, ვერ ეგუებოდა ერთგვაროვან, პრიმიტიულ მიდგომებსა და სტერეოტიპულ აზროვნებას.

მასთან ურთიერთობით ჩვენ ბევრს ვსწავლობდით.

მადლობა ამისთვის!

ბატონი ანდრიასათვის მთავარი ამოსავალი წერტილი მაინც მისი სამშობლო იყო! როდესაც საქმე საქართველოს ინტერესების დაცვას შეეხებოდა, ეს დინჯი და უხმაურო კაცი ზედმეტად პრინციპული, მოუდრეკელი და შეუვალი ხდებოდა. მან შესანიშნავად იცოდა, თუ სად გადიოდა ის ზღვარი, რომლის იქითაც უკანდახევა აღარ შეიძლებოდა!

ბატონი ანდრია გამოირჩეოდა თავმდაბლობით. ვერ იტანდა ზედმეტ პომპეზურობას. საოცრად ტაქტიანი, ყურადღებიანი და გულთბილი ადამიანი იყო.

მან შესანიშნავად იცოდა მეგობრობის ფასი და თავისი ცხოვრების მანძილზე ეს არაერთხელ დაუმტკიცებია.

ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

სწორედ ასეთი ვალმოხდილი წავიდა ბატონი ანდრია ჩვენგან.

მშვიდობით, ბატონო ანდრია!

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა!

პაატა სურგულაძე,
საქართველოს პარლამენტის მუდმივი წარმომადგენელი დსთ საპარლამენტო ასამბლეაში, პეტერბურგისა და თბილისის კულტურული და საქმიანი ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი.

ყოფა

რესურსებით მდიდარი ქვეყნის ღატაკი მოსახლეობა

საქართველოში უმუშევართა რაოდენობა თანდათანობით მატულობს, ხოლო დასაქმებულთა ნახევარზე მეტის შრომითი ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია. უფრო მეტიც, ეს მომუშავე ხალხი კიდევ ვალდებულია, თავისი მათხოვრული ხელფასიდან საშემოსავლო ბეგარა გადაიხადოს. ასეთები შეიძლება ჩავწეროთ „მომუშავე ღატაკების" სიაში. საერთოდ, ღატაკთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იქნება. ღატაკები შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად დავყოთ: პირველ ჯგუფში შედიან „მომუშავე ღატაკები". მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან „ღატაკი პენსიონერები", რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა 28 ლარ პენსიას იღებს. და მესამე ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ტრადიციული ღატაკები". ეს არის მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, ოჯახები ინვალიდი ბავშვებით და თვით ინვალიდები.

სიღატაკე და ღრმა სოციალური წყენა ერთმანეთთან რთულ ურთიერთკავშირშია. ისინი, ვინც სიღატაკის ზღვარზე არიან, პირველ რიგში იმაზე ფიქრობენ, როგორ და რა გზებით გადაირჩინონ თავი. თუ არ ამაღლდა მათი ცხოვრების და კეთილდღეობის დონე, მაშინ სოციალური წყენა მკვეთრად გაიზრდება და მოსალოდნელია ღატაკთა და მდიდრებს შორის ანტაგონიზმი და სრული დაპირისპირება, რასაც მოჰყვება დამნაშავეობის ზრდა და კრიმინოგენური სიტუაციის მკვეთრი გამწვავება. მაგრამ ერთი რამ ცხადია, მიუხედავად ღატაკების გაუსაძლისი ცხოვრებისა, მათ რევოლუციები არასოდეს მოუხდენიათ...

თუ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, მათ გვერდით ერთობ მშვენივრად და ლაღად გრძნობენ თავს სხვადასხვა გზით და მაქინაციებით გამდიდრებული ბობოლები და ოლიგარქები. აქედან გამომდინარე, ჩვენთან ძირითადად ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ორი ფენა — ძალზე მდიდარი და ძალზე ღატაკი ხალხისა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 14 წელი გავიდა, მაგრამ ქვეყანაში ვერა და ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსახლეობის სამედიცინო, საგანმანათლებლო და კომუნალური მომსახურება ფასიანია, თანაც მაღალღირებულია. პრობლემას ის წარმოშობს, რომ მიზერული დაფინანსების გამო, მომსახურების ეს სისტემა დეგრადირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ღარიბებს არ შეუძლიათ მიიღონ ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ფასიანი განათლება, აგრეთვე კომუნალური მომსახურების ისედაც გაზრდილი ტარიფების გადახდა.

ჩვენთვის გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ **მსოფლიო ბანკი ღატაკად იმ ადამიანს მიიჩნევს, რომელსაც დღეში 2,15 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ხოლო დაუცველად, ანუ ღარიბად კი მას, ვინც იძულებულია, დღეში 4,3 დოლარს დასჯერდეს.**

რახან მსოფლიო ბანკზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა მოვიყვანო ზოგიერთი მისი შეფასება: საქართველოში სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტას ხელს უშლის საბიუჯეტო სახსრების არასწორი განაწილება, რომ შემოსავლების გადანაწილება არ მოხდა ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ, რის გამოც სიღარიბის დონე გაიზარდა. მთავრობამ პენსიები იმ რაოდენობით უნდა გაზარდოს, რომ პენსიონერმა თავისი ოჯახის წევრების დახმარებაც შეძლოს.

განა დასაშვებია ისეთი მდგომარეობა, როდესაც მინისტრების ხელფასი 100-ჯერ და უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი პენსიონერის პენსია?!

საქართველოში გვაქვს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, მაგრამ რა ეკონომიკის განვითარებაზეა ლაპარაკი, როდესაც სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა გაკოტრებულია და, შესაბამისად, არც პროდუქციას უშვებს? ამ დროს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო ძირითადად მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაყიდოს და გაასხვისოს სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტები, რასაც „დიდი წარმატებით" კურირებს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე.

როგორ შეიძლება გაყიდო სახელმწიფო დანიშნულების და სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი ობიექტები, როგორებადაც ითვლებიან სამხედრო-სამრეწველო ქარხნები, კავშირგაბმულობა, საზღვაო პორტები, რკინიგზა და სხვა საშუალებები, რომლებზეც დაფუძნებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და სიმძლავრე. ადრეც ვწერდი და ამჟამადაც ვიმეორებ, რომ **ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ინგლისი და საფრანგეთი, არსებობს კერძო სექტორი და სახელმწიფო სექტორი 50-50 პროცენტის თანაფარდობით.**

ადრე ცნობილმა დისიდენტმა, ამჟამად გერმანიაში მცხოვრებმა მწერალმა და მეცნიერმა ალექსანდრე ზინოვიევმა გამოუშვა წიგნი „დასავლეთი", სადაც აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმმა სოციალიზმიდან გადაიღო ყველა ის მეთოდი და სიახლე, რაც რაციონალური იყო და თავისთან დანერგა, რომ კაპიტალიზმი ასეთი ძლიერი არ იქნებოდა, თუ არა სოციალიზმი, რომ პირველ რიგში გადაიღო დაგეგმვა და მისი შესრულების სტატისტიკა. აქედან გამომდინარე, ალბათ, საჭიროა დავუბრუნდეთ დაგეგმვის საკითხებს, რათა ვიცოდეთ, რამდენი და რა სახის პროდუქცია უნდა აწარმოოს საქართველომ.

თუ ე. შევარდნაძის პერიოდში ხშირად გვმოძღვრავდნენ, რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა ჩვენც გადაგვიარაო, ამჟამად გაიძახიან, რომ აშშ-ში განვითარებულმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა (ქარიშხალი და წყალდიდობა) საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინაო. უპირველესად ძალზე გაძვირდა ნავთობპროდუქტები, რამაც გამოიწვია საკვებ პროდუქტებზე 20-30 პროცენტით ფასების ზრდა. დღეისთვის იქ ნავთობპროდუქტების ფასები გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ არავითარი გარანტია არ არის, რომ ჩვენთან საკვებ პროდუქტებზე შესაბამისად შემცირდება ფასები. ასე იყო ადრე და ასე დარჩა ამჟამადაც.

ამჟამად ლუკმა-პურის საშოვნელად 1,5 მილიონამდე ჩვენი თანამემამულეა გადახვეწილი უცხოეთის ქვეყნებში. აქედან მარტო რუსეთში საქართველოდან მილიონამდე ჩვენებურები

არის წასული, რომლებიც არა მარტო საკუთარ თავს ირჩენენ, არამედ, აგრეთვე ყოველწლიურად მილიარდ დოლარს აგზავნიან საქართველოში თავიანთი ოჯახების, ნათესავებისა და ახლობლების დასახმარებლად, ზოგიერთი კი ქველმოქმედებასაც ეწევა.

ამის მიუხედავად, რაც დრო გადის, ღარიბები უფრო ღატაკდებიან, ხოლო მდიდრები უფრო და უფრო მდიდრდებიან. ყველა ელიტარული რესტორანი ყოველდღე გადაჭედილია მდიდრებით, ხოლო მათხოვრები ქუჩაში ელოდებიან წყალობას, ან სანაგვე ურნებში იქექებიან.

საქართველო არ უნდა იყოს ღარიბი ქვეყანა და არ უნდა ჰყავდეს გაღატაკებული, გამათხოვრებული და სიკვდილის პირამდე მიყვანილი ხალხი იმიტომ, რომ ქვეყნის ეკონომიკური აყვავებისთვის ყველა რესურსი არსებობს.

თავი დავანებოთ განვითარებული ქვეყნების ვეტერან-პენსიონერთა მშვიდ, უზრუნველ ცხოვრებას და მაღალ პენსიებს, მაგრამ საქართველოსთან შედარებით დანარჩენ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში, ვეტერან-პენსიონერთა საერთო მდგომარეობა გაცილებით უკეთესი რომ არის, ხომ ფაქტია. საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, იქ ყოველწლიურად უმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პერიოდულად ხდება პენსიების მომატება და დამატებით სხვადასხვა შეღავათების შემოღება. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი პენსიონერები, რადგან აფასებენ მათ დამსახურებას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა პენსიები დიდი ხანია პირვანდელ დონეზეა გაყინული. უფრო მეტიც, „სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სპეციალური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის (№430. 1999 წლის 16 ოქტომბერი) 45-ე მუხლით პენსიების გადასინჯვა უნდა ხდებოდეს ცხოვრების დონისა და შრომის ანაზღაურების ცვლილებებიდან გამომდინარე. ამასთან ერთად არსებობს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№493. 05.11.2004 წ.) თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების შესახებ, რომელთა შესაბამისად უნდა მოხდეს ვეტერანებისთვის პენსიების გადასინჯვა — გადაანგარიშება 2006 წლის პირველი იანვრიდან. აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ რას მოიმოქმედებენ.

გვინდა გვჯეროდეს და ვირწმუნოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეასრულებს თავის სიტყვას: **„ჩემი პრეზიდენტობა იქნება ქართველი ხალხის მმართველობა, საქართველოს პრეზიდენტი იქნება თითოეული ქართული ოჯახის ახლობელი და მეგობარი, მე არასოდეს არავის მივატოვებ გაჭირვებაში და ჩვენს არც ერთ მოქალაქეს არასოდეს არავის დავაჩაგვრინებ"...**

გურამ ჩხიკვაძე

პარასკევი, 2 დეკემბერი.

08.00 მხ. ფილმი **"მთვარის შუქზე მოცეკვავე"** **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი **"ანასტასია"** **11.00** დოკ. ფ. "დიდი კანიონი" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ.ფ. "მხიარული ქალაქის პატარა ანგელოზები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"რობინზონების ოჯახი"** **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.00** სერიალი **"არასოდეს მისცე წასვლის უფლება"** **17.00** დოკ. ფილმი "ბრძოლა არსებობისათვის" **18.00** "მთავარი" **18.30** თოქ-შოუ – ბინათმშენებლობა, საბინაო-კომუნ. საკითხები **19.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი **"ანასტასია"** **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა – ჯო კოკერი **23.30** მხ. ფილმი **"ამაღლებული სულები"** (U) **01.00** საინფორმაციო გამოშვება

19.00 "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი **"პროვინციული ამბავი"**

07.30 დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერ.**"მოპარული გულები"** **11.00** სერიალი **"ბრძოლა ჩრდილთან"** **12.00**, **15.00**, **17.00**, **18.00**, **21.00**, **01.40** კურიერი **12.20** სერიალი **"ბრძნობათა ტყვეობაში"** **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერ.**"მოპარული გულები"** **16.40** სერ. **"მეამბოხე სული"** **18.30** პატრული **19.30** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი **"ღია ზღვა"** (**18**) (რ. რაიანი) **02.00** პატრული **02.20** მხ. ფილმი **"მისამართი მკვლელობა"** (18)

07.00 იმედის დილა **08.00**, **09.00**, **11.00**, **13.00**, **14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.15** სერ. **"საბრალო ნასტია"** **12.25**, **16.15**, **17.10**, **03.25** იმედის მელოდიები **12.40**, **16.25** **ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"მე ვარ კუბა"** (რ. მ. კალატოზიშვილი) **15.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **23.00**, **03.15** ქრონიკა **15.20** სერიალი **"მოჯადოება"** **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი **"ორფეოსის სანაპირო 36"** (**15**) (ჟ. დეპარდიე) **02.25** სერიალი **"თამაში გავარდნაზე"** **1**-ლი ს.

08.30 მუსიკა **09.00** ანიმ. ფილმი **09.30** სერიალი **"ასა"** **10.00** სერიალი **"ჩენტო"** **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **15.55** მზერა **11.05** სერიალი **"ქვიშის თოჯი"** **12.05** რუს. ფილმი **"შავყურა თეთრი ბიმი"** მე-**2**ს. **14.05** მხ. ფილმი **"არლეტი"** **16.20** შემ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.55** მზერა **17.05** სერ. **"გვერდი-გვერდ"** **17.35** ანიმ. ფილმი **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.00** რუსთა ველი - ალექსანდრე კალიაგინი **18.25** ტელემეტრი **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერიალი **"ჩენტო"** **20.00** "მზერა" **20.50** მხ. ფ. **"სხვისი შვილები"** **22.30** სერიალი **"ასა"** **23.00** მხ. ფ. **"მოდილიანი"** (15)

10.00 "ტვ-შოპი" **11.00**, **13.00**, **17.20**, **23.00**, **01.30** Style-TV **12.45** მხ. ფ. **"ცხარე წიწაკები"** **17.00**, **19.00**, **20.30**, **00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ. **"გაქცევა გულაგიდან"** (ბ. ბეტერმანი) **00.30** "ტვ-შოპი"

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია **"50 პირველი კოცნა"** **10.40** ისტორიული ფ. **"მისიე N"** **12.50** ფანტასტიკა **"დაუმარცხებელი"** **14.30**, **17.30**, **20.30**, **00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი **"კინჯაიტი აკრძალული თემები"** **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "ხელხვავი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** ინდური ფილმი **00.15** მხ. ფილმი **"მონიკი"**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რატომ მოითხოვენ ქართველი პოლიტიკოსები თანამეგობრობიდან გამოსვლას?

(პირველი გვერდიდან)

— სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართველ პოლიტიკოსებს აქვთ ასეთი განზრახვა. „ვარდების რევოლუციის“ დროს, საქართველოში მომხდარ მოვლენათა არსი ხომ იყო ის, რომ ქვეყანა ჩამოშორებოდა რუსეთს. ეს იყო გეოპოლიტიკაში ევრაზიულ მიმართულებაზე დასავლური მიმართულების გამარჯვება, რომელიც გულისხმობს მასთან პოსტსაბჭოური სახელმწიფოების დაახლოებას. თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის და ქვეყნის ნატოს ბლოკში განვრიანების ამოცანა იმთავითვე დასახეს „ვარდების რევოლუციის“ შემქმნელებმა, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილი, ქარიზმული ოპოზიციის გამოიყენეს პოსტსაბჭოური სივრცის დანაწევრებასთან დაკავშირებული თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. სხვათა შორის, ეს არაერთხელ უთქვამს ზბიგნევ ბჟეზინსკის...

— მაგრამ ჯერჯერობით საქართველოს პარლამენტი მხოლოდ განიხილავს თანამეგობრობიდან გამოსვლის შესაძლებლობას. თქვენი აზრით, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები?

— არა მგონია, საქართველომ რაიმე მკვეთრი ნაბიჯები გადადგას. მაგრამ, ვიმეორებ, რომ მოვლენათა სწორედ ასეთი განვითარება იყო მოსალოდნელი სააკაშვილის გამარჯვების შემდეგ.

— მაგრამ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამ დღეებში შეეცადა დაემშვიდებინა საზოგადოებრიობა — განაცხადა, რომ ქვეყანა არ აპირებს თანამეგობრობიდან გამოსვლას...

— ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება, ჩვეულებრივი დიპლომატიური სვლაა. ეს არის ვითარების გარკვეულწილად შერბილების მიზნით გადადგმული ნაბიჯი. გეოპოლიტიკური დღის წესრიგი კი, გაცილებით უფრო სერიოზული საქმეა, ვიდრე დიპლომატიური ტრიუკები. საქმე იმას როდი ეხება, დაუყოვნებლივ გამოვა თუ არა საქართველო თანამეგობრობიდან. მაგრამ რესპუბლიკამ საკმაოდ მკაფიოდ მონიშნა თავისი ზრახვები. ამჟამად განიხილავენ ამ პროცესის ვადების, თანამიმდევრულობის საკითხს. სიტუაცია ასე უნდა გავიაზროთ: საქართველომ არა მარტო გამოაცხადა, რომ დაადგა თანამეგობრობიდან გამოსვლის კურსს, არამედ, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯიც გადადგა.

— ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელე, მეტი რომ არ ვთქვათ, რუსეთის მიმართ უტაქტოდ იქცევა. ჩვენ კი მათ, ფაქტობრივად, მხარს ვუჭერთ, ვაწვდით რა ქვეყანას შედარებით იაფ ენერგომუმცველებს, ელექტროენერგიას. თუ გამოვა რესპუბლიკა თანამეგობრობიდან, ამით, იგი მხოლოდ თავის თავს და „სააკაშვილის რეჟიმს“ დასჯის...

— არ გეთანხმებით. თანამეგობრობა ჩვენთვის არის უკანასკნელი კავშირი იმ სოციალურ-პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ მოდელთან, რომელიც არსებობდა საუკუნეების განმავლობაში — რუსეთის იმპერიაში, საბჭოთა კავშირში. სააკაშვილის დასჯის ამოცანა არ დგას. ეს მკვეთრად დაგვაპირისპირებს დასავლეთთან, დააშინებს თანამეგობრობაში გაწევრიანებულ სხვა პარტნიორებს, მძიმე დარტყმას მიაყენებს ქართველ ხალხს. ჩვენი ამოცანა სულ სხვაა: შევინარჩუნოთ პოსტსაბჭოური სივრცე, განვამტკიცოთ ერთიანობა. პოლიტიკოსები, პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ხალხების ინტერესები კი რჩება. სანამ არსებობს ისეთი იურიდიული ინსტანცია, როგორიცაა დსთ, მის ფარგლებში ყოველთვის შეიძლება დავუბრუნდეთ საქმის მდგომარეობის განხილვას სხვა პრეზიდენტთან. ამიტომ, იმ რუს და ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც სერიოზულად შეაშფოთა ასეთმა ვითარებამ, მკაფიოდ არა აქვთ შეგნებული, რომ ჩვენ, დიდ დანაკარგებს განვიცდით. სცადეთ, წარმოიდგინოთ მოვლენათა განვითარება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გამოვა თანამეგობრობის შემადგენლობიდან. ამას მოჰყვება მოსკოვის მხრიდან საპასუხო ნაბიჯი. შესაძლოა, მთელი ყურადღება გადაიტანონ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერაზე. აქედან, საქართველოსთან უშუალო კონფლიქტამდე კი ერთი ნაბიჯღა რჩება. ერთი სიტყვით, ყველაფრის დანგრევა ადვილია, მაგრამ აღდგენა ძალზე გაჭირდება. ჩემი აზრით, სანამ საქართველო რჩება თანამეგობრობაში, ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, შევაგებინოთ არაშორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომ შეუშალონ ხელი ევრაზიის სივრცეში დამანგრეველი პროცესების განვითარებას.

— მაგალითად, უკრაინის პრეზიდენტიცაკრიტიკულთანამეგობრობას. თქვენი აზრით, როგორი იქნება დასთ-ს მომავალი?

— თანამეგობრობა ჩაფიქრებული იყო როგორც პოსტსაბჭოური სახელმწიფოების „ხავერდოვანი განქორწინების“ ინსტრუმენტი. მაგრამ ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავის დროზე გამოთქვა წინადადება იმის შესახებ, რომ თანამეგობრობის ბაზაზე შეგვექმნა გეოპოლიტიკური ინტეგრაციის ინსტრუმენტი. მან, ამას უწოდა ევრაზიის კავშირის შესაძლო სტრუქტურა. სუფი კი, რომლის რეანიმირებასაც ცდილობენ კიევი და თბილისი, სწორედ „განქორწინების“ დაჩქარებას ისახავს მიზნად. ერთი სიტყვით, თანამეგობრობა გვიტოვებს გაერთიანების შანსს, ევრაზიის კავშირის იდეის განხორციელების შესაძლებლობას. დარწმუნებული ვარ, თანამეგობრობის არსებობა უკეთესია, ვიდრე მისი დაშლა.

1 დეკემბერი.

◎ ფეხბურთი

გაცხრილვა გრძელდება

საძართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობისთვის გაჩაღებულ რბოლას პირველი კანდიდატი გამოაკლდა. ეს გახლავთ 38 წლის გერმანელი სპეციალისტი მათიას ზამერი, რომელმაც სფუ მესვეურებს დაფასებისთვის მადლობა კი გადაუხადა, მაგრამ შეთავაზებულ წინადადებაზე ახალგაზრდული ასაკისა და გამოუცდელობის გამო დიპლომატიური უარი შემოუთვალა. დაბადების თარიღს მართლაც ვერაფერს მოუხერხებ კაცი, აი, მეორე მიზეზისა კი რა მოგახსენოთ — შეგახსენებთ, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ უკანასკნელად ბუნდესლიგის ჩემპიონი სწორედ ზამერმა გახადა, თანაც ამავე კლუბს უკავშირდება მისი კიდევ ერთი მიღწევა — უეფას თასის გათამაშების ფინალისტობა. ასე რომ, გამოუცდელობაზე საუბარი ამ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებლად ღერს.

სამაგიეროდ, გაცილებით მეტი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს მისი თანამემამულის კლაუს ტოპმოილერის წინასწარი პასუხი — 10 დეკემბერს მეუღლის თანხლებით გენევიით და დეტალებზე თბილისში ვიმსჯელებთო. „ტოპის“ უმაღლეს კვალიფიკაციაზე მისი განვრთნილი „ლევერკუზენის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა მეტყველებს. სხვათა შორის, „აინტრახტში“ მოღვაწეობის პერიოდში მისი ერთ-ერთი შეგირდი კახი ცხადაძე გახლდათ.

რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ თავკაცობის კიდევ ერთ პრეტენდენტს სლოვენიელ სრეჭკო კატანეცს, მან მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა და ისიც დააყოლა, რომ თუ საბოლოოდ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, პირობების გასაცნობად ჩვენს ქვეყანას 15 დეკემბერს ესტუმრება.

წილი ნაყარია

მოგებსენებათ, გაისად ზაფხულში პოლონეთი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს, სადაც კობა ყორყიკაშვილის გაწვრთნილი ქართველოს ნაკრებიც ითამაშებს.

სიძლიერის მიხედვით მეორე კალათში განთესილი ჩვენი გუნდი კვიპროსზე გამართული კენჭისყრის შედეგად „ბ“ ჯგუფში მოხვდა. მომავალ ფორუმზე მისი მეტოქენი ირლანდიელი, სლოვაკი და თურქი თანატოლები იქნებიან.

მხოლოდ შედეგები

უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი.

IV ტური.

„ა“ ჯგუფი. ცსკა (სოფია) — „ვიკინგი“ 2:0, „სლავია“ — „მონაკო“ 0:2. ისვენებდა „ჰამბურგი“.

„მონაკო“, „ჰამბურგი“ — 6-ნ, „სლავია“, „ვიკინგი“ — 4-4, ცსკა (სოფია) — 3 ქულა.

15 დეკემბერს ითამაშებენ: „მონაკო“ — ცსკა (სოფია), „ჰამბურგი“ — „სლავია“. ისვენებს „ვიკინგი“.

„ბ“ ჯგუფი. „მაქაბი“ — „ლოკომოტივი“ 0:4, „ბრონდბიუ“ — „ესპანიოლი“ 1:1. ისვენებდა „პალერმო“.

„ლოკომოტივი“ — 7, „პალერმო“, „ესპანიოლი“ — 5-ნ, „ბრონდბიუ“ — 4, „მაქაბი“ — 0 ქულა.

15 დეკემბერს ითამაშებენ: „ესპანიოლი“ — „მაქაბი“, „პალერმო“ — „ბრონდბიუ“. ისვენებს „ლოკომოტივი“.

„გ“ ჯგუფი. „სამშდორია“ — „ჰერტა“ 0:0, „სტიაუა“ — „ჰალმშტადი“ 3:0. ისვენებდა „ლანსი“.

„სტიაუა“ — 7, „ჰერტა“, „სამშდორია“ — 5-ნ, „ლანსი“ — 4, „ჰალმშტადი“ — 0 ქულა.

15 დეკემბერს ითამაშებენ: „ჰერტა“ — „სტიაუა“, „ლანსი“ — „სამშდორია“. ისვენებს „ჰალმშტადი“.

„დ“ ჯგუფი. „ლიტექსი“ — „ალკმაარი“ 0:2, „გრასხოპერსი“ — „დნეპრი“ 2:3. ისვენებდა „მიდლსბრო“.

„მიდლსბრო“, „ალკმაარი“ — 7-7, „ლიტექსი“ — 6, „დნეპრი“ — 3, „გრასხოპერსი“ — 0 ქულა.

15 დეკემბერს ითამაშებენ: „ალკმაარი“ — „გრასხოპერსი“, „მიდლსბრო“ — „ლიტექსი“. ისვენებს „დნეპრი“.

◎ დარბაზის ფეხბურთი

ჩემპიონმა ბრაზილიელი დაიმატა

მადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ ლეგიონერს ჟერმანო მიგელ ნეტოს. სან-პაულუს შტატის ჩემპიონატში გამოსვლის შემდეგ იგი პორტუგალიის პროფესიულ კლუბ „პოავიშტაში“ თამაშობდა, ასე რომ, სავსებით ლოგიკური გახლდათ, პირველ შეხვედრებში მშვენიერი შთაბეჭდილება რომ დატოვა გულშემატკივრებზე.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი დარბაზის ფეხბურთში (რატომღაც ფუტბალს რომ უწოდებენ) აღსანიშნავი ფაქტით გაიხსნა — ქვეყანის არაერთგზის ჩემპიონის „იბერია — 2003“-ის შეხვედრით.

გაუწყებთ სპორტკომპლექსის „ქარიშხალაში“ გამართული სასტარტო მატჩების შედეგებს:

I ტური. „ცენტრპოინტი“ — „იბერია-2003“ 3:2, „ნიკორა“ — „სოხუმი“ 9:4, „საბურთალო“ — „აჭარა“ 4:1, „იმედი“ — „ქართლი“ 5:2.

II ტური. „იბერია — 2003“ — „იმედი“ 9:6, „საბურთალო“ — აგრარული უნივერსიტეტი 10:4, „ცენტრპოინტი“ — „ქართლი“ 9:3, „ნიკორა“ — „აჭარა“ 6:4.

III ტური. „აჭარა“ — „სოხუმი“ 6:6, „ნიკორა“ — აგრარული უნივერსიტეტი 10:5, „იბერია“ — 2003“ — „ქართლი“ 10:3, „ცენტრპოინტი“ — „იმედი“ 7:6.

ამრიგად, XII ეროვნულ ჩემპიონატში ქულათა მაქსიმუმით — 9-ზე დანინარდნენ „ნიკორა“ და „ცენტრპოინტი“.

ზალვა ძორიძე

◎ თაობა

მოვიწინეთ 2005 წლის 4 ნოემბერი

ამ დღეს კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში თსუ — „ნიკორას“ გუნდში დებიუტი ჰქონდა 15 წლის გიორგი შარაბიძეს, რომელმაც პირველი ორი ქულით გახსნა პირადი ანგარიში დიდ ასპარეზზე.

გიორგი ამჟამად 208 სანტიმეტრი სიმაღლისაა და უნივერსიტეტის ახალგაზრდულ გუნდში, რომელსაც წარმატებით წვრთნის გამოცდილი მწვრთნელი ნუგზარ მარკოიშვილი, ცენტრალური თავდამსხმელია.

„ნორჩი უნივერსიტეტელი“ ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობის ლიდერია და ამაში გიორგი შარაბიძის დიდი წვლილია.

რამდენიმე დღის წინათ მიხეილ კეკილიძის სახელობის ვერის საკალათბურთო დარბაზში ასეთი სურათის მოწმე გავხდით: ნუგზარ მარკოიშვილმა გიორგი შარაბიძეს ამერიკაში მოასპარეზე ზაზა ფაშულიას გამოგზავნილი ნობათი გადასცა.

გიორგი შარაბიძის „ფეხზე მოსარგები“ სპორტული ფეხსაცმელი საქართველოში არცთუ ადვილად იშოვება და გასაგებია მისი სიხარული.

ჩვენთან საუბარში ნუგზარ მარკოიშვილმა თქვა: თუ ყველაფერი გეგმაზომიერად და დაკვირვებულად წარიმართა. გიორგი შარაბიძის ტალანტი მის მომავალ ვარსკვლავად მოვლინების საწინდარია. ამჟამად თსუ — „ნიკორას“ გუნდში ოფიციალურ ასპარეზობებში მისი დროდადრო გამოჩენა, ძლიერ და კუნთმაგარ მეტოქეებთან შეჩვევის პროცესად უნდა აღვიქვათ, სწორედ აქ უნდა გამიმაგროს მართვემ ფრთები.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მჯიდხველისთვის გავიმეოროთ: „მოინი შენთ 2005 წლის 4 ნოემბერი, დებიუტი გიორგი შარაბიძისა!“

გივი შეყილაძე

სურათზე: ასე დაასაჩუქრა ოსტატმა შეგირდი.

ავტორის ფოტო.

ქართველებს ევროპელები არ მიიღებენ

საძართველოში კვლავ პოლიტიკური ვნებათაღელვაა. ბოლომდე არც იყო ჩამცხრალი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გადადგომასთან დაკავშირებული სკანდალი, რომ პარლამენტში ახალმა ემოციებმა იფეთქეს. სიკერმა ნინო ბურჯანაძემ მხარი დაუჭირა ოპოზიციის იდეას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ. კანონმდებლებმა ერთსულოვნად დაადგინეს, რომ შესაბამისი კონსულტაციები უნდა დაიწყონ პრეზიდენტ სააკაშვილთან. მაგრამ, სულ რაღაც სამი დღის გასვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა „მკვეთრად დაეხია უკან“. პრემიერ-მინისტრმა ნოღაიდელმა განაცხადა: „ჩვენ თანამეგობრობიდან არსად არ ვაპირებთ გასვლას“. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კი ალაპარაკდა თანამეგობრობასთან ურთიერთობის გაწყვეტის „არააქტუალურობაზე“.

აღსანიშნავია ერთი რამ: ასეთი „ფოკუსები“ ამ ბოლო ხანებში თბილისის საგარეო პოლიტიკისთვის ისეთივე საფირმო კერძი გახდა, როგორც თავის დროზე იყო საცივი მოსკოვის რესტორან „არაგვში“. უფრო მეტიც, ეს გახდა ქართული პოლიტიკის არსი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რუსეთს. თბილისს ან არ სურს, ან, უბრალოდ, არ შეუძლია სოლიდურად დაიჭიროს თავი მეზობელთან დიალოგის დროს. თუმცა, ყოველივე ამაში, შეინიშნება ერთი კანონზომიერება და თანამიმდევრულობაც კი. ეს არის სწრაფვა, როგორმე გაანაწყენონ მოსკოვი, ნებისმიერ ფასად, თუნდაც, საკუთარი ინტერესების საზიანოდ. საქართველოს წინაშე არსებული რეალური პრობლემები კი, როგორც ყველა რიცხვი, ასეთი პოლიტიკის წყალობით, სულ უფრო მატულობს, ნელ-ნელა მეორე პლანზე გადადიან. ევროპაში, საითკენაც, ასე მიილტვის საკაშვილის გუნდი, მიღებულია, რომ პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოღვაწეები მეტი თავშეკავებით და პასუხისმგებლობის გრძნობით იყვნენ განმსჭვალულები.

მიხეილ მიდუნოვი,
„ტრუდი“, 1 დეკემბერი.

ჯეკვლამ უწიათ?

პორნოგრაფიული ფილმის „იულიას“ ირგვლივ აგორებული სკანდალი, ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა, მსახიობების ელენა ბონდის და ალენ მელიქ-გრიგორიანის ცხოვრებაში (მათ ფილმში ხორცი შეასხეს იულია ტიმოშენკოს და მიხეილ სააკაშვილის სახეებს) კი დიდი ტრაგედია მოხდა. ბონდი ფსიქიატრიულ კლინიკაში აღმოჩნდა, მელიქ-გრიგორიანი კი დააშორეს საყვარელ ცოლსა და შვილს. ნებსით თუ უნებლიეთ იბადება ასეთი კითხვა: ტიმოშენკო მართლა კუდიანი ხომ არ არის?

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტთან ოქსანა ხიმიჩთან საუბრისას განაცხადა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა (იგი ამ ფილმის იდეური სულისჩამდგმელი გახლდათ), მსახიობი ელენა ბონდი ამ დღეებში მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. კლინიკაში მსახიობი მიიყვანა მისმა მძღოლმა, რომელიც მოულოდნელად გახდა ელენას ფსიქოლოგიური აშლილობის მოწმე.

— იცით, ამ გოგონას ტკენმა და ფსიქიკამ ვერ გაუძლო ასე მოულოდნელად მოხვედჭილ დიდებას, — თქვა მიტროფანოვმა. — თანაც, როგორც ხედებით, ეს დიდება საკმაოდ სპეციფიკურია. მამაკაცები მოსვენებას არ აძლევდნენ ათასგვარი ინტიმური ხასიათის წინადადებებით. მეგობარი გოგონები ჭორაობდნენ მასზე, ნათესავები კი ციცხვდნენ...

რამდენიმე დღის წინათ ფილმის რეჟისორმა მოინახულა მსახიობი საავადმყოფოში და სთხოვა ექიმებს, იგი შინ გაეშვათ მცირე ხნით მაინც. მაგრამ ექიმებმა განაცხადეს, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობისთვის მთლიანად აგებენ პასუხს და ამიტომაც, გოგონას კატეგორიულად აუკრძალეს საავადმყოფოდან გასვლა. იგი იქ დარჩება იმდენ ხანს, რამდენი ხანიც დასჭირდება მისი ნერვული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამავე დროს, მსახიობ ალენ მელიქ-გრიგორიანის ოჯახშიც დიდი პრობლემები წარმოიქმნა. როცა ცენტრალური არხებით იხილა ნაწყვეტები პორნოგრაფიული ფილმიდან, ალენის სიმამრი, რომელიც სომხეთის ერთერთ პროვინციულ ქალაქში ცხოვრობს, სასწრაფოდ ჩავიდა მოსკოვში. „ჩვენ არ გვჭირდება ასეთი სიძე!“ — განაცხადა სიმამრმა, ხელი მოხვია ალენის ცოლ-შვილს და სომხეთში გააქანა. ახლა, მსახიობმა არ იცის, რა იღონოს, სამშობლოში ჩასვლის ეშინია, რადგან მისი სიმამრი თავის ქალაქში საკმაოდ გავლენიან კაცად ითვლება...

— ხომ გესმით, ალენის სიმამრი პროვინციელი კაცია, — განმარტა მიტროფანოვმა. — ამ ადამიანმა ვერ შეიგნო, რომ მისი სიძე მხოლოდ მსახიობია და ცოლისთვის არ უღალატია. რას გააწყობ? ალბათ, როგორღაც დავეხმარებით ალენს...

1 დეკემბერი.

განცხადება

საააქციო საზოგადოება სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

2005 წლის 23 დეკემბერს, 17 საათზე, საააქციო საზოგადოება სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.

კრება გაიმართება საზოგადოების საააქტო დარბაზში, მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას I შესახვევი № 34.

დღის წესრიგი:

1. ზამთრის სეზონთან დაკავშირებული საკითხები;
2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხი;
3. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ;
4. სხვადასხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში ტ. 99-82-31.

საააქციო საზოგადოება სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ სამეთვალყურეო საბჭო.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია, თავისი წესდების შესაბამისად, აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად:

განყოფილება	ვაკანსიები
1. ენერგეტიკის განვითარების ზოგადი პრობლემები	— 2

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრ-კორესპონდენტების კანდიდატთა რეკომენდაციის უფლება აქვთ სამინისტროებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასოციაციებს, ინსტიტუტებს ან ენერგეტიკის აკადემიის არანაკლებ სამ აკადემიკოსს.

განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, სარეკომენდაციო წერილი-წარდგინება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, კანდიდატის CV და სამეცნიერო შრომების სია 2006 წლის 5 იანვრამდე უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგ მისამართზე: 0171 თბილისი, კოსტავას 70, საქართველოს ენერგეტიკის აკადემია.

◎ სხვა გაზეთიდან

როცა კასპაროვი შორიდან უყურებს

მოსკოვის ჟურნალ „64“-ის კორესპონდენტი ალექსანდრ როშალი ეწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გარი კასპაროვს და სთხოვა, აზრი გამოეთქვა აქტუალური საჭადრაკო პრობლემების შესახებ.

— როცა ვესელინ ტოპალოვს მსოფლიო ჩემპიონის ჯილდოს გადასცემდნენ, არც ერთ მის მეტოქეს ტაში არ დაუკრავს.

— ნუ გავამტყუნებთ ამ მოჭადრაკეებს. თითოეულ მათგანს ხომ თვითონ სურდა ჩემპიონობა.

— დიახ, მაგრამ თქვენ ხომ მემკვიდრედ ანანდს თვლიდით.

— არავის არ ვთვლიდი, უბრალოდ დავკარი ფეხი და ჭადრაკი მივატოვე. მაშინ ანანდი, ფაქტობრივად, მსოფლიოს № 2 მოჭადრაკე იყო. ამასთან, ჩემი წასვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ყოველთვის № 2 მოჭადრაკე ვერ იქნები, არც ის არის აუცილებელი, რომ № 1 გახდე. თანაც, ანანდი ტურნირში ყოველთვის შშვიდად, შეიძლება ითქვას, კომფორტულად თამაშობს, მეტი ყინი და შემართებაა საჭირო. აი მატჩში, ერთი ერთზე კი სხვა სიტუაციაა. ასეთ ორთაბრძოლაში იგი ტოპალოვს აუცილებლად დაამარცხებდა. რაც შეეხება ტოპალოვს, მან სან-ლუისში ყველაზე კარგად ითამაშა და და დამსახურებულად გაიმარჯვა.

— ერთი სიტყვით, ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონია?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— კრამნიკი აცხადებს, რომ ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი ის არის. ჯერ იყო და კასპაროვი დაამარცხა, შემდეგ კი წოდება ლეკოსთან ბრძოლაში დაიცვა. ამიტომ ტოპალოვი აუცილებლად უნდა შეხვდეს.

— ეს მხოლოდ კრამნიკის აზრია. როცა აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნება, ყველაფერს საზოგადოებრივი აზრი წყვეტს. კრამნიკს სუსტი სპორტული შედეგები აქვს, რა მოხდა 5 წლის წინათ, განა ეს აქტუალურია?

— ერთი სიტყვით, კრამნიკს მატჩის უფლება არა აქვს?

— მე ასე ვიტყოდი: მისი იურიდიული უფლებები მეტად საეჭვოა, საჭადრაკო და მორალური უფლებები კი საერთოდ არა აქვს.

— ტოპალოვს ვკითხეთ, მზად არის თუ არა კასპაროვს შეხვდეს. მან გვითხრა: სიამოვნებით შევხვდები, ოღონდ ეს არ უნდა იყოს მატჩი მსოფლიო პირველობაზეო.

— აქაც კამათი არაფერია: მე თამაშს არ ვაპირებ.

— რას იტყვით მსოფლიო პირველობის ახლანდელ ფორმულაზე?

— თქვენ იცით ჩემი აზრი: ახლანდელ მატჩ-ტურნირს 8 მონაწილით მე მაინც მატჩი მირჩევნია, როცა ჩემპიონი პრეტენდენტს უშუალოდ ხვდება. საქმე ის არის, რომ ტურნირი ყოველთვის არათანაბარი შემადგენლობისაა, სად გინდათ ნახოთ 8 ერთნაირი ძალის მოჭადრაკე. განა ყველა პირველი ადგილისაკენ მიისწრაფვის? ეს ხომ შეუძლებელია. იმ შეჯიბრებაში, სადაც მონაწილეებს სხვადასხვა მოტივაცია აქვთ, ტოპალოვი ძალიან სახიფათოა, იგი ხომ სრული ჩართვით, უკიდურესი დაძაბვით თამაშობს. აი, მატჩში კი, ერთი ერთის წინააღმდეგ, მისი შესაძლებლობები არ არის ძალიან დიდი. აქ მე მაინც ანანდს ვანიჭებ უპირატესობას.

გივი თორელი

◎ სპორტულ ორბიტაზე

მედალია თუ ფუნთუშა?

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს უყვართ ორიგინალობის გამოჩენა, კერძოდ კი იმაში, თუ როგორი უნდა იყოს ოლიმპიური ჯილდო.

შეიძლება, თქვათ, მედალი ყველგან მედალია — აფრიკაშიც კი. ბავშვიც კი გეტყვით, რომ მე-

დალი თავისებური წრეა, ოქროსი — ოქროსად მზადდება (ან მოოქროვილია), ვერცხლის — ვერცხლისგან, ბრინჯაოსი — ბრინჯაოდან. მაგრამ მუდამ ასე როდია.

1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის პრეზიორებმა (ის საფრანგეთის ალბერვილში გაიმართა) მიიღეს მთის ბროლიდან დამზადებული მედლები. ორი წლის შემდეგ კი ლილეჰამერში ოლიმპიადაზე გამარჯვებულებს დაურიგეს... შავი მედლები (?!). სწორედ შავ ფერზე შესაფერისი ძვირფასი ლითონით იყო გაკეთებული შესაბამისი წარწერები და გამოსახულებანი.

მართალია, ტურინში, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მედლები ლითონისა იქნება, მაგრამ შუაში ექნება ნახვრეტი. ეს ცნობილი გახდა გუშინწინ, როცა ტურინში სოკ-ის წარმომადგენლები ჩამობრძანდნენ.

მედალს, რომელსაც ორგანიზატორები ფუნთუშას („პონჩიკს“) ადარებენ, ერთ მხარეს გამოსახული ექნება ტურინის ემბლემა, მეორეზე კი — სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ილუსტრაციები. წითელი აბრეშუმის ლენტი, რომლითაც სპორტსმენმა ჯილდო კისერზე უნდა ჩამოიკიდოს, სწორედ მედლის ნახვრეტში იქნება გაყრილი (იხ. ფოტო).

ევროპული კალათბურთის პერიპეტიები

ფიბა-ს ევროპულმა ბიურომ გამოაცხადა კალათბურთში კონტინენტის ვაუთა და ქალთა ჩემპიონატებისთვის მონაწილე წილეთა შერჩევის სისტემის შესახებ და დაამტკიცა მომავალი წლის უმთავრესი შეხვედრების კალენდარი.

ვაჟთა 2007 წლის ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში უნდა გაიმართოს და მისი ცხრა მონაწილე უკვე ცნობილია — საბერძნეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ლიტვა, სლოვენია ფინალურ ტურნირში მოხვდნენ ევროპის ბოლო პირველობის შედეგების მიხედვით, იტალია, სერბია და ჩერნოგორია, თურქეთი კი როგორც „Wild card“-ის მფლობელები.

დანარჩენ 7 საგზურს გაითამაშებენ შესარჩევ რაუნდსა და საკვალიფიკაციო ტურნირში, რაც უშუალოდ ევროკალათბურთის წინ გაიმართება.

შესარჩევ ტურნირში (2006 წლის 31 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე) მონაწილეობას მიიღებს ოთხ ჯგუფად დაყოფილი

15 ნაკრები; მათი კენჭისყრა კი 11 თებერვალს მადრიდში გაიმართება. საგზურს მიიღებენ ჯგუფუფების გამარჯვებულები, აგრეთვე, ორი მეორე ადგილზე გამოსვლილი საუკეთესო გუნდი.

2007 წლის ქალთა ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს იტალია უმასპინძლებს. მასში კონტინენტის პირველობის შედეგებით უკვე მოხვდნენ ჩეხეთი, რუსეთი, ესპანეთი, ლიტვა, საფრანგეთი და იტალია (როგორც ორგანიზატორი ქვეყანა). დანარჩენი 9 საგზურის მფლობელს 2006 წლის სექტემბერში შესარჩევი რაუნდი შეარჩევს, ხოლო ბოლო — მეათეს — საკვალიფიკაციო ტურნირი.

უმცროსი ასაკის ნაკრებების ევროპის ჩემპიონატები ხუთ ქვეყანაში გაიმართება ახალგაზრდული ვაჟთა და ქალთა პირველობა, შესაბამისად, თურქეთის იზმირსა (14-23 ივლისი) და უნგრეთის სოპრონში (7-16 ივლისი) ჩატარდება, იუნორი ვაჟები და ქალიშვილები იასპარეზებენ საბერძნეთის ამალიადაში (18-27 ივლისი) და ესპანეთის ხაენში (21-30 ივლისი), კადეტი ბიჭები და გოგონები შესაბამისად მადრიდში (11-20 აგვისტო) და სლოვაკეთის კოშიცეში (4-13 აგვისტო) ითამაშებენ.

საჩუქრად ბიჭს მოუმზადებს?

მთელი იტალია ლაპარაკობს ცნობილი მსახიობისა და მოდელის მანუელა არკურისა და ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონის ალდო მონტანოს რომანზე.

როგორც ლამაზმანმა იტალიელ ჟურნალისტებს გაუცხადა: „ალდომ მთლიანად გადაატრიალა ჩემი ცხოვრება და რომ არა ჩემი კონტრატტები, მე მას ბიჭს ვაჩუქებდი“.

დიახ, იმ სწრაფ სიყვარულს, რომელიც ახლა ამოძრავებს, იტალიური მასმედიის აზრით, ყველაზე ლამაზ მოდელსა და სანიშუშო მოფარიკავეს, შესაძლოა, სასურველი შედეგი თუ ნაყოფი მოჰყვეს. ისინი ხომ, უკვე რამდენიმე თვეა, დაახლოვდნენ.

არკური კარგადაა ცნობილი სპორტსმენებთან ხშირი რომანებით (ამაზე ჩვენი გაზეთიც წერდა). თავის დროზე ის ხვდებოდა ორ ფეხბურთელს. ორივეს ფრანჩესკო რომ ერქვა. — ტოტისა და კოკოს, აგრეთვე სამთო მთოხილაშვილს ალბერტო ტომბოს, მაგრამ, როგორც თვითონ მოდელი ამბობს, ყველაზე დიდი სიყვარულით სხვებზე ახალგაზრდა ალდო-სადმი განიმსჭვალა. „წუ ამბობთ, რომ ის „ჩემი საქმროა“. მე ვამჯობინებ, თქვათ, რომ „მე მისი ქალი ვარ“.

საეკლესიო კალენდარი

ღირსი მამა ილარიონ ქართველი, საკვირველმოქმედი

2 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს მამა ილარიონ ქართველს იხსენიებს, რომელიც კახელი აზნაურის შვილი იყო, დონაურთა გვარიდან.



ღირსი მამა ილარიონი მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო. ის ექვსი წლის იყო, როდესაც სასწავლებლად ღვთისმოყვარე და ღირსეულ კაცს მიაბარეს, რადგან ბავშვობიდან განსაკუთრებული ნიჭის პატრონი იყო. მამამ შვილი თავისივე აშენებულ მონასტერში მიაბარა ბერებს. მალე, ახალგაზრდა ილარიონმა დატოვა მონასტერი და გარეჯის უდაბნოს მიაშურა, იმოვა იქ პატარა გამოქვაბული და დაეყუდა.

ახალგაზრდა ბერმა, მეუდაბნოეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კურთხევის შემდეგ ახალი დიდებით შეიმოსა ღირსი მამის სახელი და ის გაემგზავრა იერუსალიმს წმიდა ადგილების მოსალოცად. თაბორის, გოლგოთას, უფლის საფლავის და ბეთლემის თაყვანისცემის შემდეგ მან იორდნის უდაბნოს მიაშურა და იქ, ერთ გამოქვაბულში დაეყუდა...

საქართველოში დაბრუნებულმა ბერმა დედათა მონასტერი ააშენა, მერე კი — მამათა. გლახაკებს და უპოვრებს დახმარება ბევრჯერ გაუწია.

წმინდა ილარიონი ხუთი წელი მოღვაწეობდა ულუმბოს მთაზე. შემდეგ ის კონსტანტინოპოლში წავიდა...

წმინდა მამამ ანგელოზებრივი ცხოვრებით იცხოვრა რომში. ბოლოს ის თესალონიკში დასახლდა და ქალაქის მთავრის მიერ აშენებულ ეკლესიაში გაატარა დარჩენილი ცხოვრება.

ნეტარ მამას თავისი აღსასრული წინასწარ ეუწყა უფლისგან. დაიბარა ქალაქის მთავარი, მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის, ხოლო ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა და მოწყალება დაუტოვა. მისი წმინდა ნაწილები რომანაწმიდის მონასტერშია დაკრძალული. მის სამარხთან სარწმუნოებით მისულნი ყოველგვარი სენისგან იკურნებიან.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

ანეკდოტები...

ოთხმა რუსმა სამუშაოს შემდეგ ას-ასი გამის დალევა გადაწყვიტა. სასაუზმესთან მიახლოებისას ერთ-ერთმა ფეხი აითრია.

— რაო, შენ არ გინდა ჩვენთან ერთად შემოსვლა? — ჰკითხა ერთმა.

— სიამოვნებით შემოვიდოდი, მაგრამ ჯიბეში კაპიკიც არ მიჭყავის.

— რა პრობლემაა, შემოდი ჩვენთან ერთად, დალევას არავინ დაგაძალებს.

* * *

ერთხელ ცნობილი ქირურგი სანადიროდ წავიდა. იქიდან დაბრუნებულს კოლეგებმა შთაბეჭდილებათა გაზიარება თხოვეს.

— იმედგაცრუებული ვარ. შველი ისეთი ლამაზი იყო, ვერ მოვკალი. ვერც ღორი გავიმეტე და ვერც — მწყერი. აწი სანადიროდ არასოდეს წავალ და კლინიკაში დავრჩები.

* * *

წყალი იყო უგემო, უფერო, უსუნო... სანამ მენდელეევმა სპირტი არ ჩაუმატა.

* * *

ორი ლოთი საავადმყოფოში მკურნალობს.

— ანალიზის შედეგები ცუდია, — ამბობს ექიმი, — აი, თქვენს სისხლში, — მიმართავს პირველს, — 75 პროცენტი პორტვეინია.

— ჰა, ჰა, ჰა, — იცინის ამაზე მეორე.

— რა გაცინებთ, — მიუბრუნდა მას ექიმი, — თქვენს პორტვეინში კი საერთოდ არ არის სისხლი.

ჩვენება

შოთა რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზმა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „სანახაობათა მხატვრული გაფორმება-დიზაინის“ სახელოსნოს სტუდენტთა, ასისტენტ-სტაჟიორთა და პედაგოგთა ნამუშევრების წარდგინებას უმასპინძლა. უნივერსიტეტს, რომლის რექტორი პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ყლენტია, ხოლო სახელოსნოს ხელმძღვანელი, პროგრამის ლიდერი — სახელმწიფო და ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი თეიმურაზ თურმანიძეა, არაერთხელ წარმოუწენია საკუთარ აღსაზრდელთა და პედაგოგთა ნიჭიერება და ნატიფი გემოვნება.

ნიჭიერება, გემოვნების სინაზით

ჩვენება მუსიკალური ჩანართებისა და ხალხური ცეკვის ფონზე წარიმართა: საagენტო „გრაცია და ფანტაზიას“ მოდელებმა, ასევე ცეკვ-მის 2005, მის მოდელი 2005, მის მაყურებელთა სიმპათია 2004, 2005-მა 70-მდე ბატიკის, ქვილთის და ქართული ნაციონალური კოსტიუმი წარმოადგინა, რომლის ავტორებიც იყვნენ: პროგრამის დიზაინერები ელენე ფიცხელაური, ქეთი დარსაველიძე, მაკა სულთანიშვილი, ნინო კაციტაძე, „რუსსკი სილუეტის“ ფინალისტები ნანა ღონღაძე და ეკა ტუხაშვილი, „კავკასიისა და ამიერკავკასიის სილამაზის კონკურსების“ ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი ლალი გელაშვილი, „ქართული ქვილთის ჯგუფი“: ნინო ჩარგეიშვილი, ტატა ბაქრაძე, ირინა ლავრინენკო, Mastering პროგრამის პირველი წლის სწავლებისა და II, III, IV კურსის სტუდენტები, 2005/06 სასწავლო წლის წინასადიპლომო შრომის კოლექცია „ზეკარის“ ავტორთა ჯგუფი, სახელოსნოს ასისტენტ-სტაჟიორები, პროგრამის ასისტენტ-პროფესორები და სახელოსნოს ლაბორანტი, დიზაინერი თამუნა ჩიხლაძე.



ჩვენების მიმდინარეობისას მუსიკალურ ტიხარში რუსული და ქართული სიმღერები უნივერსიტეტის საესტრადო ფაკულტეტის I კურსელმა ლაშა დობორჯგინიძემ და III კურსელმა ირაკლი ერტიამ შეასრულეს, ხოლო საცეკვაო ეტიუდით „ბერიკები“ მაყურებელთა წინაშე ქორეოგრაფიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები და ინდური ცეკვით „სანახაობათა მხატვრული გაფორმება-დიზაინის“ III კურსელი ლიკა ბოჯიკაშვილი წარდგა.

ჩვენებამ დამსწრე საზოგადოების საერთო აღიარება მოიპოვა, ხოლო ახალგაზრდა დიზაინერთა კოსტიუმებმა საკუთარი სიტყვა თქვეს თანამედროვე ქართული მოდის სამყაროში.

ნინო ბერძნიშვილი

იარაღი აღმოუჩინეს

ქურდულ ავტორიტეტებს აკავებენ

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით, ქურდული ტრადიციების მიმდევარი რობერტ კალაშოვი დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, 30 წლის კალაშოვი წარსულში მრავალჯერ არის ნასამართლევი. დაკავების დროს მას თვითნაკეთი ბარაბნიანი რევოლვერი და 4 საბრძოლო ვაზნა აღმოაჩნდა.

ინტერპრესნიუსი

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ დიდი სამამულო ომის მონაწილის, ომში დაღუპულის ოჯახის წევრი. მეუღლე დიდი ხანია დამეღუპა. ვარ მარტოხელა. ოცდაათი წელი ვმუშაობდი სოფელ ფშაველის კოლმეურნეობის ფერმაში მწველავად. მართალია, პენსია — 28 ლარი მაქვს, მაგრამ ამით ცხოვრება ძალზე მიჭირს. მიწის ნაკვეთიც არ მაქვს. მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა რაიმე სახის დახმარება, როგორც მარტოხელას და უმწეოს.

ასევე, უკვე ერთი წელია ვარ ინვალიდიც!

ანიკო არჩემაშვილი,
თელავის რაიონი,
სოფელი ფშაველი.

— მოძმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პენსიის გარდა ყოველთვიური სოციალური დახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით ენიშნებათ იმ მარტოხელა პენსიონერებს, რომლებიც არ მუშაობენ, ოჯახში ცხოვრობენ მარტო და არ გააჩნიათ კანონით ვალდებული მარჩენალი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

თქვენი მდგომარეობა აკმაყოფილებს კანონის ზემოთ აღნიშნულის მოთხოვნას, ყოველთვიური სოციალური დახმარების დანიშვნის საკითხზე.

გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დახმარების განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, პენსიის გაზრდა, თქვენთვის რაიმე სახის დახმარების დანიშვნისთვის, სამწუხაროდ, არ იქნება კანონიერი საფუძველი.

* * *

— ვარ მრავალშვილიანი დედა (4 შვილი), ავადმყოფობის გამო შრომის უუნარო (7 წლის ავადმყოფი) არსაიდან არანაირი დახმარება არ გვეძლევა. ამ შემთხვევაში შეიძლება თუ არა დაგვეხმაროს მთავრობა და რითი.

მარინა აბრამიშვილი,
თელავის რაიონი, სოფელი ფშაველი.

— მოძმედი კანონის შესაბამისად, შეღავათები ვრცელდება და ყოველთვიური სოციალური დახმარება ენიშნებათ მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს.

რაიონებში და საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება გაეწევათ იმ შემთხვევაში, თუ რაიონის, ან ქალაქის ბიუჯეტი იძლევა მისი დაფინანსების შესაძლებლობას.

თბილისში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარება გაიცემა და შეღავათები ვრცელდება დედაქალაქის ბიუჯეტიდან.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ყველაფერი ყველაფერზე

ლუჟკოვის ცოლი იმიჯს იცვლის

რუსეთში საერთოდ მიეჩვივნენ მოსკოვის მერის — იური ლუჟკოვისა და მისი ცოლის — ბიზნეს-ქალბატონის ელენა ბატურინას ასეთ საზეიმო ვითარებაში კი არა, ნამდვილად სამუშაო განწყობილებაში, თუნდაც თვალუწვდენელ მინდორზე — ბელგოროდის შემოგარენში უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მფლობელთა როლში — ხილვას. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში რუსეთის დედაქალაქის თავკაცი აღნიშნავდა, რომ მისი მეუღლე აბსოლუტურად მამაკაცურად აზროვნებს და, რომ მის სახეს არასოდეს სცილდება შეფიქრიანებული გამომეტყველება.

აი, ასეთ საზეიმო ვითარებაში გადაღებული მათი ფოტო საერთოდ იშვიათად გამოჩნდება ხოლმე, ხოლო ასე ჩაცმულ-დახურული წყვილი ბევრმა პირველად ნახა. ამიტომაც კითხულობენ — ვინ არის ლუჟკოვის გვერდითო?

ფანტასტიკაა, არა?!

ბაყაყების სამყაროში

ინგლისელ მწვრთნელს ცურვაში ქალბატონ შეილა კრაუნს უცნაური გატაცება აქვს — იგი ბაყაყების ფიგურებს აგროვებს. მისი კოლექცია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია. მუზეუმი მოთავსებულია მის აგარაკზე მშობლიურ ბეიდონში. მის სახლს ყურადღების გარეშე ვერ აუვლით გვერდს. ყველა გამვლელს თვალს სტატებს წარწერა — „ აქ ცხოვრობს ბაყაყთა თაყვანისმცემელი“. შეილა ბაყაყებს უკვე ოცდაათი წელია, რაც აგროვებს. 1976 წელს მან სახლისთვის პანწაწკინტელა კერამიკის ბაყაყი შეიძინა. მისივე თქმით, სრულიად შემთხვევით შეიძინა მეორე, მესამე და... ახლა გინესის რეკორდების წიგნში შეტანილი მისი კოლექცია 11 ათასამდე ბაყაყის ფიგურა-სათამაშოს ითვლის. აქ შეხვდებით ბაყაყებით მორთულ ქოლგებს, ჰალსტუხებს, ფოსტკლებს, პერანგებს; ხის, შუშის, ბროლის, ლითონის, კერამიკის, ფაიფურის ბაყაყებს; ჭადები, ბერები, ჭურჭელი და ჭადარაკიც კი ბაყაყებითაა მორთული. კოლექციაში ყველაზე პატარა 2 მილიმეტრი სიმაღლის ვერცხლის ბაყაყია, ყველაზე დიდი — ორი მეტრი სიმაღლის ბაყაყი-კალათბურთელი, რომელსაც თათებით ბურთი უჭირავს. შეილას გატაცებას იფასებენ მისი სამი შვილი და მეგობრები. „ცოცხალ ბაყაყებს ვერ ვიტან, ისინი საშინელი, ამაზრზენი სანახავი არიან. ჩემს გუბურაში ცხოვრობენ და იქით გავლა მზარავს კიდეც“, — ამბობს მისის შეილა. მართლაც საოცარია, არა?



ვნებიანი ლიფტი

საკუთარ ბინებში ლიფტის მოწყობის ძირითადი პრობლემა მისი დიდი ზომებითაა განპირობებული. ძველ სახლებში ხომ მართლაც შეუძლებელია მოაწყო უზარმაზარი ბორბლები და საქაჩი ფოლადის გვარლები ჭერსა და სარდაფში. ამიტომაც საagარაკე ორ და სამსართულიან სახლებში ლიფტი მართლაც აუხდენელი ოცნებაა. გამოსავალს არგენტინელმა გამომგონებლებმა მიაგნეს — მათ შექმნეს ანევმატური ლიფტი. მისი ბაქანის ფართი სულ ერთი კვადრატული მეტრია, სიმაღლე კი ჭერის სიმაღლის მიხედვით. ბაქანი ჰაერის საშუალებით — პნევმატურად მოდის მოძრაობაში კაბინის ზევით და ქვევით ჰაერის წნევის ცვალებადობის მიხედვით, ამიტომაც კაბინა „მოლივლივედ“ ჩერდება. ლიფტის ტვირთამწეობა 200 კილოგრამია. ახლა შესაძლებელია ნებისმიერ სახლში მოაწყოთ გადაადგილების ეს თანამედროვე საშუალება.

გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40), „მაცნეს“ (37.40.49), „უწყებანს“ (93.64.72), „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73), „ინფოსერვისს“ (34.09.35), „ელვა-სერვისს“ (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.

ლარის კურსი

2 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,0897 ლარი
აშშ დოლარი	1	1,7900 ლარი
ევრო	1	2,1175 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0623 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1000	0,3896 ლარი.
სომხური დრამი	100	0,3927 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5512 ლარი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-I“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ძიუდოს ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.